



გვანცა აბდულაძე

ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო უერთიანობებში

ნიგნი დაბეჭდილია ვარშავის ევროატლანტიკური საზაფხულო აკადემიის (WEASA) 2019 წლის ინდივიდუალური გრანტის ფარგლებში. პროექტის სპონსორი ორგანიზაციები: **WEASA; College of Europe in Natolin; The Polish-American Freedom Foundation; The Leaders of Change Foundation; The German Marshall Fund of the United States; The Black Sea Trust; The Polish -U.S. Fulbright Commission.**

აკრძალულია ნიგნში შეტანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით WEASA წერილობითი ნებართვის გარეშე.

ნიგნში გამოთქმული ყველა მოსაზრება ეკუთვნის ავტორს.

The book is published in the framework of WEASA (Warsaw Euro-Atlantic Summer Academy) 2019 Individual Grant Program. Sponsors of the project: **WEASA, College of Europe in Natolin; The Polish-American Freedom Foundation; The Leaders of Change Foundation; The German Marshall Fund of the United States; The Black Sea Trust; The Polish -U.S. Fulbright Commission.**

It is prohibited to copy, reproduce or distribute the material for commercial purposes, without the written permission of WEASA.

All the Ideas expressed in the book belong to the author.



College of Europe
Collège d'Europe



POLISH-AMERICAN
FREEDOM FOUNDATION

გვანცა აბდალაძე

**რბილი ძალა საერთაშორისო
ურთიერთობებში**

Gvantsa Abdaladze

**SOFT POWER IN INTERNATIONAL
RELATIONS**

თბილისი 2020

TBILISI 2020

რედაქტორი: **თინათინ ხიდაშელი**

Editor: **Tinatin Khidasheli**

ISBN 978-9941-31-090-4

© გვანცა აბდალაძე, 2020.

© Gvantsa Abdaladze, 2020.

„...ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გაუფძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიციით და ვემზადებით?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?...

ესლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნალარა. უბუკ-ნალაროდ სთესავს, უბუკ-ნალაროდ მკის. კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე ნვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“... ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღალადი? ვაი რომ არა. მამ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

ილია ჭავჭავაძე, 1887

შინაარსი

CONTENTS

წინათქმა	5
Preface	14

ნაწილი I

PART I

1.1. ძალა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში.....	22
Power in International Relations	
1.2. ჯოზეფ ნაის რბილი ძალის თეორია.....	32
Soft Power Theory by Joseph S. Nye	
1.3. ციფრული რევოლუცია, ძალის დიფუზია და ტრანზიციის, ახალი სახალხო დიპლომატია.....	50
Digital Revolution, Power Transition and Power Diffusion, New Public Diplomacy	
1.4. დასავლეთის რბილი ძალა.....	76
Western Soft Power	
1.5. ბასრი ძალა – რუსეთი, ჩინეთი.....	90
Sharp Power – Russia, China	
1.6. პროპაგანდა	105
Propaganda	
1.7. დეზინფორმაცია და ღია წყაროებით გამოძიება.....	118
Disinformation and Open Source Intelligence	

ნაწილი II

PART II

2.1. რუსეთის ბასრი ძალა საქართველოში	129
Russia's Sharp Power in Georgia	
2.2. რუსეთის დეზინფორმაციული ომი უკრაინაში.....	150
ოლექსანდრა ცეხანოვსკა, გვანცა აბდალაძე Russia's Disinformation War in Ukraine Oleksandra Tsekanovska, Gvantsa Abdaladze	
2.3. ჩრდილოეთ მაკედონია – რბილი და ბასრი ძალების ზეგავლენა	164
Soft and Sharp Power influences in North Macedonia	
ბოლოთქმა – დილემები და პარადოქსები	173
Afterwards – Dilemmas and Paradoxes	

წინათქმა

რბილი ძალა XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად ტერმინად იქცა მსოფლიო მასშტაბით. ინტერნეტის საძიებო სისტემები ამ ტერმინთან დაკავშირებულ მილიონობით სტატიას, დოკუმენტს, მონოგრაფიას და სხვა ტიპის მასალას გვთავაზობს. ისევე, როგორც სხვა ხშირად გამოყენებული ტერმინების შემთხვევაში, ამ ტერმინმაც დაკარგა ზუსტი განმარტება და მისი შინაარსი ბუნდოვანი გახდა. რბილი ძალა ახალ თეორიად უნდა ჩავთვალოთ თუ მხოლოდ პოპულარულ ტერმინად? როგორია რბილი ძალის ფენომენის მიმართ დამოკიდებულება აკადემიურ თუ არააკადემიურ წრეებში? რამდენად დიდია რბილი ძალისადმი ინტერესი სამთავრობო წრეებში, მედიასა თუ სამოქალაქო საზოგადოებაში?

ბოლო ათწლეულში არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები მსჯელობენ რბილ ძალაზე საერთაშორისო ფორუმებსა თუ კონფერენციებზე. საქართველოშიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, დაფუძნდა ორგანიზაციები, რომლებიც მიზნობრივად იკვლევენ რბილი ძალის პრობლემატიკას. რბილი ძალის ანატომიას ძირითადად საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია-კვლევითი ცენტრები ანალიზებენ. ისინი აქცენტს აკეთებენ რბილი ძალის პრაქტიკულ გამოყენებასა და შესაბამისად, მისი გავლენის პრევენცია-დაძლევაზე. სწორედ ამიტომ ხშირია კვლევები და ღონისძიებები მედია-ნიგნიერებაზე, დეზინფორმაციის გავრცელების და ფაქტჩეკინგის ტექნიკაზე, დეზინფორმაციის გამავრცელებლების გამოვლენასა და სხვა მსგავს თემებზე. თუმცა, სამწუხაროდ, საკითხმა ვერ შეაღწია აკადემიურ სფეროში და

ვერ იქცა პოლიტიკური მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის თემად ან სასწავლო კურსად საუნივერსიტეტო პროგრამებში მცირე გამონაკლისების გარდა.

აღნიშნული ტენდენციის მიზეზად რამდენიმე ფაქტორი უნდა დასახელდეს. აკადემიური სფერო კონსერვატიულია თავისი ბუნებით და უჭირს საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარე პრობლემების მყისიერად ასახვა. ამასთან, რბილი ძალის საკითხი ინტერდისციპლინურია და რთულია მისთვის კონკრეტული ადგილის მიჩენა ტრადიციულ აკადემიურ მიმართულებებში, სადაც კვლევებისთვის იყენებენ აპრობირებულ მეთოდებსა და მეთოდოლოგიას.

გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპი და რბილი ძალის გავლენის სწრაფი ზრდა არ გვიტოვებს სიმშვიდის უფლებას. რუსეთის რბილი ძალის გააქტიურებამ საქართველოში (განსაკუთრებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში) უნდა განაპირობოს რბილი ძალის თემის პრიორიტეტულობა საქართველოში. 2016 წლის აშშ საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის რბილი ძალის ზეგავლენის ექსპერტულმა დადასტურებამ რბილი ძალის თემა პრიორიტეტულად აქცია მსოფლიო მასშტაბით.

წინამდებარე სახელმძღვანელო რბილი ძალის საკითხის აკადემიურ სივრცეში ადგილის განსაზღვრის მოკრძალებული მცდელობაა. სახელმძღვანელო შესაძლებელია გამოვიყენოთ ძირითად ან დამხმარე ლიტერატურად სხვადასხვა სასწავლო კურსებისთვის. ასევე, შესაძლებელია სახელმძღვანელომ ხელი შეუწყოს აკადემიურ დისკურსს პოლიტიკური მეცნიერებების (მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების) დარგში.

სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში ნაზანყდით რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას თემატიკის განსაზღვრის და თეორიული ჩარჩოების გამოკვეთის მიმართულებით.

სახელმძღვანელოში რბილი ძალის თეორიულ ჩარჩოდ განვსაზღვრეთ: ჯოზეფ ნაის ხედვა რბილი ძალის (Soft Power), ხისტი ძალის (Hard Power), ჭკვიანი ძალის (Smart Power) და

ძალის დიფუზიის შესახებ; ასევე გავითვალისწინეთ ჯესიკა ლუდვიგის და ქრისტოფერ უოლკერის „ბასრი ძალის“ (Sharp Power) ტერმინი, რომლითაც თავისი სპეციფიკური მექანიზმებისა და მძიმე შედეგების გამო ცალკე სეგმენტად გამოიყო რუსეთის და ჩინეთის რბილი ძალა.

რუსეთის და ჩინეთის „რბილი ძალის“ აღსანიშნავად სახელმძღვანელოში ვიყენებთ ტერმინს „ბასრი ძალა“, რომელსაც ვმიჯნავთ ჯოზეფ ნაისეული „რბილი ძალისგან“. ამ უკანასკნელში „ღირებულებითი მომნიშვნელობის ძალა“ მოიაზრება და ის დასავლური სამყაროს მახასიათებლად მიგვაჩნია, როგორც ცივი ომის, ასევე მის შემდგომ პერიოდში.

„ბასრი ძალის“ ანატომია კიდევ უფრო ნაკლებად არის შესწავლილი, ვიდრე კლასიკური „რბილი ძალა“. რუსული „ბასრი ძალის“ ანალიზისას დასკვნები უმეტესად მოკლე (მაგ. ცივი ომის დროინდელი მეთოდების აღორძინება) და ფრაგმენტულია (ძირითადად დეზინფორმაციის მიმართულებით). ჩვენ შევეცადეთ სახელმძღვანელოში რუსული „ბასრი ძალის“ ელემენტებად გვეჩვენებინა: საბჭოთა პროპაგანდა, დეზინფორმაციის გავრცელების ციფრული შესაძლებლობები და საინფორმაციო ოპერაციები.

ნაის „რბილი ძალის“ თეორიაში ყველაზე საყურადღებოა არა იმდენად ძალის დანაწევრება და სხარტი ტერმინების დამკვიდრება, არამედ მსჯელობა ძალის დიფუზიის შესახებ. ძალის დიფუზია, როგორც ციფრული რევოლუციის თანმდევი პროცესი, არის სწორედ ის მთავარი ტენდენცია, რომელიც ცვლის ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებულ ნარატივებს და მეტა-ნარატივებს გლობალიზაციის, საერთაშორისო პოლიტიკის, დიპლომატიის, მედიის და სხვა აქტორებისა თუ ფაქტორების შესახებ.

ამდენად, ძალის დიფუზიაზე დაფუძნებული საერთაშორისო პოლიტიკის პოსტმოდერნული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან კომპონენტად მივიჩნიეთ სახელმძღვანელოს თემატიკის განსაზღვრის დროს. სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავებში გან-

ვიხილავთ საკითხებს, რომლებიც აქტიური განსჯის საგანია საერთაშორისო წრეებში. სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად იცნობენ ამ თემებს და აქტუალური არ არის დისკურსი მიმდინარე საერთაშორისო ტენდენციების შესახებ. მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა ღია წყაროებით გამოძიების და ციფრული ჟურნალისტიკის მზარდი პოლიტიკური ზეგავლენა, სამთავრობო დიპლომატიის ციფრულ დიპლომატიად გარდაქმნის გამოწვევები და სხვ.

ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან აქტიურადაა ჩართული სახელმწიფოს მშენებლობის და მოდერნიზაციის მიძიმე პროცესში, თვალი უნდა გაუსწოროს ახალ გამოწვევებს. დღეს სამყარო თვისობრივად იცვლება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს შიდა ტრანსფორმაციის პროცესს. ბოლო პერიოდის განხილულმა სკანდალებმა (ტერორიზმი, კიბერთავდასხმები, ბავშვთა პორნოგრაფია და ა.შ.) კარგად აჩვენა, რომ ქართული სახელმწიფო არ არის მზად ძალის დიფუზიით გამოწვეულ ახალ გამოწვევებთან გამკლავლებლად.

თეორიული მსჯელობის გარდა, სახელმძღვანელო გთავაზობთ სამი შემთხვევის ანალიზს: საქართველოს, უკრაინის და ჩრდილოეთ მაკედონიის მაგალიტებზე. საქართველოს და უკრაინის შიდა თუ საგარეო გამოწვევები მეტნაკლებად მსგავსია და მათ ხშირად განიხილავენ ერთ კონტექსტში. ამ ორი ქვეყნის მაგალითის განხილვა გვაძლევს შედარებითი ანალიზის საშუალებას. ჩრდილოეთ მაკედონიის მაგალითი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ კარგად გვაჩვენებს თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ მომავალში, ევროინტეგრაციის პროცესის ფინალურ ეტაპზე.

სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია. ჩვენს მიერ გამოყენებულ მასალებში საქართველო აღარ მოიხსენიება როგორც რუსული

„ბასრი ძალის“ საფრთხის ქვეშ მყოფი სახელმწიფო. აკადემიურ სტატიებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში საქართველო სულ უფრო ხშირად მოიაზრება რუსული გავლენის ქვეშ მყოფ და არა გავლენის საფრთხის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ. მსგავსი ტენდენცია აჩვენებს, რომ საქართველო აღქმულია შეზღუდული სუვერენიტეტის ქვეყნად.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო გახდა რუსული პოლიტიკის ერთგვარი ლაბორატორია. საქართველოში გამოყენებული და აპრობირებული მეთოდები შემდგომ აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა რეგიონში. საერთაშორისო ასპარეზზე ამ თემის წამოწევისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აკადემიური წრეების მეტი აქტიურობა, რადგან საერთაშორისო აზრს და ტენდენციებს სწორედ მეცნიერები, პოლიტიკის მკვლევარები და ექსპერტები ქმნიან. საჭიროა საერთაშორისო აკადემიურ წრეებს ვაჩვენოთ საქართველოს პრობლემების პრიორიტეტულობა.

ციფრული გლობალიზაციის და ძალის დიფუზიის პროცესში ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელია მიზნობრივი ცენტრების შექმნა. ცენტრებში ვგულისხმობთ როგორც სპეციალურ სახელმწიფო უწყებას, ასევე აკადემიურ კვლევით ცენტრებს. საკითხის კომპლექსურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, არარაციონალურია სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე დისკუსია მივანდოთ მხოლოდ არასამთავრობო სექტორს ან ერთეულ მკვლევარებს. ძალის დიფუზიით თუ რუსეთის „ბასრი ძალით“ შექმნილი ახალი გამოწვევების კვლევა მოითხოვს მრავალმხრივ ჩართულობას, ფუნდამენტურ კვლევას და ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის შემუშავებას.

სპეციალური სახელმწიფო ცენტრის საქმიანობის მიზნად განვიხილავთ როგორც ახალი ტიპის საფრთხეების იდენტიფიკაციას და პრევენციას, ასევე მუშაობას კანონმდებლობის დახვეწის საკითხებზე. უკანასკნელ წლებში სხვადასხვა სახელმწიფოში მრავლად ჩამოყალიბდა მსგავსი ცენტრები. მათი ფუნ-

ქციონირების მოდელი შესაძლებელია ნიმუშად გამოდგეს. სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრის საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ახალი კვლევითი კითხვების, ახალი თემების და კორელაციების დადგენა. ამისთვის კოორდინირებულ კვლევებში უნდა ჩაერთონ სხვადასხვა დარგის მკვლევარები (საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები, სამართლის და საერთაშორისო სამართლის, პოლიტიკის მკვლევარები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, უსაფრთხოების და კიბერ-უსაფრთხოების მკვლევარები, მედიის და სტრატეგიული კომუნიკაციის ექსპერტები, სამხედრო და სადაზვერვო საქმიანობის ექსპერტები, თეოლოგები, პრაქტიკოსი დიპლომატები და სხვა). მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი ხდება შედეგზე ორიენტირებული კვლევების განხორციელება ძალის დიფუზიის თუ „ბასრი ძალის“ საფრთხეებთან დაკავშირებით. მსგავსი კვლევითი ცენტრის შექმნა დიდი გამოწვევაა ქართული სამეცნიერო რესურსების და ინტერდისციპლინური კვლევების სიმწირის გამო. საერთაშორისო ექსპერტების პროცესში ჩართვა ერთადერთი ლოგიკური და რაციონალური გამოსავალია.

სამომავლო კვლევების თემატიკასთან დაკავშირებით, ჩამოვთვლით რამდენიმე ასპექტს, რომელიც აშკარად გამოჩენილია თანამედროვე ქართულ აკადემიურ კვლევებში. სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების მიხედვით, პროპაგანდა და დეზინფორმაცია იწვევს ნარკოტიკულ მიჩვევას და ახალ-ახალი ულუფის მოთხოვნილებას. ციფრული გლობალიზაციის პირობებში დეზინფორმაციის ზენოლისგან თუ პირადი საფრთხეებისგან თავის დაცვის უუნარობის მთავარი მიზეზია საზოგადოებაში მედია-ნიგნიერების დაბალი დონე. ამასთან, ახალი საფრთხეების მიმართ განსაკუთრებულად მონყვლადია ზოგიერთი ჯგუფი. მათ შორის: ბავშვები, მოხუცები, სოციალურად დაუცველი ადამიანები და ზოგადად პოსტ-კრიზისული საზოგადოებები. ასევე თვალნათელია კორელაცია პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებასა და ძალის დიფუზიით გამოწვეული საფრთხეების დაძლევის შორის.

აუცილებელია კვლევები, რაც დაადასტურებს ან უარყოფს მსგავს ჰიპოთეზებს საქართველოს რეალობაში. ასევე გავრცელებული აქსიომაა პოსტსაბჭოთა ადამიანის მენტალური მზაობა დაიჯეროს წარმოუდგენელი და არ აილოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე. თუმცა კონკრეტულად საქართველოს საზოგადოების ანალიზი ვერასდროს გახდება საერთაშორისო მკვლევართა კვლევის პრიორიტეტული თემა. ქართული საზოგადოების მაღალი მიმღებლობა რბილი და ბასრი მექანიზმების მიმართ უნდა გამყარდეს კვლევებით კოგნიტიური მექანიზმების, პოლიტიკური ქცევის თუ სხვა საკითხების შესახებ.

ძალის დიფუზიას აქვს დადებითი მხარეებიც, მაგალითად ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამ სახელმძღვანელოზე მუშაობაც სწორედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ გახადა შესაძლებელი. გაციფრებულია ისეთი დოკუმენტებიც კი, რაც სულ რაღაც ათიოდე წლის წინ წარმოუდგენელი იქნებოდა.

ძალის დიფუზიის და ციფრული რევოლუციის მთავარი უპირატესობაა, რომ რბილ ძალას ქმნიან და იყენებენ პატარა სახელმწიფოები და ინდივიდები. საერთაშორისო პოლიტიკაში ინდივიდის როლის ზრდასრულიად ახალი მოვლენაა და სახელმწიფოები ეგუებიან ახალ რეალობას. საქართველოს სახელმწიფომ და ქართულმა საზოგადოებამ უნდა გამოძებნოს რესურსი საკუთარი რბილი მექანიზმების შექმნისთვის, როგორც სახელმწიფოს რეინტეგრაციის, ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი პროცესია ახალი ტექნოლოგიური უნარების დაუფლება და სხვადასხვა დარგების ტრანსფორმაცია. მაგალითად, ახალი სახალხო დიპლომატიის, ციფრული ჟურნალისტიკის და სტრატეგიული კომუნიკაციის განვითარება და სხვა.

ახალი თაობის მკვლევარებს, საჯარო მოხელეებს თუ დიპლომატებს უნდა ესმოდეთ, რომ მათ მოუწევთ ისეთი უნარების დაუფლება, რასაც მათი წინამორბედები არ ფლობდნენ.

რბილი ძალის ახალი მექანიზმების შექმნა საერთო-სახალხო ჩართულობას მოითხოვს და სცდება სამთავრობო ძალაუფლებისა და გადაწყვეტილებების არეალს. აღნიშნულ კონტექსტში გადამწყვეტი იქნება სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და პროფესიონალიზმი.

სამომავლო ტენდენციებზე საუბრის და სურვილების გრძელი ჩამონათვალის გარდა, ცხადი ხდება ზოგიერთი რეფორმის აუცილებლობა, რაც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ვერ განხორციელდება. მედიანიგნიერების სავალდებულო კურსის ჩართვა განათლების ყველა საფეხურზე ის მინიმუმია, რაც უახლოეს მომავალში უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს მხრიდან. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და ზეწოლა ამ მიმართულებით გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს.

თანამედროვე მსოფლიოს სწრაფი ცვლილებების, რყევებისა და რევოლუციების ხანაში ცხოვრება რთულია, როგორც ინდივიდისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. გამონეგეებისთვის თვალის გასწორების გარეშე სახელმწიფო ჩამორჩება მიმდინარე საერთაშორისო ტენდენციებს და დაკარგავს მომავალი განვითარების ორიენტირს.

ის ერები, რომელთაც ვერ შეძლეს პროცესებზე მიყოლა წინა სამი ინდუსტრიული რევოლუციის დროს, სამუდამოდ ან დიდი ხნით ჩამოშორდნენ ცივილიზაციის განვითარებას. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია არ იძლევა თვითიზოლაციის საშუალებას. ის ბევრ სიკეთეს მოუტანს წარმატებულებს და გადარჩენის შანსს არ მისცემს ჩამორჩენილებს.

სახელმძღვანელოს მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა WEASA-ს (ვარშავის ევრო-ატლანტიკური საზაფხულო აკადემია) 2019 წლის ინდივიდუალური გრანტის საფუძველზე. მადლობას ვუხდით პროექტის სპონსორ ორგანიზაციებს.

ასევე მადლობას ვუხდით: სახელმძღვანელოს რედაქტორს, **თინათინ ხიდაშელს**, პროექტით დაინტერესებისა და განუული

შრომისთვის; პროექტის საერთაშორისო ექსპერტს **ოლექსანდრა ცეხანოვსკას** – უკრაინის ქეისის თანაავტორობისთვის; **ლილიანა პესოვა ილიესკას**, რომელმაც გაგვინია კონსულტაცია და მოგვანოდა მასალები ჩრდილოეთ მაკედონიის მაგალითის მოსამზადებლად.

PREFACE

In the 21st century, soft power has become one of the most commonly used terms worldwide. Internet search engines provide numerous articles, documents, monographs, and other material related to this term. As with other commonly employed terms, this term has also lost its precise definition which makes the meaning obscure. The question is whether we should consider “soft power” to be a new theory or just a popular term. What is the attitude to the phenomenon of soft power in either academic or non-academic circles? How high is the interest in soft power in government circles, the media, or civil society?

In the last decade, representatives of the non-governmental sector and academia have often discussed the concept of soft power at international fora or conferences. Organizations dedicated to the methodical study of soft power issues were established in Georgia as well as in the rest of the world. However, there is an obvious worrying trend soft power anatomy is mainly analyzed by international organizations, NGOs and media research centers. They focus on media literacy, disinformation dissemination and fact-checking techniques, detection of disinformation centers and other topics related to these problems. The issue has not yet penetrated the academic sphere and therefore has not become a research topic for political science experts or an academic course in the university curriculum.

Several factors can be identified as the cause of this problem. The academic sphere is conservative by its very nature and finds it difficult to reflect immediately on the problems emerging in international politics. Moreover, the issue of soft power is interdisciplinary and not easily found in traditional academic settings where already proven research methods and methodologies are employed.

Sadly, the accelerated rhythm of globalization in international politics and the rapid increase in the influence of soft power do not present an opportunity for quiet judgment. Expert confirmation of the influence of Russia's soft power in the 2016 US presidential elections has made this issue a top priority all over the world. The intensive use of Russia's soft power in Georgia since the 2008 Russian-Georgian war has made this issue critical for Georgia as well.

This textbook is a modest attempt to define the issue of soft power in academia. The textbook can be used as the main or an additional literature source for various courses. It will also assist in promoting academic discourse in the field of political science (primarily concerning international relations).

In the process of writing the textbook we came across some important issues concerning the definition of the topic and outlining the theoretical framework.

The theoretical framework of Soft Power employed in the textbook is based on the theory by Joseph Nye concerning Soft Power, Hard Power, Smart Power and Power Diffusion; together with Jessica Ludwig's and Christopher Walker's contribution to the creation of the term "Sharp Power" within the frames of this theory, in which, Russian and Chinese Soft Power were singled out as separate segments due to specific mechanisms and severe consequences associated with them.

To refer to "Soft Power," practiced by Russia and China, we use the term "Sharp Power", which we distinguish from the term "Soft Power" employed by Joseph Nye. The latter is considered to be "attraction with values" and is a characteristic of the Western world, both in the Cold War and in the post-Cold War era.

We believe that in Nye's theory of "Soft Power", the most notable factor is not so much the breaking of power into components and the introduction of neat terms, but the discussion concerning the diffusion of power. Diffusion of power, as an accompanying process of the digital revolution, is the main trend that replaces the narratives

and meta-narratives fixed in our imagination concerning actors or factors of globalization, international politics, diplomacy, the media, etc.

Therefore, the post-modern transformation of international politics based on the diffusion of power, is considered to be an important component in defining the scope and theme of the textbook. The Georgian society, which has been actively involved in the critical process of state-building and modernization since its declaration of independence, must face new challenges. Today the world is changing qualitatively, further aggravating the process of internal transformation of the Georgian state. Various high-profile events of recent years (terrorism, cyber-attacks, child pornography, etc.) have made it clear that the Georgian state is not ready to face the difficulties of the diffusion of power.

The anatomy of “Sharp Power” is less explored compared to the classic understanding of “Soft Power”. The conclusions made as a result of the analysis of Russian “Sharp Power” are mostly brief (e.g. Cold War methods have been revived) and fragmented (mainly concerning disseminating disinformation). In this textbook, we have attempted to specify elements of the Russian “Sharp Power” and outline three key features: the Soviet propaganda; capabilities and opportunities of dissemination of digital disinformation; and information operations.

In various chapters of this textbook, crucial issues actively discussed in international circles are outlined. Unfortunately, these topics are not well-known in Georgia and there is no active discussion concerning current international trends. These include the growing political influence of open-source investigations and digital journalism on international politics and the challenges of transforming government diplomacy into digital diplomacy, etc.

In addition to the theoretical part, the textbook encompasses the analysis of three cases: examples of Georgia, Ukraine, and Northern Macedonia. The internal and external challenges faced by Georgia and Ukraine are similar and they are often discussed in the same context. Considering the examples of these two countries once again presents

an opportunity for comparative analysis. The example of North Macedonia is noteworthy in that it illustrates the challenges we are going to face shortly at the final stage of the European integration process.

Several problems and nuances emerged while working on the textbook. In international studies or reports reviewed, Georgia is no longer referred to as a state at high risk by the Russia's "Sharp Power". In our opinion, in academic articles or reports of international organizations, Georgia is described to be a Russian-influenced state and not a state threatened by this country. Such a trend shows that Georgia is perceived as a country of limited state sovereignty. Therefore, it is vital to intensify the discussion in this direction.

After restoring independence, Georgia became a kind of laboratory of Russia's politics. The methods utilized and tested in Georgia were then actively applied in different regions. To bring this topic now for discussion into the international arena, we consider it crucial for the academic community to become more active, as scholars and experts of politics create international opinion and trends. It is also critical to show the priority of the issues connected with Georgia to international academic circles.

Special centers need to be created to meet new challenges in the process of digital globalization and power diffusion. Under such centers, we mean both specialized state agencies and academic research centers. Given the complexity and importance of the issue, it is unreasonable to assume that the responsibility for the security of the state lies only with the non-governmental sector or individual researchers. Exploring new challenges created by either the diffusion of power or by the Russia's "Sharp Power" requires the involvement of many scholars, multidisciplinary research and the development of interdisciplinary methodologies.

The main purpose of the special State Centre will be to identify and prevent threats, as well as to refine existent legislation to deal

with new types of threats. In recent years, similar centers have been established in various countries. The model these centers employ can serve as a working model. The purpose of the work of the Scientific-Analytical Centre should be to identify new research questions, new topics and correlations. To achieve these goals, coordinated research should involve researchers from various fields (international relations, policy and security experts; cyber security experts; law and international law specialists; psychologists, sociologists, theologians; media and strategic communication experts; practicing diplomats; military and intelligence experts, etc.). Without their involvement, it is impossible to carry out results-oriented research related to the dangers of Power Diffusion or “Sharp Power”. Creating such a Research Centre is a major challenge due to the scarcity of scientific resources and interdisciplinary research in Georgia. Engaging international experts in the process of is the only logical and rational solution to this problem.

Concerning the topics of future research, several aspects can be named that are currently missing in contemporary Georgian academic research. According to various international studies, propaganda and disinformation lead to addiction and the longing for new portions of similar information. The main reason for the inability to protect against the pressure of disinformation or personal threats in the face of digital globalization is at the low level of media literacy in society. As well as this, some groups of society are particularly vulnerable to new threats. Amongst these are children, the elderly, socially vulnerable, unprotected people and generally post-crisis societies. There is also a clear correlation between the effective functioning of political institutions and the dangers posed by the diffusion of power.

Further research is needed to confirm or disprove such hypotheses in Georgian reality. There is also a widespread axiom characteristic of the post-Soviet person’s mental readiness to believe in the unthinkable and not to take responsibility for his or her actions. However, the analysis of Georgian society, in particular, will never be a scorching research topic for international researchers. The high acceptance of Georgian

society of soft and sharp mechanisms should be supported by research on cognitive mechanisms, political behavior or other critical issues.

The diffusion of power also has advantages, such as access to information. Working on this textbook was made easy by the information being accessible. Even documents that were unthinkable to access just a decade ago have been digitized today.

The main advantage of Power Diffusion and the digital revolution is that both small states and individuals create and utilize Soft Power. The emerging role of the individual in international politics is a completely new phenomenon, and states are gradually adapting to a new reality. Georgia and Georgian society should find resources to create their soft mechanisms to reintegrate as the State and improve relations with neighboring countries. The factors critical to achieving this goal are the acquisition of new technological skills and the transformation of various fields. For example, the development of new public diplomacy, digital journalism and strategic communication, etc.

The new generation of researchers, civil servants, or diplomats must realize that they will have to master skills that their predecessors did not possess. Creating new Soft Power mechanisms requires general public engagement and goes beyond the scope of governmental power and decision-making. Strengthening of civil society and professionalism will be crucial in this context.

In addition to discussing future trends and a long list of wishes, there is a clear need for certain reforms that cannot be implemented without State intervention. The mandatory media literacy course at all levels of education is the least that should be initiated soon by the State. Activism and pressure from civil society can become crucial in this regard.

Life is difficult for both the individual and the State in the conditions of rapid changes, instabilities and revolutions so common in the modern world. Due to this, without facing the challenges posed by the modern age, the State lags behind current international trends and loses the guidelines of future development.

Nations that failed to follow the processes of the previous three industrial revolutions were removed from the development of civilization forever or at least for a considerable time. The Fourth Industrial Revolution does not allow for self-isolation. It will bring a lot of benefits to the victorious states but will not give retrospective chances of survival to those out of step.

The preparation and publication of the textbook was made possible through an 2019 individual grant from WEASA (Warsaw Euro-Atlantic Summer Academy), for which we thank the project managers and sponsors.

Our special thanks go to **Tinatin Khidasheli**, Editor of the textbook for her interest in the project and hardwork; **Oleksandra Tsekhanovska**, International Expert of the Project and Co-author of the Ukrainian Case; **Liljana Pesova Ilieska** for consultations and provision of materials to prepare the text related to North Macedonia case.

ნახილნი

1.1. ქალა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

- რა არის ძალა? რა განსხვავებაა ძალასა და ძალაუფლებას შორის?
- ძალის გაგება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში
- როგორ იცვლება ძალის გაგება დროსა და სივრცეში?
- როგორ გავზომოთ ძალა? ძალის ახალი განზომილებები

ძალა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი იდეაა თუკიდიდედან მოყოლებული დღემდე. იმისთვის, რომ უკეთ გავიაზროთ ჯოზეფ ნაის თეორიული წვლილი ძალასთან მიმართებაში, გავაკეთოთ მოკლე მიმოხილვა როგორ არის „ძალა“ განმარტებული და აღქმული საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიასა და პრაქტიკაში.

ინგლისური ტერმინი Power თავის თავში მოიცავს ძალასაც და ძალაუფლებასაც. ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ძალა და ძალაუფლება (power) გულისხმობს ადამიანების ან მოვლენების მართვის უნარს.¹ მაქს ვებერისთვის ძალა ნიშნავს უნარს საკუთარი სურვილი თუ სურვილები თავს მოახვიო სხვას (სხვებს) მათი თანხმობის თუ წინააღმდეგობის მიუხედავად. მისივე აზრით, ყველა ტიპის საზოგადოება ეფუძნება ძალას (ძალაუფლებას).² რობერტ და-

¹ Oxford Learner's Dictionaries https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/power_1?q=power

² Stefano Guzzini. Max Weber's Power. in: Max Weber and International Relations. Edited by Richard Ned Lebow. Cambridge University Press. 2017. p. 97-118

ლის ცნობილი დეფინიციის მიხედვით, როდესაც A აიძულებს B-ს გააკეთოს ის, რის გაკეთებასაც B სხვა შემთხვევაში არ ეცდებოდა, ეს არის ძალის გამოვლინება.¹ დევიდ ბოლდუინი ძალას კომპონენტებად ყოფს – ძალა, როგორც სახელმწიფო ძლიერება და ძალა, როგორც პოტენციური თანამშრომლობა. შესაბამისად, ძალა შესაძლოა გულისხმობდეს თავს მოხვეულ ძალაუფლებას ან სასურველ ძალაუფლებას.² ენდრიუ ჰეივუდი აქცენტს აკეთებს ძალის დეფინიციაზე საერთაშორისო პოლიტიკაში და ძალას განმარტავს, როგორც სახელმწიფოების და სუპრანაციონალური ორგანიზაციების შესაძლებლობას გაატაროს საკუთარი ინტერესები სხვა აქტორების თანხმობით ან მათი თანხმობის გარეშე.³

სხვადასხვა განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია შევთანხმდეთ ძალის მარტივ დეფინიციაზე – ძალა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც რესურსების, აქტორების, მოვლენებისა და შედეგების კონტროლი, რისი მიღწევაც შესაძლებელია თავს მოხვეული ძალაუფლებით ან ნებაყოფლობითი თანამშრომლობით. ძალა და ძალაუფლება პოლიტიკური ცხოვრების საფუძველია, როგორც სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ასევე საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების პროცესში.

ძალის სხვადასხვა გაგებას ემყარება საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თუ ნეო-თეორიები და შესაბამისად, მექანიზმების, მიზნებისა თუ შედეგების განმარტებასაც სხვადასხვაგვარად ახდენს.⁴

¹ Robert A.Dahl. The Concept of Power. Behavioral Science. v.2. Issue 3. 1957. p. 201-215

² David A.Baldwin. Power and International Relations. A conceptual approach. Princeton University Press. 2016. p. 1-10

³ Andrew Heywood. Global Politics. Palgrave Macmillan. 2011. p. 17-18.

⁴ ძალის კონცეფციის მიმოხილვა საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სკოლებთან და ავტორებთან მიმართებით იხ. ბიბლიოგრაფიაში მითითებულ მონოგრაფიებში.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის **ლიბერალური სკოლა (პოლიტიკური იდეალიზმი)** სრულიად შესაძლებლად მიიჩნევს ომის (როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საუკუნოვანი ინსტრუმენტის) ჩანაცვლებას კოლექტიური უსაფრთხოებით. საერთაშორისო საზოგადოებრივი თანხმობა საერთაშორისო მშვიდობის დასამყარებლად რეალურ შესაძლებლობად მიიჩნევა, რადგან მშვიდობა ერთადერთ რაციონალურ ქმედებად განიხილება როგორც ინდივიდისთვის, ასევე სახელმწიფოებისთვის. რაციონალიზმი, საერთო ინტერესების გამოძებნა და ცალკეული აგრესიის საერთო ძალისხმევით აღმოფხვრა პოლიტიკური იდეალიზმის თეორიების საფუძველია. აქ ძალა აღიქმება თანამშრომლობად, ხოლო თანამშრომლობის ინსტრუმენტებად მიჩნეულია დიპლომატია, თავისუფალი ვაჭრობა და პოლიტიკური მორალი. დიპლომატია არ უნდა იყოს ფარული და აქტიურად იყენებდეს სახალხო დიპლომატიის შესაძლებლობებს, ხოლო პოლიტიკური მორალი განიხილება ძალაზე დაფუძნებულ რაციონალურ ქმედებად და სახელმწიფოთა (განსაკუთრებით, დიდ სახელმწიფოთა) ვალდებულებად.

კლასიკური რეალიზმი (თუკიდიდე, მაკიაველი...) და ასევე ომთაშორის პერიოდში შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური სკოლა საერთაშორისო პოლიტიკას ძალაუფლებისთვის დაუსრულებელ ბრძოლად მიიჩნევს.

ლიბერალიზმის პირველი მხურვალე კრიტიკოსი, ედუარდ ქარი თანამშრომლობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პოლიტიკას წარმოსახვით რეალობას და უტოპიას უწოდებს. ქარისთვის ძალა ზეგავლენის თავს მოხვევის და ომში გამარჯვების უნარია, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგი ომში გამარჯვებული სახელმწიფოების („კმაყოფილი ძალების“) წესრიგი, რომელიც სტაბილურია ახალ ომებში გამოვლენილ ახალი გამარჯვებულების გამოჩენამდე. ქარისთვის, ისევე როგორც რეალიზმის სხვა ავტორებისთვის, კონფლიქტი ინდივიდებს, ჯგუფებს თუ სახელმწიფოებს შორის გარდაუვალი რეალობაა.

რეალიზმში ძალა გაიგივებულია სახელმწიფოების უნართან საკუთარი ინტერესების დასაცავად სხვა სახელმწიფოებს თავს მოახვიოს საკუთარი სურვილები და ზეგავლენა. რაციონალურ ქმედებად მიიჩნევა ძალის ფლობა, მისი მაქსიმიზაცია და არა მორალის კატეგორიებით პოლიტიკის წარმოება. რეალიზმში საერთაშორისო პოლიტიკა დაუსრულებელი ბრძოლაა ძალაუფლების მოსაპოვებლად (ჰობსისეული „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“), საერთაშორისო სისტემა კი ანარქიული. საერთაშორისო ანარქია განპირობებულია მსოფლიო მთავრობის არარსებობით, სახელმწიფოთა მიერ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის შეუძლებლობით, დიდი და პატარა სახელმწიფოების ასიმეტრიული შესაძლებლობებით.

რეალიზმი აქცენტს აკეთებს ადამიანის ძალადობრივ ბუნებასა და პოლიტიკის წარმოების პროცესში პოლიტიკურ ლიდერთა როლზე. ის ძალას აიგივებს სამხედრო რესურსთან.

ნაი შეგვახსენებს, რომ ადრეული რეალისტები გვთავაზობდნენ მსჯელობას ძალის სხვადასხვა განზომილებაზე, რაც შემდგომში სხვა თეორეტიკოსებმა დაივიწყეს. მაგალითად, ედუარდ ქარის აზრით, ძალა შესაძლოა დაიყოს სამხედრო ძალად, ეკონომიკურ ძალად და ჩვენს აზრებზე გაბატონებულ ძალაუფლებად (პროპაგანდა), თუმცა, სამხედრო ძალაუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია საერთაშორისო პოლიტიკაში ომის წამოწყების მუდმივი საფრთხის გამო.¹

მორგენტაუ ძალაში გულისხმობს, როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ რესურსებს და აღწერს სახელმწიფოთა შორის ბრძოლის სამ ძირითად მოდელს: ძალის შენარჩუნება (*status quo*), ძალაუფლების გაზრდა (რევიზიონიზმი, იმპერიალიზმი), ძალაუფლების დემონსტრირება (პრესტიჟი). მორგენტაუსთვის საერთაშორისო პოლიტიკა დაუსრულებელი ბრძოლაა სტატუს-ქვო და რევიზიონისტ ძალებს შორის. თითოეული სახელმწიფოს მცდელობა დაიცვას საკუთარი ინტერესები გავლენას ახდენს სხვა სახელმწიფოთა ქმედებაზე.

¹ Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p.82

განსხვავებული აქცენტებია დასმული ჯონ მერშაიმერის თავდასხმით რეალიზმში. მისი აზრით, საერთაშორისო ანარქიის დაძლევის ერთადერთი გზა გლობალური ჰეგემონიის დამყარებაა. ეს რეალურად შეუძლებელია, მაგრამ დიდი სახელმწიფოები მას მაინც მიესწრაფვიან. შესაბამისად, ყველა დიდი ქვეყანა რევიზიონისტია და ანარმოებს ექსპანსიონისტურ პოლიტიკას.¹

კლასიკური ლიბერალიზმის და რეალიზმის თეორიების შედარებისას უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორმა მსოფლმხედველობამ მოახდინა ერთურობის სისუსტეთა იდენტიფიცირება და მხილება, რითიც ხელი შეუწყო ნეო-თეორიების შექმნას და უფრო სრულყოფილ ანალიზს.

სკოტ ბურჩილის აზრით, რეალიზმმა ლიბერალური უტოპიის გულუბრყვილობა შეასწორა და ამხილა პოლიტიკური უტოპიზმი პრივილეგირებულთა და ძლევამოსილთა ინტერესების გატარებაში. თუმცა უტოპიანიზმის არსებობა აუცილებელია რეალიზმის „უნაყოფობის“ საჩვენებლად. უტოპიზმი უარყოფს ალტრუიზმის ილუზორულ ხასიათს და კარგად წარმოაჩენს რეალიზმის სისუსტეებს: რეალიზმი ვერაფერს გვთავაზობს ძალაუფლებისთვის გამუდმებული ბრძოლის გარდა, რაც შეუძლებელს ხდის ნებისმიერი საერთაშორისო საზოგადოების მშენებლობას. ლიბერალურ თეორიებში (იდეალისტები, უტოპისტები) ძალადობა ირაციონალური დევიაციაა და ზიანს აყენებს სახელმწიფოთა გრძელვადიან ინტერესებს.²

ნეოლიბერალიზმი (ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი) იზიარებს რეალიზმის ზოგიერთ პოსტულატს (საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა; საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს როლი), თუმცა არ იზიარებს მუდმივი ომის და ძა-

¹ ბრუს ჯენტლესონი. ამერიკის საგარეო პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2015. გვ. 252-254.

² Scott Burchill. Liberalism. in.: Scott Burchill, Andrew Linklater, Richard Devetak, Jack Donnelly, Matthew Paterson, Christian Reus-Smit and Jacqui True. Theories of International Relations. Third edition. Palgrave Macmillan. 2005. p.55-83

ლადობის შესახებ რეალისტების პესიმიზმს და შესაძლებლად მიაჩნია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. ნეოლიბერალური თეორიების მიხედვით დემოკრატიული მთავრობების შექმნა (დემოკრატიული მშვიდობის თეორია), ეკონომიკური გლობალიზაცია (კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია), საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ინსტიტუციები დაძლევს **უსაფრთხოების დილემას**, რასაც რეალიზმი მუდმივ საშიშროებად განიხილავს.

ქენეთ უოლცისეული **ნეორეალიზმი** იზიარებს რეალიზმის ძირითად იდეებს, თუმცა სტრუქტურული რეალიზმი არ იზიარებს რწმენას, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა ადამიანური ბუნების შემადგენელი ნაწილია და მას ხსნის საერთაშორისო პოლიტიკის ანარქიული ბუნებით. ქენეთ უოლცის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტებია არა მხოლოდ ძალა და ბრძოლა, ასევე კომპრომისიც. მორგენთაუსგან განსხვავებით, უოლცისთვის სახელმწიფოს მთავარი ინტერესი არ არის **ძალის მაქსიმიზაცია**, არამედ **უსაფრთხოების მაქსიმიზაცია**.

რობერტ გილპინის აზრით, რეალიზმის ექსტრემიზმზე ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებები, მათ შორის სამხედრო ძალის მუდამ მზარდი ღირებულება, წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკის მომსახურებაზე დაფუძნებულ ეკონომიკად ტრანსფორმაცია, საზოგადოების სოციალურ საჭიროებებზე გაზრდილი დანახარჯები და სხვ.

ნეორეალისტური თეორიები აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სისტემის მზარდ გავლენაზე ძალასა და ძალაუფლების მოპოვებაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პოლიტიკაში და ასახელებს ძალის ტრანსფორმაციის მიზეზებს. ნეორეალისტურმა თეორიებმაც, რეალისტური სკოლის მსგავსად, ვერ შემოგვთავაზა ძალის გაზომვის კრიტერიუმები.

კონსტრუქტივიზმში ძალა (ისევე, როგორც სხვა ყველა იდეა) სოციალურად კონსტრუირებული მოცემულობაა, ხოლო კონფლიქტი სტრუქტურული კრიზისი და სტრუქტურული ცვლილების შესაძლებლობა.

მარქსისტების და ნეომარქსისტებისთვის ძალა, ისევე როგორც პოლიტიკის სხვა ყველა ასპექტი დაკავშირებულია კლასობრივ დაპირისპირებასთან. კლასიკური მარქსისტებისგან განსხვავებით, ახალი თაობის მარქსისტები (ასევე დაქვემდებარების თეორეტიკოსები და ანარქისტები) უფრო მეტად ინტერესდებიან საერთაშორისო პოლიტიკითა და თავისუფალი ვაჭრობით, თუმცა მდიდრების მიერ (ამ შემთხვევაში, მდიდარი სახელმწიფოების და ტრანსნაციონალური საზოგადოებების) ღარიბების ეკონომიკური ჩაგვრა კვლავ მთავარი თემაა.

პოსტმოდერნიზმი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ცივი ომის დასასრულს გამოჩნდა. სხვა ყველა წინამორბედი თეორიისგან განსხვავებით, პოსტმოდერნიზმი არ აღიარებს ერთ სიმართლეს და ებრძვის მეტანარატივებს. რეალიზმის მსგავსად, ძალა ფუნდამენტური კონცეფციაა პოსტმოდერნიზმშიც, მაგრამ სახეზეა მნიშვნელოვანი სხვაობა. რეალისტებისთვის ძალა წარმოადგენს ერი-სახელმწიფოების მფლობელობაში აკუმულირებულ იარაღს. ძალა თვალსაჩინოა და ზედაპირზე ტივტივებს, ძალა ხილულია (ბომბები, ფული თუ ინსტიტუტები). **პოსტმოდერნიზმი ძალა ობობის ქსელია**, რომელიც ყველა ტიპის ურთიერთობაში აღწევს.

ძალა ყოვლისმომცველია რეალიზმშიც და პოსტმოდერნიზმშიც: ის საშუალებაა, მიზანიც და შედეგიც. თუმცა, სხვაობა მნიშვნელოვანია: რეალიზმი ფოკუსირებულია სახელმწიფოს გადარჩენასა და უსაფრთხოებაზე. პოსტმოდერნიზმისთვის მნიშვნელოვანია **ინდივიდები, ხალხი და მათი უსაფრთხოება**.

საერთაშორისო ურთიერთობების ყველა თეორიული სკოლა (რეალისტები, ლიბერალები, მარქსისტები, კონსტრუქტივისტები, სტრუქტურალისტები, დაქვემდებარების თეორეტიკოსები, პოსტმოდერნიზმები, გლობალისტები, ფემინისტები...) საერთაშორისო პოლიტიკის საფუძვლად ძალას განიხილავს. თუმცა ძალის შესახებ არსებული თეორიული დისკურსი ვერ გვთავაზობს სრულყოფილ პასუხს კითხვებზე: რა არის ძალა? როგორ გავზომოთ ძალა? აღნიშნულ კითხვე-

ბზე პასუხის გაცემის ყველა მცდელობა ახალ და ახალ შეკითხვებს აჩენს.

კლასიკურ და კრიტიკულ თეორიებზე დაყრდნობით მიხეილ ბარნეტს და რეიმონდ დიუვალს ძალა ორ განზომილებამდე დაჰყავს: 1. ერთ აქტორს შეუძლია სამხედრო ან ეკონომიკური მექანიზმებით მეორე აქტორის პირდაპირი კონტროლი. 2. აქტორი ახორციელებს არაპირდაპირ კონტროლს სხვა აქტორებზე. მათ შორის, ზემოქმედებს სტრუქტურით, რომელიც თანხვედრაშია აქტორის ინტერესებთან და უზრუნველყოფს მას სხვა აქტორებზე ზემოქმედების მექანიზმებით.¹

პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისთვის ძალის მრავალ განზომილებაში წარმოდგენა ზედმეტად თეორიული და ბუნდოვანია. პრაქტიკაში ძალას ხშირად განმარტავენ როგორც უნარის და რესურსის ფლობას. ქვეყანა ფლობს ძალას, თუ მას გააჩნია დიდი ტერიტორია, მოსახლეობის დიდი რაოდენობა, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური მაჩვენებლები, სამხედრო ძალა და სოციალური სტაბილურობა. ძალის ამგვარი განმარტება ამარტივებს გავზომოთ ძალა და ვინინასწარმეტყველოთ შედეგები.²

პოლიტიკური რეალობა გაცილებით რთული და კომპლექსურია ვიდრე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საშუალო მაჩვენებლების გამოყვანა. ესა თუ ის გლობალური მოვლენა ხშირად თავდაყირა აყენებს თეორიებს და პრაქტიკაში დამკვიდრებულ ქცევის წესებს. მაგალითად, ცივი ომის დასრულებამ რეალიზმის სკოლის ხედვების კრიზისი გამოიწვია. 1989-91 წლის მოვლენები არანაირად არ თავსდებოდა მათ წარმოდგენებში სახელმწიფოთა ქმედებების შესახებ (სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტი, სამხედრო და ტერიტორიული უსაფრთხოება...). რეალიზმის სკოლის პროგნოზით,

¹ Michael Barnett and Raymond Duvall. Power in International Politics. International Organization, Vol. 59, No. 1. 2005. p. 39-75

² Joseph S. Nye, Jr. Soft Power. The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004. p.3

ბიპოლარული სამყარო უნდა დასრულებულიყო ერთი სუპერ-
ძალის მიერ მეორის დამარცხებით ან დაუსრულებელ ბრძო-
ლაში ორივეს დასუსტებით.

კრიტიკული თეორიები, რომლებიც კომუნისტურ სამყა-
როს კაპიტალიზმის რეალურ ალტერნატივად განიხილავდა
(ეკონომიკური განვითარების და მოქალაქეების სოციალური
უსაფრთხოების არაკაპიტალისტური მოდელი), განაცვიფრა
90-იანი წლების მასობრივმა ანტიკომუნისტურმა გამოსვლე-
ბმა და მოვლენები ისტორიის უკუსვლად შეაფასეს.

ცივი ომის დასრულებამ ოპტიმიზმის საფუძველი მისცა
ლიბერალებს. გაჩნდა ილუზია, რომ საერთაშორისო პოლი-
ტიკის წარმართველი სამხედრო ძალის ნაცვლად გახდებოდა
პოლიტიკური მორალი, ღირებულებები და თანამშრომლობის
სურვილი, ვაჭრობის ორმხრივი სარგებელი კი გადანონიდა
სახელმწიფოთა მხრიდან ურთიერთ აგრესიის სურვილს.

ფუკუიამამ ცივი ომის დასრულება „ისტორიის დასასრუ-
ლად“ გამოაცხადა. მისი აზრით, სამყაროში დასრულდა იდეო-
ლოგიური დაპირისპირება და მომავალში ყველა სახელმწიფო
გამარჯვებული იდეოლოგიის (თავისუფალ ვაჭრობასა და ადა-
მიანის უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალიზმის) მოდელის
მიხედვით განვითარდებოდა. ლიბერალურ ოპტიმიზმს ნყალი
გადაასხა ცივი ომის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა
და მსოფლიო პოლიტიკის ახალმა გამონვევებმა – მათ შო-
რის სემიუელ ჰანთინგტონის მიერ ნაწინასწარმეტყველებმა
ცივილიზაციურმა კონფლიქტმა და მისგან გამომდინარე ტე-
რორიზმმა.

პოსტ-ბიპოლარულ სამყაროში დადგა ძალის იდეის ახლე-
ბურად გააზრების და ახალ განზომილებებზე აქცენტის გაკე-
თების აუცილებლობა. სწორედ ამგვარი მცდელობაა ჯოზეფ
ნაის „რბილი ძალის თეორია“. ნაის მეტაფორული განმარტე-
ბით, „ძალა ამინდს ჰგავს – ყველა დამოკიდებულია მასზე,
მაგრამ ცოტას თუ შეუძლია მისი განჭვრეტა. როგორც ფერ-
მერები და მეტეოროლოგები ცდილობენ იწინასწარმეტყვე-

ლონ ამინდი, ასევე პოლიტიკური ლიდერები და ექსპერტები ცდილობენ აღწერონ და იწინასწარმეტყველონ ცვლილებები ძალასთან მიმართებაში. ძალა ჰგავს სიყვარულს – უფრო იოლია გამოსცადო, ვიდრე აღწერო ან გაზომო“.¹

ბიბლიოგრაფია:

1. კენეთ ნ. უოლცი. ადამიანი, სახელმწიფო და ომი. ჯისიანი. 2003
2. ფრენსის ფუკუიამა. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ. 1999
3. ბრუს ჯენტლესონი. ამერიკის საგარეო პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2015
4. David A. Baldwin. Power and International Relations: A Conceptual Approach. Princeton University Press. 2016
5. Michael Barnett and Raymond Duvall. Power in International Politics. International Organization, Vol. 59, No. 1. 2005
6. Scott Burchill, Andrew Linklater, Richard Devetak, Jack Donnelly, Matthew Paterson, Christian Reus-Smit and Jacqui True. Theories of International Relations. third edition. Palgrave Macmillan. 2005
7. Andrew Heywood. Global Politics. palgrave macmillan. 2011
8. Max Weber and International Relations. Edited by Richard Ned Lebow. Cambridge University Press. 2017
9. Joseph S. Nye, Jr. Soft Power. The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004
10. Power in World Politics. Edited by Felix Berenskoetter and M.J.Williams. Routledge. 2007
11. Power, Order and Change in World Politics. Edited by G. John Ikenberry. Cambridge University Press 2014

კითხვები და დავალებები:

1. როგორ გესმის ტერმინი: „სტატუს ქვო“ და „რევიზიონისტი“ სახელმწიფოები?
2. მოიძიე ინფორმაცია და განმარტე ტერმინი: „უსაფრთხოების დილემა“.

¹ Joseph S. Nye, Jr. Soft Power. The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004. p. 1

3. მოიძიე ინფორმაცია და განმარტე ტერმინი: „მეტა-ნარატივი“.
4. განმარტე ფრაზა: „ძალადობა ირაციონალური დევიაცია“.
5. როგორ გესმის წინადადება: „პოსტმოდერნში ძალა ობობის ქსელია, რომელიც აღწევს ყველა ტიპის ურთიერთობაში“?
6. როგორ გესმის წინადადება: „კონსტრუქტივიზმში ძალა სოციალურად კონსტრუირებული მოცემულობაა“?
7. როგორ ფიქრობ, რა სხვაობაა სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ადამიანების უსაფრთხოებას შორის?
8. როგორ ფიქრობ, როგორ უნდა გავზომოთ ძალა?
9. იმსჯელე ძალის გამოყენების მექანიზმებზე უნიპოლარულ, ბიპოლარულ, მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში.
10. შეარჩიე მაგალითი (ქეისი) და იმსჯელე ძალის გამოყენების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა პარადიგმის მიხედვით.

1.2. ჯოზეფ ნაის რბილი ძალის თეორია

- რბილი ძალა (soft power), ხისტი ძალა (hard power), ჭკვიანი ძალა (smart power)
- ძალის ლეგიტიმაცია და ძალის გამოყენების კონტექსტი
- რბილი ძალის თეორიის ახალი კონტრიბუტორები – ბასრი ძალა (sharp power)
- დემოკრატიის დილემა

ტერმინი „რბილი ძალა“ გამოიგონა და პირველად გამოიყენა ამერიკელმა პროფესორმა ჯოზეფ ნაიმ¹ 1990 წელს. ცნო-

¹ ჯოზეფ სემიუელ ნაი უმცროსი (დ. 1937 წ. 19 იანვარს) – საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ნეოლიბერალიზმის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის ემერეტუსი, ჰარვარდის ჯონ ფიცჯერალდ კენედის სახელობის მართვის სკოლის ყოფილი დეკანი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო

ბილ დისკურსში ამერიკის ჰეგემონიის დასრულების შესახებ, ნაიმ დაასაბუთა, რომ აშშ უძლიერესი სახელმწიფოა არა მხოლოდ თავისი სამხედრო და ეკონომიკური მანევრებლებით, არამედ კიდევ ერთი კრიტერიუმით – „მოხიბვლის ძალით“, რასაც „რბილი ძალა“ უწოდა.¹

სხვა ავტორებისგან განსხვავებით (რომლებიც აშშ ჰეგემონიის დასასრულს სხვადასხვა არგუმენტებით წინასწარმეტყველებენ), ნაი საერთაშორისო ასპარეზზე აშშ ზეგავლენის დასუსტებას აშშ „რბილი ძალის“ შემცირებასთან აკავშირებს და დღემდე აქტიურად მსჯელობს ამ საკითხზე თავის სტატიებსა და მონოგრაფიებში. დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიის მხარდამჭერი ნაი ამ პროცესს რესპუბლიკური პარტიის მმართველობის სისუსტედ აღიქვამს. ის აქტიურად აკრიტიკებდა ჯორჯ ბუშის მმართველობას და აკრიტიკებს ტრამპის ადმინისტრაციას, ბარაკ ობამას კი მოუწოდებდა გამოეწინააღმდეგებინა რესპუბლიკელების დაშვებული შეცდომები.

მომდევნო წლებში ნაიმ გააგრძელა მსჯელობა „რბილი ძალის“ შესახებ და რბილი ძალის იდეა სრულყოფილ თეორიად აქცია. ძალის გამოყენების მექანიზმები (სამხედრო აგრესია, მუქარა, მოსყიდვა, თანამშრომლობა...) დააჯგუფა და კომპონენტებად დაშალა: რბილი ძალა (Soft Power), ხისტი ძალა (Hard Power), ჭკვიანი ძალა (Smart Power).²

ურთიერთობების ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი. ამასთან იყო პრაქტიკოსი პოლიტიკოსიც, 1970-იანი წწ. მიწურულს ხელმძღვანელობდა აშშ სახელმწიფო უშიშროების საბჭოს ბირთვული იარაღის გაუფრთხილებლობის ჯგუფს, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში იყო აშშ თავდაცვის მდივნის თანაშემწე საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულებით, ხელმძღვანელობდა აშშ სახელმწიფო დაზვერვის საბჭოს (1993/94). ჯოზეფ ნაი სახელდება როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მეცნიერი და პოლიტიკოსი. არის სხვადასხვა სახელმწიფო და საპატიო ჯილდოების მფლობელი.

¹ მომდევნო წლებში ნაიმ ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა „პოსტ-ამერიკული სამყაროს“ თემას: Joseph S. Nye, Jr. Is the American Century Over? Polity. 2015

² რბილი, ხისტი და ჭკვიანი ძალის მახასიათებლებზე ნაის მსჯელობა მოცემულია ძირითადად ორ მონოგრაფიაში: Joseph S. Nye, Jr. Soft Power.

ხისტ ძალაში მოიაზრება ყველა ტიპის აგრესია (მუქარა, ეკონომიკური ზეგავლენა, მოსყიდვა) და მას ნაიმ „სტაფილოს და ნეკების“ (carrots and sticks) პოლიტიკა უწოდა¹, რაც ჩვენი აზრით, კარგად ცნობილი „მათრახის და თაფლაკვერის“ პოლიტიკის მსგავსია.

რბილი ძალა დაკავშირებულია თანამშრომლობის სურვილთან, რომლის საფუძველი A-ს მიერ B-ს დაყოლიებაა და არა იძულება. რბილი ძალა არის უნარი, მოახდინო სხვისი არჩევანის ფორმირება ხისტი მეთოდების გარეშე. რბილი ძალის მიზანი არ არის ზეგავლენა, რომელიც ხისტი ძალით უფრო ეფექტურად მიიღწევა. რბილი ძალა არც მხოლოდ დარწმუნების უნარია – ის უფრო მეტია, ვიდრე დარწმუნება არგუმენტებით. **რბილი ძალა მოხიბვლის ძალაა** და მისი იარაღი თანამშრომლობის სურვილია ტანკის ან ფულის ნაცვლად. რბილი ძალა ჰგავს ქორწინებას, რომელიც ეფუძნება ურთიერთობის ორმხრივ სურვილს და ორმხრივ სარგებელს...² „რბილი ძალა ჰგავს ცეკვას, სადაც პარტნიორის ყოლა აუცილებელია“...³ „რბილი ძალის გამოყენება თითქოს ნაკლებ სარისკოა, ვიდრე ეკონომიკური და სამხედრო მექანიზმების, მაგრამ რთულია მისი გამოყენება, მარტივია დაკარგვა და ძვირადღირებულია აღდგენა“.⁴

რბილი ან ხისტი ძალის გამოყენების ეფექტურობისთვის ნაიმ აქცენტი გააკეთა ისეთ კლასიკურ იდეაზე, როგორიცაა **ლეგიტიმაცია** და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ახალ ცვლადს – **კონტექსტს**.⁵

The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004. Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. ავტორი თავის არგუმენტებს სხვადასხვა მაგალითებზე დაყრდნობით იმეორებს სხვა სტატიებსა და საჯარო გამოსვლებში.

¹ Joseph S. Nye, Jr. Soft Power. The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004. p. 5

² Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p. 20-24; 81-109.

³ ibid. p. 84

⁴ ibid. p. 83

⁵ ibid. p. 20-24; 81-109. Joseph S. Nye, Jr. Soft Power. The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004. p. 5-18

ლეგიტიმაცია რბილი ძალის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. თუ B აქტორს სჯერა, რომ A აქტორის ქმედებები ლეგიტიმურია, ის თანამშრომლობას განიხილავს რაციონალურად და შედეგი მიიღწევა A აქტორის მიერ განხორციელებული იძულების თუ მოსყიდვის გარეშე. რბილი ძალის ეფექტურობისთვის აუცილებელია **ინსტიტუციები**. ბრიტანეთმა XIX ს-ში და აშშ-მა XX საუკუნის მეორე ნახევარში საკუთარი ღირებულებების გავრცელება საერთაშორისო წესებისა და ეფექტური ინსტიტუციების შექმნით მოახერხეს.¹ ნაის მსჯელობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რბილი ძალით მოქმედება სისტემურობას და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

რბილი ძალის შექმნაში შესაძლოა სახელმწიფოები ერთმანეთს დაეხმარონ. ნაის მიხედვით, ამ კონტექსტში საინტერესო მაგალითია კანადის და აშშ-ის თანამშრომლობა. კანადა მონაწილეობს აშშ-ის მიერ ინიცირებულ ზოგიერთ საერთაშორისო ოპერაციაში, რაც ლეგიტიმურობას მატებს აშშ ქმედებებს, სანაცვლოდ კი იღებს აშშ-ზე ზემოქმედების გარკვეულ მექანიზმებს.²

„რბილი ძალის შედეგი შესაძლოა აღმოჩნდეს ნულოვანიც (zero-sum) და ურთიერთმომგებიანიც (positive-sum). რბილი ძალა ძალაუფლებაა სხვებთან ერთად, ნაცვლად სხვებზე ძალაუფლებისა.“³

რბილი და ხისტი ძალის გაზომვისა და მიღებული შედეგების შეფასების პროცესში აუცილებელია გავითვალისწინოთ **კონტექსტი**. თუ გვინდა გავაანალიზოთ როგორ ახდენს A ზეგავლენას B-ზე C შედეგის მისაღებად, უნდა გავითვალისწინოთ A და B აქტორების პრეფერენციები, მზაობა და ინტერესთა თანხვედრა ან შეუსაბამობა. თუ ძალას გავზომავთ მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ შეიცვალა აქტორის ქმედება და არ

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004. p. 10

² *ibid.* p.10

³ Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p.90

გავითვალისწინებთ სხვა ცვლადებს, არ შევადფასებთ სან-ყის პოზიციებსა და კონტექსტს, ანალიზი არასრულყოფილი იქნება. ძალა იცვლება კონტექსტის ცვლილებასთან ერთად და ამიტომაც **ძალა ყოველთვის იზომება კონტექსტში.** კონტექსტის ანალიზის გარეშე ყვინჩილასავით გვეგონება, რომ დილით მზე ჩვენს ყვილს ამოჰყავს. „ძალა არ არის კონვერტირებადი ვალუტა. რაც იმარჯვებს ერთ თამაშში, უსარგებლოა სხვაგან. ერთი შეხედვით მარტივად თვლადი რესურსებიც კი დამოკიდებულია კონტექსტზე. ნავთობი არ ითვლებოდა მნიშვნელოვან რესურსად ინდუსტრიულ ერამდე. ურანი კი ბირთვული იარაღის გამოგონებამდე...“¹

ნაის მსჯელობიდან და მის მიერ მოყვანილი სხვადასხვა მაგალითებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხისტი ძალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებლად, ან რბილ ძალასთან ერთად ან მასთან მონაცვლეობით. რბილ ძალას შესაძლებელია აძლიერებდეს ხისტი ძალა (განსაკუთრებით მისი ეკონომიკური კომპონენტი, რადგანაც რბილ ძალას სჭირდება რესურსები). „რბილი მომხიბვლელობა“ შესაძლებელია განხორციელდეს ხისტი ძალის დახმარებით ან ხისტი ძალის სრული გამორიცხვით. რბილი ძალა შესაძლებელია განვიხილოთ ხისტი ძალის დანამატად ან ხისტი ძალის ალტერნატივად.

ზოგიერთი აქტორი რბილი ძალით აღწევს იმ მასშტაბებს, რასაც ვერ მიაღწევდა ხისტი ძალის გამოყენებით. ხისტი ძალის სრული გამორიცხვით განხორციელებული რბილი მომხიბვლელობის მაგალითია ვატიკანი.

რბილმა და ხისტმა ძალამ შესაძლებელია ერთმანეთი დააზიანოს ან ხისტმა ძალამ სრულად გაანადგუროს რბილი მომხიბვლელობა. საბჭოთა კავშირმა სწრაფად დაკარგა რბილი მომხიბვლელობა აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაციისა და ბრუ-

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics.* Public Affairs. NY. 2004. p. 3-4

ტალური საშინაო პოლიტიკის გამო. ერაცში ოთხ კვირიანმა ომმა 2003 წელს (ამერიკული ხისტი ძალის გამარჯვება) დიდი ზიანი მიაყენა ამერიკულ რბილ ძალას და შეარყია ამერიკული მომხიბვლელი იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ აშშ-ს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹

ხისტ ძალასაც აქვს მომხიბვლელი – უძლევლობის მითი.² მრავალი მაგალითით დასტურდება, რომ სუსტ აქტორებს „მიტმასნების“ სურვილი უჩნდება იმ აქტორებთან, რომლებიც თავს „უძლევლად“ წარმოაჩენენ და ხისტი (თუნდაც არალეგიტიმური) ძალით ცდილობენ პრესტიჟის იერარქიაში დანინაურებას. აღნიშნულ კონტექსტში უდაოდ კარგი მაგალითია რუსეთის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რბილი და ხისტი ძალების გამოყენების რაციონალურობასთან დაკავშირებით, ნაი ხაზს უსვამს რბილი ძალის უპირატესობას. მისი აზრით, თანამშრომლობა უფრო ეფექტური მექანიზმია სასურველი შედეგის მისაღებად, ვიდრე იძულება. თანამშრომლობის საფუძველია ღირებულებებით მოხიბვლა და დაყოლიება თანამშრომლობის სავარაუდო სასიკეთო შედეგებით. იდეათა ბაზარში ჩვენი სურვილები სწორედ რბილი ძალის მიერ ფორმირდება.

ხისტი ძალის მექანიზმებს მხოლოდ მთავრობები ფლობს. მთავრობის ქმედებები დიდ ზეგავლენას ახდენს რბილ ძალაზეც, მაგრამ რბილი ძალა არ არის მხოლოდ მთავრობის საკუთრება. მისი წარმოება საერთო სახალხო ჩართულობას გულისხმობს, რაც კიდევ უფრო ართულებს რბილი ძალის გამოყენების ტექნიკას.³

რა შეიძლება ჩავთვალოთ რბილი ძალის მთავარ რესურსად ან მექანიზმად? ნაის მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყნის რბილი ძა-

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004. p. 14

² Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p. 86

³ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004. p.14-15

ლა სამ რესურსზეა დამყარებული: **კულტურა** (იმ ადგილებში, სადაც ის მომხიბვლელია); **პოლიტიკური ღირებულებები** (თუ გაზიარებულია საზღვრებს მიღმა); **საგარეო პოლიტიკა** (თუ მიჩნეულია ლეგიტიმურად).¹

კულტურა, რომელიც ეფუძნება უნივერსალურ ღირებულებებს, ადვილად იქცევა რბილ ძალად. ნაის აზრით, ამგვარი უნივერსალური პოლიტიკური ღირებულებებია – დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ინდივიდუალიზმი... სწორედ ეს ღირებულებები გახდა მიმზიდველი ბევრი ადამიანისა და საზოგადოებისთვის ცივი ომის დროს თუ მის შემდეგ პერიოდში. უნივერსალურმა ღირებულებებმა აშშ რბილი ძალის გენერირების მთავარ ინსტრუმენტად აქცია მსოფლიოში.

კულტურას ბევრი განზომილება აქვს. **ლიტერატურა, ხელოვნება, განათლება** – კულტურაა ელიტებისთვის. კულტურის ზოგიერთი ასპექტი უნივერსალურია, ზოგი ნაციონალური, ზოგიერთი კი სოციალური კლასების და მცირე ჯგუფების კუთვნილება.²

ნაი ერთ-ერთი მძლავრ ინსტრუმენტად **განათლებას** მოიაზრებს რბილი მომხიბვლელობის შესაქმნელად. ცნობილი ფაქტია, რომ აშშ-ში ყოველწლიურად ასიათასობით უცხოელი სტუდენტი სწავლობს და მსოფლიოს მრავალ პოლიტიკურ ლიდერს (მათ შორის, მოქმედ და ყოფილ სახელმწიფო მეთაურებს) ამერიკული განათლება აქვს მიღებული და მათი უმრავლესობა მოხიბლულია ამერიკული ღირებულებებით. გვინდა დავეთანხმოთ ნაის განათლების მნიშვნელობის შეფასებაში, თუმცა შედეგები ვერ იქნება ერთგვაროვანი სხვადასხვა კონტექსტში.

საბჭოთა კავშირი ასევე ცდილობდა უცხოელი სტუდენტების მოზიდვას. მაგალითად, მოსკოვში ფუნქციონირებდა პა-

¹ Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.84

² Joseph S. Nye, Jr. Soft Power. The Means to Success in World Politics. Public Affairs. NY. 2004. p. 11; 44-72. Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.84

ტრის ლუმუმბას სახელობის საერთაშორისო ინსტიტუტი ძირითადად აფრიკიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის. თუმცა საბჭოთა მომხიბვლელობა აფრიკის კონტინენტზე მოკლევადიანი აღმოჩნდა.¹ ათ წელზე მეტია საგანმანათლებლო რბილი ძალის გამოყენება დაიწყო ჩინეთმაც, სადაც საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა აშშ-ში არსებულ სტუდენტთა რაოდენობას, მაგრამ შედეგები განსხვავებულია.

საბჭოთა კავშირის, აშშ-ის და ჩინეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგების შეფასება ერთ სიბრტყეში შეუძლებელია. მთავარ მიზეზად ისევ ლეგიტიმაცია, კონტექსტი და განათლების უნივერსალურ ღირებულებებზე დაფუძნება მიგვაჩნია.

ღირებულებების გავრცელების პროცესში არცთუ უმნიშვნელოა მასკულტურის როლი. ნაის მაგალითად მოჰყავს ადამიანის უფლებათა დამცველი ახალგაზრდა ჩინელი აქტივისტის მიერ გაკეთებული განცხადება: „როდესაც ჰოლივუდურ ფილმებში ვხედავთ, როგორ დადიან რიგითი ამერიკელები სასამართლოში, დავფიქრდით იმაზე, რომ სასამართლო ჩვენი ცხოვრების ისეთივე გარდაუვალი ნაწილია, როგორც სხვა მოვლენები“. ნაის დასკვნით, ამგვარი მაგალითი იმის მაუწყებელია, რომ ჰოლივუდმა შესაძლებელია უფრო მეტად შეუწყოს ხელი ადამიანების ცნობიერების გაზრდას უნივერსალური ღირებულებების მიმართ, ვიდრე ამერიკელი ელჩების გამოსვლამ სასამართლო რეფორმების მხარდაჭერის რეკომენდაციით.²

¹ Constantin Katsakioris. The Lumumba University in Moscow: Higher Education for a Soviet-Third World alliance, 1960-91. *Journal of Global History*. Vol. 14. Issue 2. p. 281-300. Published online by Cambridge University Press on July 08, 2019. <https://www.cambridge.org/core/journals/journal-of-global-history/article/lumumba-university-in-moscow-higher-education-for-a-sovietthird-world-alliance-196091/8720DF55AA0CEBC782EC8B215AC08D47/core-reader>

² Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004. p.12

ნაის აზრით, სწორედ უნივერსალური ღირებულებების არსებობის შედეგია აშშ რბილი ძალის ეფექტურობა. ნაი იმონებს გერმანელი ჟურნალისტისა და მეცნიერის ჯოზეფ ჯოფის სიტყვებს, რომ აშშ რბილი ძალა აშშ ტანკებზე შორს მიდის (რაც არ განისაზღვრება მხოლოდ ჰოლივუდური პროდუქციის, კოკა-კოლას თუ ბიგ-მაკის მოხმარებით), ხოლო რომის იმპერიის და საბჭოთა კავშირის რბილი ძალა მათ საზღვრებთან მთავრდებოდა.¹

რბილი ძალის მექანიზმებია **ვაჭრობა, პირადი კონტაქტები, ვიზიტები.**² ჩამოთვლილი ასპექტები სახალხო დიპლომატიის შემადგენელი ნაწილებია. პოლიტიკის დოკუმენტებსა თუ ანგარიშებში სწორედ სახალხო დიპლომატია მოიხსენიება რბილი ძალის გავრცელების მთავარ მექანიზმად. სახალხო დიპლომატიას და მის ტრანსფორმაციას XXI საუკუნეში შემდეგ პარაგრაფში მიმოვიხილავთ, ამჯერად კი დავუბრუნდეთ ნაის მსჯელობის ლოგიკას.

რბილი ძალის რესურსების ეფექტურობა ფარდობითია და კონტექსტში უნდა დავინახოთ და შევაფასოთ: ტანკით ვერ იომებ ჭაობსა და ჯუნგლებში; რკინის და ქვანახშირის საბადოები ვერ გაგამდიდრებს, თუ ინდუსტრია არ გაქვს; ჰოლივუდის ფილმებმა შესაძლოა ამერიკული ცხოვრების წესი მომხიბვლელი გახადოს ჩინეთსა თუ ლათინურ ამერიკაში, მაგრამ არა საუდის არაბეთში; კოკა-კოლას დაღვევა ვერ აიძულებს ისლამურ ქვეყნებს ამერიკის სიყვარულს; ფრანგული ღვინო და ყველი თუ გიყვარს, აუცილებელი არ არის საფრანგეთით იყო მოხიბლული... შესაძლოა ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფებს განსხვავებული მიმღებლობა ჰქონდეთ უნივერსალური ღირებულებების მიმართ, რაც ჯგუფებს შორის სოციალური კონფლიქტის ალბათობას წარმოშობს...³

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics.* Public Affairs. NY. 2004. p.11

² *ibid.* p 13-14

³ *ibid.* p. 12

უნივერსალური ღირებულებების გავრცელების პროცესში, დიდი სახელმწიფოები ცდილობენ შექმნან ღირებულებითი **ნარატივები**. ნარატივი ვერ გამოდგება რბილი ძალის მექანიზმად, თუ სიტყვები და სიმბოლოები შეუსაბამოა რეალობასთან. მოხიზვლის მცდელობა შეიძლება გადაიქცეს ანტიპატიად, თუ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული „რბილი ქმედება“ ქედმაღლურია ან ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობა. „რბილი ძალის ნარატივი“ საჭიროებს ლეგიტიმურობას და მისი არალეგიტიმურობა ხშირად პირდაპირ კავშირშია რბილი ძალის გამავრცელებლის **შიდა პოლიტიკურ** პრობლემებთან. ნაის მიხედვით, XX საუკუნის რასიზმის პრობლემამ სრულიად არაეფექტური გახადა ამერიკული რბილი ძალა აფრიკის კონტინენტზე, ხოლო სიკვდილით დასჯისა და იარაღზე სუსტი კონტროლის გამო აშშ-ს დღესაც აკრიტიკებენ ევროპული ქვეყნები.¹

მცირეოდენ ინტერპრეტაციას თუ მოვახდენთ, ერთი სახელმწიფოს რბილი ძალის დასუსტებამ ან არაეფექტურობამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს მეტოქე სახელმწიფოს რბილი ზეგავლენის ზრდას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე. სსრკ წარმატებები ცივი ომის დასაწყისში სწორედ ამ კონტექსტში შეგვიძლია გავიაზროთ. აფრიკისა და აზიის ქვეყნების მოსახიზლად, საბჭოთა კავშირმა გამოიყენა მარტივი ნარატივი – მარქსისტულ სოციალურ თანასწორობასა და ეთნიკურ კოსმოპოლიტიზმზე დაფუძნებული საბჭოთა იდეოლოგია წარმოაჩინა უპირატესად „რასიზმით დაავადებული“ ამერიკისა და ყოფილი კოლონიზატორების (ევროპული სახელმწიფოები) კაპიტალისტური უთანასწორობის იდეის წინააღმდეგ. როგორც ისტორიამ გვაჩვენა, შედეგი ეფექტური აღმოჩნდა, თუმცა არა გრძელვადიანი. სსრკ ნარატივი დარჩა ნარატივად მისი ქმედებების ორმაგი სტანდარტის გამო.

რბილი ძალის ნარატივმა შესაძლოა საპირისპირო შედეგიც მოიტანოს. ნაის მოჰყავს ლუმეტის ფილმის მაგალითი.²

¹ *ibid.* p. 13

² *ibid.* p. 17

აშშ დისკრედიტაციის მიზნით და სსრკ სასამართლო სისტემის უპირატესობის დასამტკიცებლად, საბჭოთა მოქალაქეებს აწვევენ სიდნეი ლუმეტის „12 განრისხებული მამაკაცი“. შედეგი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა – საბჭოთა მოქალაქე გათვითცნობიერდა ამერიკული სამართლის წარმოების სპეციფიკაში (კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი) და აღფრთოვანდა მისით. ამ კონტექსტში საინტერესოა ცნობილი საბჭოთა მწერლების, ილია ილფის და ევგენი პეტროვის თხზულების „ერთსართულიანი ამერიკის“¹ მაგალითიც. წიგნი დაიწერა საბჭოთა მთავრობის დაკვეთით აშშ დისკრედიტაციის მიზნით, მაგრამ გამოქვეყნებისთანავე აიკრძალა, ვინაიდან ეფექტი განზრახულისგან სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა.

რბილი მომხიბვლელობის მთავარ სირთულედ სწორედ ის მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია მისი შედეგების ზუსტი გათვლა და მოვლენებზე სრული კონტროლი რბილი ძალის გამავრცელებელი ჯგუფის თუ სახელმწიფოს მხრიდან. როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯი: აგრესია (ხისტი ძალა), რბილი ძალის სამიზნის და/ან მექანიზმების შეცვლა (რბილი ძალის კონტექსტზე მორგება) თუ სრულიად ახალი ტიპის პრიორიტეტების დასახვა (ჭკვიანი ძალა)?

ნაის განმარტებით **ჭკვიანი ძალა** არც ხისტია და არც რბილი, ის ორივეა და მათი კომპონენტების ერთდროულად ან მონაცვლეობით რაციონალურად გამოყენებას გულისხმობს.² **„ძალა და ძალაუფლება არც კარგია თავისი არსით და არც ცუდი. ის კალორიას ჰგავს კვების რაციონში – მეტი არ ნიშნავს უკეთესს...“**³ ჭკვიანი ძალა **„ლიბერალური რეალიზმი“** – ლიბერალიზმის და რეალიზმის ერთგვარი სინთეზი.⁴

ჭკვიანი ძალა სტრატეგიული აზროვნების უნარია: პრიორიტეტების განსაზღვრა და კონტექსტზე მორგება, სურვი-

¹ ილფი და პეტროვი. ერთსართულიანი ამერიკა. თბ. 2015.

² Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p. 3-24; 207-234

³ ibid. p. 207

⁴ ibid. p. 231

ლების და ინტერესების სტრატეგიული იერარქიის შექმნა... პროცესის სტრატეგიულად დასაგეგმად პასუხი უნდა გავცეთ შემდეგ შეკითხვებს: რომელ მიზნებს ვანიჭებთ უპირატესობას და რა ტიპის შედეგების მოლოდინი გვაქვს? თამაშის რომელი წესები იქნება ადექვატური ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად? რა ტიპის კონტექსტში იქნება გამართლებული ძალაუფლების სხვებზე თავს მოხვევა და რა შემთხვევაში აჯობებს ძალაუფლების სხვებისთვის განაწილება? შედეგზე ნულოვანი თამაშის წესი (zero-sum game) გავიყვანს თუ მოგება-მოგება (win-win game) სტრატეგია? რა რესურსებია ხელმისაწვდომი და რა კონტექსტშია შესაძლებელი მათი გამოყენება? რა არის სამიზნე საზოგადოების პოზიცია და პრეფერენცია? რა ალბათობა აქვს წარმატებას?¹

ჩვენი შეჯამებით, ჭკვიანი ძალა გულისხმობს დიპლომატიის, თავდაცვის, მდგრადი განვითარების და სხვა მსგავსი ინსტრუმენტების ინტეგრირებულ გამოყენებას, კომპლექსურ და კოორდინირებულ ქმედებას კონტექსტის შესაბამისად.

ნაის თეორიის მიმართ თავდაპირველი სკეპსის მიუხედავად რბილი ძალის თეორიას ბევრი მიმდევარი, მიმომხილველი და გამგრძელებელი გამოუჩნდა ბოლო წლებში.

2017 წელს გამოცემულ რბილი ძალის სახელმძღვანელოში ერთ-ერთმა ავტორმა და სახელმძღვანელოს რედაქტორმა ნარენ ჩიტიმ რბილი და ხისტი ძალა პასიურ და აქტიურ კატეგორიებად დაჰყო: მიზანმიმართული ხისტი ან რბილი ზეგავლენა აქტიურ კატეგორიად შეაფასა, არამიზანმიმართული ხისტი ან რბილი ზეგავლენა კი პასიურად.² ამგვარ დაყოფას რბილი ძალის თეორიის დისკურსში შემოაქვს ახალი ასპექტები: რბილი მოხიბვლა შესაძლებელია რბილი ძალის გამცემის თუ რბილი ძალის მიმღების წინასწარ განზრახულობის გარეშეც. რბილი

¹ Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p. 208-209

² Naren Chitty. *Soft Power, Civic Virtue and World Politics*. in: *Routledge Handbook of Soft Power*, edited by Naren Chitty, Li Ji, Gary D. Rawnsley, Craig Hayden. Abingdon. Oxon. New York, 2017. p.26

ძალის მწარმოებელი მზად უნდა იყოს გაუთვალისწინებელი შედეგებისთვის, მან შესაძლოა ვერ მიაღწიოს მიზანს სამიზნე ჯგუფთან, მაგრამ განხორციელებული ძალისხმევის შედეგად „მოხიბლოს“ სხვა ჯგუფი, რომელიც თავდაპირველ პრიორიტეტს არ წარმოადგენდა.

2017 წელს, ქრისტოფერ უოლკერმა და ჯესიკა ლუდვიგმა რბილი/ხისტი/ჭკვიანი ძალების კატეგორიას მიამატეს ახალი განზომილება – **ბასრი ძალა** (Sharp Power). მათი განმარტებით, ისეთი ავტორიტარული ქვეყნები, როგორც რუსეთი და ჩინეთი, რბილ ძალას იყენებენ საკუთარი ავტორიტარიზმის გასავრცელებლად და ზეგავლენის გასაზრდელად სხვა ქვეყნებში, რაც სცილდება რბილი ძალის ნაისეულ დეფინიციას.¹ ჯოზეფ ნაი გამოეხმაურა ახალი ტერმინის შემქმნელებს და დაეთანხმა ახალი ტერმინის ვალიდურობაში. თუმცა, მისი აზრით, ბასრი ძალა ხისტი ძალის ქვესახეობაა და არა ცალკე კატეგორია.² იდეებით მანიპულაცია და იდეოლოგიზირებული მესიჯები პოლიტიკური პროცესების შესაცვლელად ცივი ომის დროინდელი ცნობილი ტექნიკაა. თუ ბასრ ძალაში ვიგულისხმებთ მტრული მიზნების განხორციელებისთვის მიზანმიმართულ დეზინფორმაციას, ეს ხისტ ქმედებად უნდა შეფასდეს და არა რბილ ზეგავლენად. ნაის მოჰყავს მაგალითი ცივი ომის დროინდელი პროპაგანდიდან. 1980-იან წლებში საბჭოთა უშიშროებამ (КГБ) გაავრცელა ხმები, რომ შიდსის ვირუსი აშშ მთავრობამ ხელოვნურად გამოიყვანა ლაბორატორიებში და გაავრცელა მსოფლიოში, როგორც ბიოლოგიური იარაღი. სტატია აღნიშნული ინფორმაციით პირველად დაიბეჭდა

¹ Walker Christopher, Ludwig Jessica. The Meaning of Sharp Power. How Authoritarian States Project Influence. Foreign Affairs, November 16, 2017. <https://www.foreignaffairs.com/articles/china/2017-11-16/meaning-sharp-power>

² რუსეთის და ჩინეთის მაგალითების მოხსენიებისას, მონოგრაფიაში ნაი რუსეთს ხისტი ძალის განმახორციელებლად მიიჩნევს, ხოლო ჩინეთს „ჭკვიანი ძალის“ შექმნის მსურველად მოიაზრებს. მსჯელობის ძირითადი არგუმენტები მიმართულია ტექნოლოგიების განვითარებაზე. იხ. Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p. XI; 36.

დელის (ინდოეთი) ადგილობრივ გაზეთში და შემდეგ მთელი მსოფლიო მოიცვა.¹

ნაი ყურადღებას ამახვილებს ბასრი ძალის გაუნებე-
ლყოფის სირთულეებზე და მას „დემოკრატიულ დილემას“²
ადარებს. დემოკრატიული სისტემა თუ ეცდება ინფორმაციის
შეზღუდვას და/ან ცენზურას საკუთარი ღირებულებების და-
საცავად, საფრთხე დაემუქრება დემოკრატიის მთავარ ღირე-
ბულებას – სიტყვის თავისუფლებას.

ჩვენ ვიზიარებთ რბილი ძალის თეორიის ახალი კონტრიბუ-
ტორების ტერმინს „ბასრი ძალა“, რადგან რუსეთის და ჩი-
ნეთის მიერ ზეგავლენის მოხდენის მცდელობა „რბილი“ და
„ხისტი“ მექანიზმების ერთობლიობაა და არა რომელიმე ერთი
მათგანი. სახელმძღვანელოში ტერმინი „რბილი ძალა“ დასავ-
ლურ ინსტიტუციურ ქმედებებზე დაფუძნებულ „მოხიბვლის
ძალად“ განიხილება, ხოლო ტერმინი „ბასრი ძალა“ გამიჯნუ-
ლია რბილი ძალისგან და რუსეთის და ჩინეთის პოლიტიკას-
თან მიმართებაში გამოიყენება.

ვინაიდან როგორც რბილი, ასევე ხისტი ძალის გავრცელე-
ბა ორი მხარის არსებობას მოიაზრებს, ანალიზის სიმარტივე-
ისთვის შემოგვაქვს ტერმინები: „ძალის გამავრცელებელი“ და
„ძალის მიმღები“.

საწყის ეტაპზე ნაის რბილი ძალის თეორიას მიმდევარ-
ზე მეტი კრიტიკოსი გამოუჩნდა. სკეპტიკოსები უარს აც-
ხადებდნენ ნაის ანალიზი „თეორიის რანგში“ განეხილათ.

¹ Nye Joseph S. Jr. How sharp power threatens soft power. The right and wrong ways to respond to authoritarian influence. Foreign Affairs, January 24, 2018. <https://www.foreignaffairs.com/articles/china/2018-01-24/how-sharp-power-threatens-soft-power>

² ტერმინი „დემოკრატიული დილემა“ გამოიყენეს ნიგნის სათაურად არტურ ლუპიამ და მეთიუ მაკკუბინსმა 1998 წ. იხ. Arthur Lupia, Mathew D. McCubbins. The Democratic Dilemma. Can Citizens Learn What They Need To Know? Cambridge University Press. 1998.

კრიტიკოსებმა კი თეორიის კრიტიკის მნიშვნელოვანი არგუმენტები ჩამოაყალიბეს. მათ შორის, ერთ კონკრეტულ ქვეყანაზე (აშშ) მორგებული თეორია რამდენად შესაძლებელია შეირაცხოს საერთაშორისო თეორიად და საინტერესო გახდეს სხვა საზოგადოებებისთვისაც? **არის თუ არა რბილი ძალის თეორია ყველასთვის გამოსადეგი?**

კრიტიკის სხვა არგუმენტები მიმართული იყო თავად თეორიის შინაარსზე. ზოგიერთი ავტორისთვის ნაის მსჯელობა იმეორებს ნეოლიბერალიზმის იდეებს და მასში სხარტი მეტაფორების გარდა არაფერია სიახლე. სხვა ავტორების აზრით, თეორია არააკადემიურია – **მოდური თეორია, რომელიც ზედმეტად ამარტივებს საერთაშორისო პოლიტიკის აღქმას.** „რბილი ძალა – რუსეთს სურს ის, აშშ კარგავს მას, ჩინეთი ვერ ყიდულობს საკმარისი რაოდენობით“¹ – ასეთია ერთი თეორიით აღწერილი საერთაშორისო პოლიტიკა.

იმ მკვლევარებმა, რომლებმაც მეტ-ნაკლებად საინტერესოდ ჩათვალეს ნაის მსჯელობა, ხაზი გაუსვეს თეორიის მთავარ სისუსტეებს: **სად გადის ზღვარი რბილ, ხისტსა და ჭკვიან ძალას შორის? შესაძლებელია რბილი ძალის წარმოება ხისტი ძალის გარეშე? როგორია რბილი ძალის გამოყენების ლიმიტი? როგორ გავზომოთ რბილი და ხისტი ძალების მახასიათებლები და მიღწეული შედეგები?**

კრიტიკის ზოგიერთ არგუმენტს დრომ გასცა პასუხი. ნაის ტერმინები სწრაფად დამკვიდრდა როგორც თეორეტიკოსთა, ასევე პრაქტიკოს პოლიტიკოსთა ლექსიკაში. დღეს ინტერნეტის საძიებო სისტემებში ტერმინ „რბილი ძალის“ ჩანერა მილიონობით შედეგს გვაძლევს. ნაის ტერმინებს იყენებენ აკადემიურ კვლევებში, ორგანიზაციების ანგარიშებში, საერთაშორისო და ლოკალურ კონფერენციებსა თუ ფორუმებში. აღნიშნული ფაქტი აბათილებს კრიტიკის არგუმენტებს თეორიის ვალიდურობასთან დაკავშირებით, თუმცა ტერმინის

¹ PS. In Theory: Soft Power. September 27. 2017. <https://www.youtube.com/watch?v=yV-iAjrv14>

მზარდი გამოყენება აჩენს ახალ პრობლემებს – თეორიის იმპროვიზირება და ტერმინების ზედტერმინირება.

დღეს რბილი ძალა ხშირად ნიშნავს ყველაფერს და გაუგებარი ხდება, კონკრეტულად რას გულისხმობს ის. მაგალითად, ნაიმ რბილი ძალის მთავარ რესურსად მხოლოდ სამი განზომილება დაასახელა (კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები, საგარეო პოლიტიკა). ყოველდღიური გამოყენების დროს კი „რბილი ძალა“ სახელმწიფოებრივი ძალის რბილი ინსტრუმენტების სინონიმად იქცა. თავად ნაიც აღნიშნავს, რომ მასობრივად გამოყენების შემთხვევაში იკარგება რბილი ძალის იდეის მთავარი აზრი და ტერმინი ხშირად მოიაზრებს ყველაფერს, რაც სამხედრო ძალა არ არის.¹

ნაისთვის რბილი და ხისტი ძალა არ არის მხოლოდ ინსტრუმენტი, ის უფრო მეტად შედეგია. ძალის რბილი მექანიზმების გამოყენება შესაძლებელია ხისტი მიზნებისთვის და პირიქით.

ნაის თეორიის მთავარ სისუსტედ კვლავ რჩება ანალიზის მეთოდოლოგიის და გაზომვადობის პრობლემა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი მეთოდებით პოლიტიკური მოვლენებისა და იდეების გაზომვა ზოგადად იქცა დღევანდელი, კომპლექსური სამყაროს გამოწვევად. საერთაშორისო აკადემიურ წრეებში სულ უფრო ხშირად კეთდება აქცენტი მეთოდოლოგიური პრიორიტეტების ცვლილების აუცილებლობაზე, რაოდენობითი კვლევებიდან თვისობრივი კვლევებისკენ.

გაზომვადობასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გარკვეული წინსვლა ამ მიმართულებითაც. პორტლენდმა შეიმუშავა რბილი ძალის გაზომვის მეთოდოლოგია და შექმნა სპეციალური პლატფორმა, სადაც 2015 წლიდან დანყებული ყოველი წლის ბოლოს ხდება რბილი ძალის ინდექსების ანგარიშების განთავსება (სულ 5 ანგარიში).²

¹ Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.81.

² The Soft Power 30. <https://softpower30.com>

პორტლანდის მეთოდოლოგიის გაცნობა და მისი ანგარიშების შედარებით ქრილში შესწავლა-ანალიზი განსაკუთრებით საინტერესოა რბილი ძალის თემატიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვის.

2018 წლის მონაცემებით, პირველ ხუთეულს შეადგენდნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, აშშ და იაპონია... ჩინეთი და რუსეთი 27-ე და 28-ე ადგილებს ინაწილებდნენ...¹ 2019 წლის ინდექსის მიხედვით, პირველ ხუთეულს შეადგენენ: საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, შვედეთი და აშშ. რუსეთის ფედერაცია მოკრძალებულ 30-ე ადგილს იკავებს, ჩინეთი კი საერთოდ არ არის მოხსენიებული.²

ბიბლიოგრაფია:

1. ილფი და პეტროვი. ერთსართულიანი ამერიკა. თბ. 2015
2. Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004
3. Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011
4. Joseph S. Nye, Jr. *Is the American Century Over?* Polity. 2015
5. Joseph S. Nye, Jr. *Responding to my critics and concluding thoughts*. in: *Soft Power and Us Foreign Policy. Theoretical and Contemporary perspectives*. Edited by Inderjeet Parmar and Michael Cox. Routledge. 2010
6. Nye Joseph S. Jr. *How sharp power threatens soft power. The right and wrong ways to respond to authoritarian influence*. *Foreign Affairs*, January 24, 2018. <https://www.foreignaffairs.com/articles/china/2018-01-24/how-sharp-power-threatens-soft-power>
7. Hendrick W. Ohnesorge. *Soft Power. The Forces of Attraction in International Relations*. Springer. 2020
8. *Routledge Handbook of Soft Power*, edited by Naren Chitty, Li Ji, Gary D. Rawnsley, Craig Hayden. Abingdon. Oxon. New York, 2017

¹ The Soft Power 30. A global Ranking of Soft Power 2018. Portland. <https://softpower30.com/wp-content/uploads/2018/07/The-Soft-Power-30-Report-2018.pdf>

² The Soft Power 30. A global Ranking of Soft Power 2019. Portland. <https://softpower30.com/wp-content/uploads/2019/10/The-Soft-Power-30-Report-2019-1.pdf>

9. Colin S. Gray. Hard Power and Soft Power: The Utility of Military Force as an Instrument of Policy in the 21st Century. SSI. 2011. <https://ssi.armywarcollege.edu/hard-power-and-soft-power-the-utility-of-military-force-as-an-instrument-of-policy-in-the-21st-century>
10. Constantin Katsakioris. The Lumumba University in Moscow: higher education for a Soviet-Third World alliance, 1960-91. *Journal of Global History*. Vol. 14. Issue 2. pp. 281-300. Published online by Cambridge University Press on July 08, 2019. <https://www.cambridge.org/core/journals/journal-of-global-history/article/lumumba-university-in-moscow-higher-education-for-a-sovietthird-world-alliance-196091/8720DF55AA0CEBC782EC8B215AC08D47/core-reader>
11. Zachary Keck. The Hard Side of Soft Power. *The Diplomat*. July 24, 2013. <https://thediplomat.com/2013/07/the-hard-side-of-soft-power/>
12. Walker Christopher, Ludwig Jessica. The Meaning of Sharp Power. How Authoritarian States Project Influence. *Foreign Affairs*, November 16, 2017. <https://www.foreignaffairs.com/articles/china/2017-11-16/meaning-sharp-power>
13. The Soft Power 30. <https://softpower30.com>
14. The Soft Power 30. A global Ranking of Soft Power 2019. Portland. <https://softpower30.com/wp-content/uploads/2019/10/The-Soft-Power-30-Report-2019-1.pdf>
15. The Soft Power 30. A global Ranking of Soft Power 2018. Portland. <https://softpower30.com/wp-content/uploads/2018/07/The-Soft-Power-30-Report-2018.pdf>
16. PS. In Theory: Soft Power. September 27. 2017. <https://www.youtube.com/watch?v=yV-jAjjrv14>

კითხვები და დავალებები:

1. როგორ გესმის წინადადება: „რბილი ძალა ისევე მრავალგვარად იქნა გაგებული და ზედტერმინებული, როგორც ბევრი სხვა საყოველთაო ტერმინი.“
2. განმარტე ტერმინები: რბილი, ხისტი, ჭკვიანი ძალა.
3. როგორ გესმის წინადადება: „როდესაც ვზომავთ ძალას იმის მიხედვით, როგორ შეიცვალა სხვების მოქმედება, პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ მათი პრეფერენციების შესახებ“.
4. როგორ ფიქრობ, რატომ იზომება ძალა ყოველთვის კონტექსტში?

5. შენი აზრით, როგორ შეიძლება კულტურა და ნარატივი იქცეს რბილ ძალად? მოიყვანე მაგალითი.
6. როგორ ფიქრობ, ლეგიტიმური ქმედება რატომ არის აუცილებელი პირობა რბილი ძალის ეფექტურად განხორციელებისთვის?
7. იმსჯელე რბილი ძალის რესურსებსა და მექანიზმებზე.
8. ეთანხმები თუ არა განმარტებას: „იდეათა ბაზარში ჩვენი სურვილები სწორედ რბილი ძალის მიერ ფორმირდება“.
9. როგორ ფიქრობ, რა ტიპის რბილმა ძალამ მოახდინა შენზე გავლენა ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე?
10. გაეცანი სიდნეი ლუმეტის ფილმს „12 განარისხებული მამაკაცი“, ილია ილფის და ევგენი პეტროვის თხზულებას „ერთ-სართულიანი ამერიკა“. როგორ ფიქრობ, რატომ მოახდინა აღნიშნულმა ფილმმა და წიგნმა განზრახულისგან საპირისპირო გავლენა საბჭოთა მოქალაქეზე?

1.3. ციფრული რევოლუცია, ძალის დიფუზია და ტრანზიცია, ახალი სახალხო დიპლომატია

- ციფრული რევოლუცია და მისი გამოწვევები
- ძალის დიფუზია და მისი ზეგავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე
- ციფრული გლობალიზაცია და კიბერფეოდალიზმი
- ახალი სახალხო დიპლომატია

მსოფლიო ისტორიაში ცნობილი კანონზომიერებაა, რომ ტექნოლოგიურ ცვლილებებს ყოველთვის მოჰყვება საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია. მსოფლიო ისტორიოგრაფია ასახელებს სამ ინდუსტრიულ რევოლუციას, რომელმაც შეცვალა

მსოფლიოს ისტორია, საერთაშორისო წესრიგის ლოგიკა და თითოეული ინდივიდის ცხოვრება.

პირველ ინდუსტრიულ რევოლუციად მოინათლა XVIII-XIX სს. მიჯნა. რევოლუცია დაუკავშირდა ახალი ტიპის ენერჯის აღმოჩენას – ორთქლის ძრავას, რომელმაც ხელი შეუწყო წარმოების მექანიზაციას, სწრაფ ურბანიზაციას, რამაც თავის მხრივ განაპირობა პრე-მოდერნული პოლიტიკური სისტემების და სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ეკონომიკის ტრანსფორმაცია.

მეორე ინდუსტრიული რევოლუცია XIX ს-ის მიწურულს ენერჯის ახალი წყაროების, ნავთობის და გაზის აღმოჩენას უკავშირდება. ეს ეპოქა დაკავშირებულია მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან, მასობრივ წარმოებასთან, კომუნიკაციის ახალი ფორმების შექმნასთან (ტელეფონი, ტელეგრაფი...), ტრანსპორტის განვითარებასთან (ავტომობილი, თვითმფრინავი...).

მესამე ინდუსტრიული რევოლუცია უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს: ხელოვნური ინტელექტის გამოგონება; ციფრული და კომპიუტერული სისტემების შექმნა-განვითარება; ინფორმაციის შექმნის, დამუშავების და გაზიარების ახალი საშუალებები...

მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ უახლეს ტექნოლოგიურ ცვლილებებს – გენური ინჟინერიის განვითარება, ხელოვნური ინტელექტის ახალი ფორმები, ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტა...¹

ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ამჟამად მსოფლიო იმყოფება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისში და საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ტრანსფორმაცია კიდევ უფრო მასშტაბური იქნება, ვიდრე წინა სამი რევოლუციის შემთხვევაში.

¹ Klaus Schwab. The Fourth Industrial Revolution: what it means, how to respond. World Economic Forum. 14 January, 2016. <https://www.weforum.org/agenda/2016/01/the-fourth-industrial-revolution-what-it-means-and-how-to-respond>

წინა სამი რევოლუციისგან განსხვავებით, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია უკავშირდება არა ახალი რესურსების აღმოჩენას, არამედ ახალი უნარების განვითარებას და ინფორმაციის დაუბრკოლებელ მიმოცვლას.

ინტერნეტის გამოგონებამ და ვირტუალური რეალობის შექმნამ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეტაპი შექმნა. ეს მიმდინარე პროცესია და მის შედეგებზე ჯერ ნაადრევია საუბარი, თუმცა ყველასთვის ცხადია მისი ამჟამინდელი და მომავალი მასშტაბები. უკვე ნათელია, რომ ადამიანური ყოფიერების ყველა სფერო (პოლიტიკა, ეკონომიკა თუ რელიგია) დაუკავშირდა ციფრულ ტრანსფორმაციას. ისიც გასაგებია, რომ უახლოეს მომავალში კიბერთავდაცვა და კიბერუსაფრთხოება სახელმწიფოების მთავარ გამონწვევად იქცევა, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროფესიები – ყველაზე მოთხოვნადად, სახელმწიფოების სამხედრო ძალისა თუ ეკონომიკური განვითარების მთავარი საფუძველი კი ხელოვნური ინტელექტის განვითარების უნარი ან უუნარობა გახდება.

რა ცვლილებებს გამოიწვევს ციფრული რევოლუცია საერთაშორისო პოლიტიკაში? როგორ გაგრძელდება პროცესი?

უპირველეს ყოვლისა, მიმოვიხილოთ რბილი ძალის თეორიის ავტორის, ჯოზეფ ნაის არგუმენტები. გარდა წინა პარაგრაფში მიმოხილული ტერმინებისა, XXI საუკუნის ძალის ცვალებადობის განმსაზღვრელად ნაიმ დაამკვიდრა კიდევ ორი ტერმინი: **ძალის ტრანზიცია** და **ძალის დიფუზია**. ძალის ტრანზიციაში (ძალის გადასვლა, გადატანა) ავტორი მოიაზრებს ძალის გადასვლას ერთი აქტორისგან მეორე აქტორზე. ამგვარი ტენდენცია ისტორიულად აპრობირებული პროცესია: ერთ იმპერიას მეორე ცვლიდა, ჰეგემონები ჩნდებოდნენ, სუსტდებოდნენ და ქრებოდნენ.¹ ფენომენს, რომელსაც ნაიმ ძალის ტრანზიცია დაარქვა, სოციალური მეცნიერებების ბევრი თეორია შეისწავლის და სხვადასხვაგვარად ხსნის.

¹ Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.113.

ნაისეული „ძალის დიფუზია“¹ (ძალის კომპონენტებად დაშლა) უახლოვდება საერთაშორისო ურთიერთობების პოსტმოდერნულ ხედვას და გულისხმობს ახალი აქტორების გამოჩენას საერთაშორისო პოლიტიკაში, მათ შორის ისეთი აქტორების, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა ორიოდ ათწლეულის წინ. დღეს ძალა აღარ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ორგანიზაციებს, ჯგუფებს და ინდივიდებსაც კი. ესა თუ ის სახელმწიფო მთელი თავისი შთამბეჭდავი შეიარაღების რესურსით რეალური საფრთხის წინაშე შეიძლება დააყენოს კომპიუტერით შეიარაღებულმა ერთმა ტერორისტმა, ერთმა ჰაკერმა თუ ხუთიოდ კაცისგან შემდგარმა ტროლების ჯგუფმა. თანამედროვე გლობალიზებულ, ტექნოლოგიურ საუკუნეში, თვით ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოებიც ვეღარ აკონტროლებენ პროცესებს სრულად. 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკის ტერაქტმა სწორედ ამ ეპოქის დაწყება გვამცნო.

რა არის ასეთი მნიშვნელოვანი ციფრულ რევოლუციაში? ერთი საუკუნის წინ ევროპიდან აშშ-ში დარეკვის ფასი ორ ასეულ დოლარს აჭარბებდა (რაც იმ ეპოქისთვის მთელ ქონებას წარმოადგენდა), დღეს კი უფასოა; სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ პირველ გამომთვლელ მანქანებს მთელი ოთახის ფართობი ეჭირა, დღეს კი იმ მოცულობის ინფორმაციაზე ასჯერ და ათასჯერ მეტი შეიძლება ჩვენი სმარტფონის ჩიპში ჩაეტიოს; დღეს ხელოვნური ინტელექტი წუთებში ქმნის და ამუშავებს იმ მოცულობის ინფორმაციას, რასაც ადამიანი მთელ საუკუნეს ანდომებდა... მაგალითები ბევრია, თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ციფრული რევოლუციის მთავარ მახასიათებლად არ უნდა დავასახელოთ მხოლოდ მონაცემების რაოდენობრივი ზრდა, სერვისის გაიაფება თუ პროცესის გამარტივება და დაჩქარება. ციფრულ რევოლუციას მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციად სწორედ იმ მიზეზით

¹ ძალის ტრანზიციასა და დიფუზიაზე მსჯელობა იხ. Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p. 113-204.

მოვიხსენიებთ, რომ ის იწვევს ძალის დიფუზიას, რაც **სრულიად ცვლის ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტს.**

ტექნოლოგიური რევოლუციის პირველ ეტაპზე გაჩნდა შიში, რომ ახალი ტექნოლოგიები გახდებოდა იარაღი მთავრობების ხელში და გამოიწვევდა ინფორმაციის სრულ ცენტრალიზებას.¹ რეალურად, პროცესი ორმხრივად წარიმართა და სახეზე გვაქვს როგორც ძალაუფლების ცენტრალიზაცია, ასევე მისი დეცენტრალიზაცია.

არადემოკრატიულ რეჟიმებში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების ცენტრალიზაციისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ტენდენციის ზრდას. მაგალითად, ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებისთვის ხშირად ადანაშაულებენ ჩინეთს.² თუმცა ეს პროცესი სულ უფრო და უფრო რთულდება და მეტ და მეტ რესურსს მოითხოვს.

ძალაუფლების დეცენტრალიზაცია ბუნებრივად ღრმავდება განსაკუთრებული რესურსების გამოყენების გარეშე. ციფრული დეცენტრალიზაცია უპირველეს ყოვლისა მედიაზე აისახა. ტრადიციულ მედია საშუალებებს (რადიოს, ტელევიზიას, ბეჭდურ პრესას) ყოველთვის აკონტროლებენ გარკვეული ჯგუფები, მათი პროდუქცია დაგეგმილი და სისტემურია. ინტერნეტი კი იძლევა ულიმიტო და უკონტროლო საქმიანობის საშუალებას. გაჩნდა კომუნიკაციის ახალი ფორმები და მექანიზმები. ინტერნეტით შესაძლებელია კომუნიკაცია ერთის ერთთან (იმეილი), ერთის ბევრთან (ვებ-გვერდი, ბლოგი...), ბევრის ერთთან (ვიკი-პედია...), ბევრის ბევრთან (სოციალური მედია)...³

მედია გახდა პირველი ინდიკატორი. თუმცა პროცესი გრძელდება სხვა სფეროებშიც. ციფრულ რევოლუციაზე და-

¹ Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.115.

² Paul Mozur. China moves towards “digital totalitarian state” as surveillance technology continues to advance. Independent. December 18. 2019. <https://www.independent.co.uk/news/world/asia/china-technology-surveillance-network-totalitarian-state-spy-a9251971.html>

³ Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.116.

ფუძნებულმა გლობალიზაციამ მოიტანა გაუთვალისწინებელი გამოწვევები, მაგალითად – ტერორიზმი და **ომის პრივატიზაცია**¹, რაც სწორედ ახალი ტექნოლოგიების შექმნამ გახადა შესაძლებელი...

ნაი ძალის დიფუზიაზე აქცენტს იმ მიზნით აკეთებს, რომ უკეთ დაგვანახოს რბილი ძალის მზარდი რესურსი და გამოყენების გარდაუვალობა: ტექნოლოგიებით აღჭურვილ ტერორისტს ვერც იარაღით დაამარცხებ და ვერც ბირთვული იარაღის მუქარით. ნაის აზრით, მსოფლიო პოლიტიკა სამ განზომილებიან ჭადრაკს დაემსგავსა, სადაც მოგებისთვის აუცილებელია, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური სვლები. პოლიტიკოსები, ვინც ვერ ხედავენ ძალის ამგვარ დიფუზიას თანამედროვე სამყაროში, „ერთგანზომილებიან მოთამაშეებად რჩებიან სამგანზომილებიან თამაშში“...²

ნაი ძალის დიფუზიაზე მსჯელობისას მრავალგზის ამახვილებს ყურადღებას რბილი ძალის მნიშვნელობის ზრდაზე საერთაშორისო პოლიტიკაში. თუმცა ის ძალის დიფუზიას არ მოიაზრებს საერთაშორისო პოლიტიკის ძირეული ცვლილებების გამომწვევად.³ ამ საკითხებზე ბოლო წლებში უფრო მეტად გააქტიურდა მსჯელობა. საერთო ტენდენციით, ძალის დიფუზიაზე დაფუძნებულ ახალ რეალობაში ხისტი ძალა მთლიანად ჩანაცვლდება რბილი ძალით, ხოლო გლობალიზაციის სისწრაფე ხელს შეუწყობს არა უნიფიცირებული წარმოსახვითი მსოფლიოს შექმნას, არამედ მზარდ რეგიონალიზმს და მსოფლიოს ჰორიზონტალურ დაშრეგებას.

ძალის დიფუზიაზე მსჯელობისას, აუცილებელია შევეხოთ გლობალიზაციის პროცესს, რომელიც ციფრული რევოლუციის საფუძველიცაა, თანმდევი პროცესიც და მისი ხელშემწყობიც.

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004. p. 21-25, 132

² *ibid.* p. 4-5

³ Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p. 117.

XXI საუკუნის გლობალიზაცია არ არის მსოფლიო ისტორიაში ერთადერთი გლობალური პროცესი. ღირებულებების გლობალური გავრცელების მაგალითია მსოფლიო რელიგიები, რომის იმპერიის „ყველა გზა რომში მიდის“ იმპერიული დოქტრინაც და ნახევარი მსოფლიოს განითლება ცივი ომის დროს. რა არის ახალი და სრულიად განსხვავებული მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში, რაც ასე აშფოთებთ ანტი-გლობალისტებს? პასუხი მარტივია: გლობალიზაციის შერწყმა ტექნოლოგიურ რევოლუციასთან.

დღევანდელი გლობალიზაცია სწრაფად და იაფად მიდის უფრო შორს და უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე. ცნობილი მაგალითია, რომ ინფექციური დაავადება „ყვავილის“ მსოფლიოში გავრცელებას დასჭირდა 300 წელიწადი, აივ ვირუსის გავრცელებას – 30 წელი, ჩინეთში აღმოჩენილმა ახალმა კორონავირუსმა კი პრევენციის უპრეცედენტო ზომების მიუხედავად რამდენიმე დღეში ჩააღწია ათასობით კილომეტრით დაშორებულ ქვეყნებში.

წინარე გლობალიზაციებმა გააიაფა პროდუქტი (ის რაც ფუფუნების საგანი იყო შუა საუკუნეებში, მომდევნო საუკუნეებში საყოველთაო მოხმარების საგნებად იქცა). დღევანდელმა გლობალიზაციამ კი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაცია და ასევე გაამარტივა ნარატივის კულტურული თარგმანი. სწორედ ამიტომ, მიმდინარე გლობალიზაციის უკეთ გასააზრებლად ჩვენ მას მოვიხსენიებთ **ციფრულ გლობალიზაციად**.

სახეზეა ციფრული გლობალიზაციის თანმდევი უარყოფითი ასპექტებიც – გამარტივდა მოპარვა, დაჰაკვა... ტერაქტის მონყოლა... ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილება შეიძლება ყოფილიყო, საყოველთაო გახდა...

ციფრული გლობალიზაციის ეფექტი განსხვავდება რეგიონების მიხედვით, რაც ქმნის უთანასწორობის ახალ საფუძველს. ციფრული გლობალიზაცია ცვლის პოლიტიკურ ქმედებებს და შედეგებს. ყველას გვახსოვს ახლო აღმოსავლეთში ფეისბუქ-

ით მობილიზებული რევოლუციები თუ რუსეთში გაქცეული ედუარდ სნოუდენი, რომელმაც 20 წლის ასაკში მოახერხა აშშ-ის მკაცრად კლასიფიცირებული დოკუმენტების მოპარვა და გამომზეურება. გლობალიზაცია, როგორც მსოფლიო უნიფიკაცია – ცივი ომის შემდგომი პირველი თაობის ანტიგლობალისტების წარმოსახვა აღმოჩნდა.

ციფრულმა რევოლუციამ პირველ ეტაპზე მართლაც შეუწყო ხელი მსოფლიო ვესტერნიზაციის პროცესს, რადგან ტექნოლოგიების შემქმნელი პირველი ქვეყნები სწორედ დასავლური დემოკრატიებია, თუმცა ციფრული რევოლუციის შემდეგ ეტაპებზე მოვლენები სხვა კუთხით წარიმართა. ანტიდასავლური ძალების მიერ ატეხილი განგაში, რომელიც გლობალიზაციის მთავარ საფრთხედ ლიბერალური ღირებულებების გავრცელებით მსოფლიო კოსმოპოლიტური საზოგადოების შექმნას მოიაზრებდა, ფუკუიამას ისტორიის დასასრულის ერთგვარი გაგრძელებაა.

ისტორიულმა განვითარებამ აჩვენა, რომ ციფრული შესაძლებლობების გამოყენება სულ მალე არანაკლები ეფექტურობით დაიწყეს არადემოკრატიულმა რეჟიმებმა, სხვადასხვა სახის ფუნდამენტალისტურმა ჯგუფებმა და ტერორისტულმა ორგანიზაციებმაც კი. გლობალიზაციას არ აღმოუფხვრია არც სახელმწიფო საზღვრები, მან მსოფლიო მრავალგანზომილებიანი გახადა: გაიზარდა უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის; გაღრმავდა ღირებულებითი სხვაობა ასაკობრივ და სხვადასხვა იდეოლოგიურ ჯგუფებს შორის... გამართლდა გლობალისტების ზოგიერთი ვარაუდი მსოფლიო პოლიტიკაში ეკონომიკური საკითხების მნიშვნელობის ზრდაზე. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმები გაიზარდა კომუნიკაციის ფორმების გაიაფების კვალდაკვალ.

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ მეტი მნიშვნელობა მიანიჭა ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და დააკნინა სახელმწიფოების და მთავრობების რეალიზმისთვის ჩვეული უზენაესობა. უთანასწორობა იზომება არა ფულის რაოდენობით,

არამედ ტექნოლოგიური უნარების და ინფორმაციის რაოდენობით. ახალი ტენდენციით, დამკვიდრებული და ყველაზე თვლადი ეკონომიკური მაჩვენებლებიც კი ძალას კარგავს, დათვლა გართულდა ციფრებში რადგან პროდუქტი და ვალუტა სხვადასხვაგვარი გახდა. დღეს აღარ არის იმდენად მნიშვნელოვანი რა ბუნებრივ რესურსებს ფლობ, არამედ რამდენ გიგაბაიტ ინფორმაციას ფლობ, რა ტიპის ინფორმაციას ფლობ და ამ კონტექსტში ვის ინფორმაციას მეტი ფასი აქვს დღეს...

ციფრული გლობალიზაცია ცვლის პოლიტიკის ყველა ასპექტს და ყველა სფეროს. ის ზემოქმედებს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე. იცვლება საშინაო და საგარეო პოლიტიკური ქმედებების კორელაციაც: **პოლიტიკური ელიტები ველარ გრძნობენ თავს დაცულად საშინაო პოლიტიკაში, რაც საგარეო აგრესიისკენ უზიძგებთ.**

„ღმერთო ჩემო, ეს დიპლომატიის დასასრულია“ – განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა ჰამერსტონმა ინფორმაციის ტელეგრაფით მიღების შემდეგ XIX საუკუნეში.¹ სინამდვილეში, ციფრული გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ზოგადად დიპლომატიის, განსაკუთრებით კი სახალხო დიპლომატიის როლი.

რა არის სახალხო დიპლომატია? თავად ტერმინის გამოგონება უკავშირდება ედმუნდ გულიონის სახელს, რომელმაც ტერმინი პირველად გამოიყენა 1965 წელს.² მისი განმარტებით, სახალხო დიპლომატია ეფექტურ, სტრატეგიულ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დიპლომატიაა, რომლის მიზანია სახალხო აზრის ზეგავლენის ზრდა საგარეო პოლიტიკის წარმოების პროცესში.

სახალხო დიპლომატია (თავისი ყველა ფორმით) ეფუძნება გამჭვირვალე კომუნიკაციას და უდაოდ რბილი ძალის

¹ Digital diplomacy, E-diplomacy, Cyber diplomacy. DiPLO. <https://www.diplomacy.edu/e-diplomacy>

² Nicholas J.Cull. “Public Diplomacy” before Gullion: the evolution of a phrase. USC Center on Public Diplomacy. Apr. 18. 2006. <https://www.uspublicdiplomacy.org/blog/public-diplomacy-gullion-evolution-phrase>

გავრცელების მთავარი მექანიზმია. საინფორმაციო ომისგან განსხვავებით, სახალხო დიპლომატია (რბილი ძალა) არ არის დაფუძნებული კონფრონტაციაზე და მიზნად არ ისახავს „ჩვენ-ისინი“ დიქოტომიის შექმნას.

საინფორმაციო ომი (როგორც ბასრი ძალის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი) ქმნის კონფრონტაციის საფუძვლებს საზოგადოებაში, ზეგავლენის მექანიზმებად იყენებს არალეგალურ ქმედებებს (კიბერთავდასხმა, ჰაკერობა, ფსიქოლოგიური ოპერაციები...). ბასრი ძალის მესიჯები ახდენს ნარატივის პროექციას და ღირებულებების გასავრცელებლად იყენებს პროპაგანდას. საინფორმაციო ომს და რბილი ძალის დევიაციას ბასრი ძალის სახით უფრო დაწვრილებით მომდევნო პარაგრაფში შევხებით.

ციფრულმა გლობალიზაციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სახალხო დიპლომატიასა და ზოგადად დიპლომატიაზე. 9/11 მოვლენების შემდეგ სულ უფრო მზარდად გამოიყენება ტერმინი „ახალი სახალხო დიპლომატია“. ერთ-ერთი პირველი აკადემიური მსჯელობა დიპლომატიის ტრანსფორმაციის შესახებ უკავშირდება 2001-2002 წლებში აშშ საგარეო პოლიტიკის ფორუმს, რომელშიც ცნობილი პოლიტიკური ლიდერები და ექსპერტები მონაწილეობდნენ. ფორუმის თავმჯდომარის, პიტერ პიტერსონის თქმით, დიპლომატიაა მოითხოვს არა უბრალოდ ცვლილებებს, არამედ რევოლუციურ ცვლილებებს¹.

ბოლო ათწლეულში გამოცემული მონოგრაფიები „ახალ სახალხო დიპლომატიას“ და „რბილ ძალას“ ხშირად აიგივებს ერთმანეთთან. ახალი სახალხო დიპლომატიის დისკურსში ხაზგასმულია ინდივიდის როლის ზრდა, რაც სრულიად ახალ ცვლადს წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკაში. სახელმწიფოებს მოუწევთ შეეგუონ ახალ რეალობას – გადანყვეტილებების მიღების პროცესში ახალი, არასახელმწიფოებრი-

¹ Council on Foreign relations. Annual Report. July 1,2001 – June 30, 2002. https://www.cfr.org/sites/default/files/report_pdf/CFR_annual_report_2002_0.pdf

ვი აქტორების ჩართულობას. საერთაშორისო პოლიტიკაში არასახელმწიფოებრივი აქტორების გამოჩენას გავაიგივებთ სახალხო დიპლომატიასთან თუ მხოლოდ მის შემადგენელ ნაწილებად მოვიაზრებთ, ორივე შემთხვევაში სახეზეა ახალი ტენდენცია.¹

ახალი თაობის დიპლომატებს მოუწევთ ისეთი უნარების დაუფლება, რასაც მათი წინამორბედები არ ფლობენ – მათთვის არავის უსწავლებია უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციფიკა. **ახალი სახალხო დიპლომატიის მთავარი გამოწვევაა რბილი ძალისთვის დამახასიათებელი პროცესების კონტროლის შეუძლებლობა.**

სახალხო დიპლომატიის რეფორმირება დაკავშირებულია პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობასთან; პოლიტიკური ელიტების საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ზრდასთან; ინფორმაციის ანალიზზე დაფუძნებულ გადანყვეტილებების მიღების პროცესთან; პოლიტიკაზე ზემოქმედების უნარის მქონე ჯგუფების, ინდივიდების თუ მოვლენების თვისობრივი მეთოდებით შესწავლის სირთულეებთან. ასევე ახალი სახალხო დიპლომატიის გამომწვევად სახელდება დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან (ბასრი ძალის მექანიზმები) გამკლავება.

ახალი სახალხო დიპლომატია მოიაზრებს ორმხრივ პროცესს – მოსმენა და დიალოგი. ამ კონტექსტში აუცილებელი გახდა კლასიკური სამთავრობო დიპლომატიის გარდაქმნა ციფრულ დიპლომატიად. ერთის მხრივ, ციფრული დიპლომატია აადვილებს სტრატეგიულ კომუნიკაციას სხვადასხვა დონეზე, მაგრამ ამავე დროს, ციფრული დიპლომატია ქმნის ახალ საფრთხეებსა და გამოწვევებს: პროცესების ქაო-

¹ Anna Popkova. Non-state Diplomacy Challenges to Authoritarian States: The Open Russia Movement. in: The Hague Journal of Diplomacy. v.14. issue 3. 2019. Special Issue: Non-Western Non-state Diplomacy. Edited by Natalia Grincheva and Robert Kelley. BRILL Online Publication Date: 20Jun 2019 https://brill.com/view/journals/hjd/14/3/article-p250_5.xml

ტურობას; **ღირებულებითი ბუშტების** შექმნას და სხვ. ძალის დიფუზიამ როგორც სახალხო, ასევე სამთავრობო დიპლომატია სტრატეგიული კომუნიკაციის გააქტიურების და ახალი მიდგომების შემუშავების აუცილებლობის წინაშე დააყენა. დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბებმა და გახშირებული ინფორმაციულმა შტურმმა ბევრი სახელმწიფო აიძულა განეხორციელებინა სტრატეგიული ინსტიტუციური ცვლილებები. სახალხო დიპლომატიის მიზანი გახდა **ჰორიზონტალური ღირებულებითი შრეების** გაჩენა, რადგან ციფრული გლობალიზაცია ჰორიზონტალურად (ღირებულებების მიხედვით) ჰყოფს ადამიანებს და არა სახელმწიფო საზღვრების მიხედვით.

პარაგრაფის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ციფრული რევოლუციით გამოწვეული ძალის დიფუზია მიმდინარე პროცესია და მის პოლიტიკურ შედეგებზე ჯერ სრულიად წარმოუდგენელია საუბარი, თუმცა დღითი დღე იზრდება ლიტერატურა, რომელიც მსჯელობს ციფრული რევოლუციის ზეგავლენაზე საერთაშორისო პოლიტიკაში და ძალის დიფუზიის ახალ ტენდენციებზე.

რეალისტების აზრით, ციფრული გლობალიზაცია ვერ მოახდენს რაიმე გარდამტეხ ცვლილებას და სახელმწიფოები დარჩებიან საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ აქტორებად ციფრული გლობალიზაციის პირობებშიც, ინფორმაციული რევოლუცია ისევ ძლიერებს გააძლიერებს და ძალა კვლავ დარჩება პოლიტიკური ურთიერთობების მთავარ საფუძვლად. ლიბერალები და კონსტრუქტივისტები აქცენტს აკეთებენ მსოფლიო პოლიტიკის მზარდად კომპლექსურ ხასიათზე, სადაც სახელმწიფოების გარდა არასახელმწიფოებრივმა აქტორებმაც შეიძინეს ძალა. ლიბერალები არ უარყოფენ, რომ სახელმწიფოები კვლავ დარჩებიან საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ აქტორებად, თუმცა მიაჩნიათ, რომ ციფრული რევოლუცია გააძლიერებს დემოკრატიულ ქვეყნებს (როგორც თანამედროვე ინფორმაციის მთავარ გენერატორებს), რაც დემოკრატიული

მშვიდობის იდეას მეტ რეალობას შესძენს. დემოკრატიული მთავრობები მიჩვეული არიან გახსნილობას და გამჭვირვალობას და ამიტომაც ძალის დიფუზიასთან თავსებადობა მათთვის უფრო მარტივად მისაღწევი იქნება. საერთაშორისო პოლიტიკაში რბილი ძალის და სახალხო დიპლომატიის როლის ზრდაც ასევე ლიბერალური თეორიების წისქვილზე ასხამს წყალს. კონსტრუქტივისტები ვესტვალური სისტემის დასრულებას და ახალი რეალობის კონსტრუირებას წინასწარმეტყველებენ.¹

ციფრულ რევოლუციასთან მიმართებაში გაჩნდა ახალი, და ხშირად გაუგებარი ტერმინები: ციფრული ავტორიტარიზმი, ციფრული ცენზურა, ციფრული არმია, კიბერ ჯეიმს ბონდები... ელექტრონული მთავრობა, ჭკვიანი ქალაქები და მონეობილობები... ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ახალი ტერმინის **კიბერფეოდალიზმის** დამკვიდრება. ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო ტრანსნაციონალური კავშირების დამყარება სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრების უგულებელყოფით. მსგავსი ტენდენციები აღკვეთა ერი-სახელმწიფოების ვესტვალური სისტემის შექმნამ.² პოსტმოდერნისტების აზრით, ძალის დიფუზია გვაბრუნებს წარსულ ტენდენციებთან და პოლიტიკური ელიტები არ არიან მზად ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად. ტერმინი „კიბერფეოდალიზმი“ მზარდი პოპულარობით სარგებლობს როგორც აკადემიურ, ასევე არააკადემიურ საზოგადოებაში. ჰეშთეგი „კიბერფეოდალიზმი“ გამოიყენება თვითერსა და სხვა სოციალურ ქსელებში.

¹ Joseph S. Nye Jr., David A. Welch. Understanding Global Conflict and Cooperation. An Introduction to Theory and History. Tenth Edition. Pearson. 2017. p. 336-337

² ნაიმ კიბერძალაუფლებას მთელი თავი მიუძღვნა მონოგრაფიაში (Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p. 113-151). მან პირველმა შეადარა ძალის დიფუზია ფეოდალიზმის პერიოდს (ibid. p.118-119). მომდევნო წლებში სამეცნიერო დისკუსია აღნიშნულ ტენდენციებზე ინტენსიური გახდა და გამოჩნდა ახალი ტერმინები და არგუმენტები.

ინფორმაციული რევოლუცია რბილი ძალის შექმნის და გამოყენების საშუალებას აძლევს პატარა სახელმწიფოებსა და ინდივიდებსაც. შესაბამისად, პატარა სახელმწიფოებს ეძლევათ შანსი ახალი ადგილი იპოვონ საერთაშორისო პოლიტიკაში. მსგავსი ტენდენცია მზარდია და უპრეცედენტო. რასაკვირველია, სახელმწიფოს ტექნოლოგიური წინსვლა და ციფრული რევოლუციის გამონვევების გამკლავების უნარი აუცილებელი წინაპირობაა ამ კონტექსტში.

სხვა პროდუქტისგან განსხვავებით, ტექნოლოგიური პროდუქტი დროში იაფდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. ეკონომისტები იყენებენ ტერმინს „ქსელის ეფექტი“ – მობილური/სმარტფონი, ინტერნეტი თუ კრიპტოვალუტა თანაბრად გამოუყენებელია, თუ ის მხოლოდ თქვენ გაქვთ. ტექნოლოგიის გამომგონებელი ქვეყნები თუ ჯგუფები თავად არიან დაინტერესებული საკუთარი ტექნოლოგიური გამომგონებების გავრცელებაში და დღეს ყველასთვის ყველაფერი ხელმისაწვდომი გახდა. გლობალისტების ტერმინით რომ ვთქვათ, მსოფლიო გახდა „გლობალური სოფელი“, სადაც ქვეყნების სიძლიერე ნაკლებად გაიზომება სიდიდის და რესურსების მიხედვით.

ისტორიული გამოცდილებით, სახელმწიფოები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ცვლილებებისთვის ფეხის ანცობა წინა ინდუსტრიული რევოლუციების დროს, სამუდამოდ ან ხანგრძლივად ჩამორჩნენ ისტორიის სვლას. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია კიდევ უფრო სასტიკი იქნება დროსთან ჩამორჩენილების მიმართ.

ბიბლიოგრაფია:

1. Joseph S. Nye Jr., David A. Welch. Understanding Global Conflict and Cooperation. An Introduction to Theory and History. Tenth Edition. Pearson. 2017
2. Joseph S. Nye Jr. Power in a Global Information Age. From Realism to Globalization. Routledge. 2004

3. The New Public Diplomacy. Soft Power in International Relations. edited by Jan Melissen. palgrave macmillan. 2005
4. James Pamment. New Public Diplomacy in the 21st Century: A Comparative Study of Policy and Practice. Routledge. 2013
5. Andreas Sandre. Twitter for Diplomats. DiploFoundation and IstitutoDiplomatico. 2013. <https://www.diplomacy.edu/resources/books/twitter-diplomats>
6. Jeremy Rifkin. The Third Industrial Revolution. Palgrave MacMillan. 2011
7. Craig Hayden. The Rhetoric of Soft Power. Public Diplomacy in Global Contexts. Lexington Books. 2012
8. Anna Popkova. Non-state Diplomacy Challenges to Authoritarian States: The Open Russia Movement. in: The Hague Journal of Diplomacy. v.14. issue 3. 2019. Special Issue: Non-Western Non-state Diplomacy. Edited by Natalia Grincheva and Robert Kelley. BRILL Online Publication Date: 20Jun 2019. https://brill.com/view/journals/hjd/14/3/article-p250_5.xml
9. Natalia Grincheva and Robert Kelley. Introduction: Non-state Diplomacy from Non-Western Perspectives. in: The Hague Journal of Diplomacy. v.14. issue 3. 2019. Special Issue: Non-Western Non-state Diplomacy. Edited by Natalia Grincheva and Robert Kelley. BRILL Online Publication Date: 20 Jun 2019. https://brill.com/view/journals/hjd/14/3/article-p199_1.xml
10. Council on Foreign Relations. Annual Report. July 1, 2001-June 30, 2002. NY. https://www.cfr.org/sites/default/files/report_pdf/CFR_annual_report_2002_0.pdf
11. Bridget Verrekia. Digital Diplomacy and its effects on International Relations. SIT Graduate Institute. ISP Collection 2596. 2017. https://digitalcollections.sit.edu/isp_collection/2596
12. USC center on Public Diplomacy <https://www.uscpublicdiplomacy.org>
13. USC Center on Public Diplomacy. Annual report 2018-2019. <https://www.uscpublicdiplomacy.org/story/cpd-releases-annual-report-2018-19>
14. USC center on Public Diplomacy. CPD Blog. https://www.uscpublicdiplomacy.org/newswire/cpdblog_main
15. Bruce's List. Latest Must-Reads in Public Diplomacy: August 2019. USC center on Public Diplomacy. <https://www.uscpublicdiplomacy.org/story/latest-must-reads-public-diplomacy-august-2019>
16. Trump Administration Diplomacy. C-SPAN. September 30, 2019. <https://www.c-span.org/video/?464831-1/trump-administration-diplomacy>

17. Digital diplomacy, E-diplomacy, Cyber diplomacy. DiPLO. <https://www.diplomacy.edu/e-diplomacy>
18. Jovan Kurballja. 25 Points for Digital Diplomacy. HUFFPOST. Nov.7, 2016. https://www.huffpost.com/entry/25-points-for-digital-diplomacy_b_581c78bae4b0334571e099ec
19. Corneliu Bjola. Digital Diplomacy: From Tactics to Strategy. The American Academy in Berlin.2018. <https://www.americanacademy.de/digital-diplomacy-tactics-strategy>
20. Corneliu Bjola. The “Dark Side” of digital diplomacy. SPD Blog. Jan 22, 2019. <https://www.uscpublicdiplomacy.org/blog/dark-side-digital-diplomacy>
21. Paul Mozur. China moves towards “digital totalitarian state” as surveillance technology continues to advance. Independent. December 18. 2019. <https://www.independent.co.uk/news/world/asia/china-technology-surveillance-network-totalitarian-state-spy-a9251971.html>

კითხვები და დავალებები:

1. ეთანხმები თუ არა მოსაზრებას, რომ მიმდინარე ციფრული რევოლუცია შეიძლება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციად შეფასდეს? შენი აზრით, რითი განსხვავდება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია წინარე სამისგან?
2. განმარტე ტერმინები: „ძალის ტრანზიცია“, „ძალის დიფუზია“. იმსჯელე ძალის დიფუზიის ნეგატიურ და პოზიტიურ ასპექტებზე. როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს ომის პრივატიზაცია? მოიძიე ინფორმაცია.
3. იმსჯელე ციფრული გლობალიზაციის თავისებურებებზე. რა გამოწვევების წინაშე აყენებს სახელმწიფოებს ციფრული გლობალიზაცია?
4. განმარტე ტერმინები: „ღირებულებითი ბუშტები“, „ჰორიზონტალური ღირებულებითი შრეები“.
5. განმარტე წინადადება: „კონსტრუქტივისტები ვესტფალიური სისტემის დასრულებას და ახალი რეალობის კონსტრუირებას წინასწარმეტყველებენ“.
6. რას გულისხმობს ტერმინი „ახალი სახალხო დიპლომატია“? რატომ აიგივებენ ახალ სახალხო დიპლომატიას რბილ ძალასთან?

7. რას გულისხმობს ტერმინი „კიბერფეოდალიზმი“? რა გავლენა აქვს კიბერფეოდალიზმს საერთაშორისო პოლიტიკაზე?
8. განმარტე წინადადება: მსოფლიო გახდა „გლობალური სოფელი“, სადაც ქვეყნების სიძლიერე ნაკლებად გაიზომება სიდიდის და რესურსების მიხედვით.
9. იმსჯელე „პროგრესის პარადოქსზე“.
10. შეარჩიე მაგალითი (ქეისი) და იმსჯელე ციფრული გლობალიზაციის ზეგავლენაზე საერთაშორისო თუ სახელმწიფო პოლიტიკაში.

➤ **ეს საინტერესოა:**

თვითერის დიპლომატია

ციფრულ დიპლომატიაში სხვა მრავალ ახალ ტერმინთან ერთად, დამკვიდრდა ტერმინი თვითერის დიპლომატია (Twiplomacy). სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერების ორი მესამედი თვითერის აქტიური მომხმარებელია. ციფრული დიპლომატიის მომხრეების არგუმენტებით, სოციალური ქსელებით ამომრჩეველთან ურთიერთობა პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს თავისი იდეები და პოლიტიკური გადანყვეტილებები ეფექტურად მიიტანოს რიგით მოქალაქემდე, ამომრჩეველს (თუ ნებისმიერ მოქალაქეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან) კი საშუალება ეძლევა პირდაპირი კავშირი ქონდეს პოლიტიკურ ლიდერებთან. ზოგიერთი ექსპერტი პოლიტიკურ ლიდერებს მოუწოდებს კიდევ, უკეთ დაეუფლონ სოციალური ქსელების ეფექტურად გამოყენებას. სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკაში თვითერის როლის ზრდასთან ერთად დღითი დღე მრავლდება ორგანიზაციები, რომლებიც იკვლევენ ციფრული დიპლომატიის (თუ კონკრეტულად, თვითერის დიპლომატიის) ფენომენს და გვთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს. ტრადიცი-

ულმა მედია საშუალებებმა დაიწყეს ბლოგების წარმოება ციფრული დიპლომატიის შესახებ, უნივერსიტეტებმა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართეს ციფრული დიპლომატიის და სტრატეგიული კომუნიკაციის სასწავლო კურსები.

ვებგვერდის „თვითერის დიპლომატია“ (<https://twiplomacy.com/>) 2019 წლის სტატისტიკის მიხედვით, თვითერის ყველაზე აქტიურ მომხმარებლად სახელდება აშშ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი (66 მილიონი მიმდევარი); მეორე ადგილს იკავებს ინდოეთის პრემიერ მინისტრი ნარენდრა მოდი (51 მილიონი მიმდევარი); ხოლო მესამე ადგილზეა პაპი ფრანცისკე (49 მილიონი მიმდევარი). რუსეთის საპრეზიდენტო თვითერი 26-ე ადგილს იკავებს 3 მლნ. მიმდევრით. საქართველო ინდექსში საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში პოლიტიკური ელიტა სოციალურ მედიასთან არ მეგობრობს. საქართველოს თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ფეისბუქის განსაკუთრებული პოპულარობა სხვა სოციალურ მედიებთან შედარებით.

თვითერის დიპლომატიაში პოლიტიკური ლიდერების გარდა ჩართულნი არიან დიპლომატიური მისიები და წარმომადგენლობები, სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები... თვითერის მომხმარებელია ისეთი ორგანიზაციაც კი, როგორცაა აშშ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA). 2014 წლის 6 ივნისს თავისი პირველი თვითით სააგენტომ გამოაქვეყნა სახუმარო ტექსტი: „არც ვუარყოფთ და არც ვადასტურებთ, რომ ეს არის ჩვენი პირველი თვითი“. სააგენტოს თვითს მოჰყვა ბევრი საინტერესო კომენტარი და გაზიარდა 280 ათასჯერ. მაგალითად, პოლიტიკურმა კორესპონდენტმა და ანალიტიკოსმა ჰოვარდ ფაინმენმა საპასუხო თვითში თავადაც მოსწრებულად იხუმრა: „დღეს გაეხდი სადაზვერვო სააგენტოს მიმდევარი, თუმცა ვფიქრობ სააგენტო აქამდეც იყო ჩემი მიმდევარი“.

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თვითერთან ურთიერთობა მუდმივი განხილვის საგანია. ის ცნობილია თავისი ექსცენტრული და სკანდალური თვითებით. დავასახელოთ რამდენიმე გახმაურებული სკანდალური თვითი.

2019 წელს პრეზიდენტს გამოუქვეყნეს 2012 წლის სკანდალური თვითი ქეით მიდლტონის შესახებ: „ვის არ უნდა ქეითის ფოტო გადაიღოს და ბევრი ფული იშოვოს, თუ ქეითი მზეზე შიშველი ირუჯება. მიდი ქეით!“

2018 წელს ტრამპმა ირანის წინააღმდეგ სანქციები დააანონსა თვითერში ცნობილი სერიალის, „სამეფო კარის თამაშების“ სარეკლამო პოსტერის სტილში გადაღებული საკუთარი ფოტოსურათით (წარწერით „სანქციები ახლოვდება“). ირანის გენერალმა კასემ სულეიმანიმ მსგავსივე პოსტერით უპასუხა ინსტიგრამში (წარწერით „შენ ვერ გამტეხავ“). სერიალის მფლობელი ამერიკული ტელეარხი HBO ასევე თვითით გამოეხმაურა მოვლენებს და თავის ხუმრობაში ხაზი გაუსვა საავტორო უფლებების საკითხს.

2018 წლის ნოემბერში ტრამპი სტუმრად იმყოფებოდა პარიზში პირველი მსოფლიო ომის დასრულების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ ტრამპმა თვითით გააკრიტიკა საფრანგეთის მთავრობა: „ემანუელ მაკრონი საკუთარი არმიის შექმნას აპირებს ევროპის დასაცავად აშშ-ს, ჩინეთისა და რუსეთისგან. ფრანგები პირველ და მეორე მსოფლიო ომებშიც იცავდნენ თავს, მაგრამ სანამ აშშ ჯარებმა პარიზამდე მიაღწიეს, ფრანგები უკვე გერმანულს სწავლობდნენ. გადაიხადე ნატო-ში ან გადი!“ მაკრონმა ტრადიციულად თავი შეიკავა ტრამპის თვითზე პასუხის გაცემისგან.

2020 წლის 6 თებერვალს, აშშ სენატში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის ჩავარდნის შემდეგ, ტრამპმა გამოაქვეყნა სახუმარო ვიდეო თვითერზე, რომლის მიხედვით პრეზიდენტობას სამუდამოდ აპირებს.

ტრამპის თვითების მიმოხილვა კარგად აჩვენებს ახალი სახალხო დიპლომატიის სპეციფიკას. სამთავრობო დიპლომატიის მიერ გაკეთებული მსგავსი განცხადებები აუცილებლად გახდებოდა კონფლიქტის ან ომის მიზეზი. კლასიკური დიპლომატიისგან განსხვავებით, თვითერის დიპლომატია საშუალებას იძლევა ითქვას ყველაფერი გულწრფელად, თვითის ადრესატს

კი უტოვებს არჩევანს გასცეს მსგავსი პასუხი, ან საერთოდ არ გასცეს პასუხი. ახალი სახალხო დიპლომატია ცვლის დიპლომატიის ისტორიულად ჩამოყალიბებულ და შეთანხმებულ ჩარჩოებს.

ახალი სახალხო დიპლომატია გამოწვევაა პოლიტიკოსებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესშიც. 2017 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის სიტყვის თავისუფლების დამცველმა ინსტიტუტმა სარჩელი შეიტანა ტრამპის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელმაც დაბლოკა ტრამპის თვითერის რამდენიმე მიმდევარი კრიტიკული პოსტებისთვის. სარჩელის განხილვა ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა სხვადასხვა ინსტანციაში და მოქალაქეების გამარჯვებით დასრულდა. ფედერალური სასამართლოს მოსამართლის განცხადებით, პრეზიდენტის თვითერი საჯარო სივრცეა, სადაც საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვს როგორც პრეზიდენტს, ასევე მის მიმდევრებსაც. პრეზიდენტს აქვს უფლება საკუთარი სურვილის მიხედვით შეარჩიოს თვითი საპასუხოდ ან გასაზიარებლად, მაგრამ არ აქვს აზრის შეზღუდვის და თვითის დაბლოკვის უფლება.

თვითერის დიპლომატია, ისევე როგორც ზოგადად ციფრული დიპლომატია, გამოწვევად იქცა პოლიტიკის მკვლევარებისთვისაც. სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაციის თავმოყრა და კლასიფიკაცია რთულია და ხშირად შეუძლებელიც სოციალური ქსელების სპეციფიკიდან გამომდინარე.

გამოყენებული წყაროები:

1. Twiplomacy. <https://twiplomacy.com>
2. Twitter.com <https://twitter.com/cia/status/474971393852182528>
3. დონალდ ტრამპის სკანდალური ტვიტი ქეით მიდლტონზე. ეს პერსონა. 4 ივნისი. 2019 <https://espersona.ge/article/957>
4. ტრამპის ტვიტი და ირანელი გენერლის პასუხი “სამეფო კარის თამაშების” სტილში. NeWposts.11-04-2018 <https://www.newposts.ge/?!G&id=188514>
5. Twitter.com <https://twitter.com/realdonaldtrump/status/1062311785787744256>

6. Trump slams Macron, France in burst of tweets after Paris visit. France24. 13/11/2018 <https://www.france24.com/en/20181113-usa-trump-macron-france-burst-tweets-paris-visit-twitter-wwi-wwii-germany-wine>
7. Dan Mangan. Read the Tweets that got these people blocked on Twitter by President Donald Trump. CNBC. May 23, 2018. <https://www.cnn.com/2018/05/23/read-the-tweets-that-got-these-people-blocked-on-twitter-by-president-donald-trump.html>
8. Rebecca Pilar Buckwalter-Poza, Philip Cohen, Eugene Gu, Holly Figueroa, Nicholas Pappas, Brandon Neely. I was Blocked by @realDonaldTrump. March 25, 2019. Knight First Amendment Institute at Columbia University. <https://knightcolumbia.org/content/i-was-blocked-realdonaldtrump>
9. Grace Panetta. Trump tweets a video implying he'll be president '4EVA' as his first official response after impeachment-trial acquittal. Business Insider. Feb.6, 2020 <https://www.businessinsider.com/trump-tweets-video-showing-him-president-forever-after-acquittal-2020-2>
10. Andreas Sandre. 2018 in Review: top 10 digital diplomacy moments. Digital Diplomacy. December 10, 2018. <https://medium.com/digital-diplomacy/2018-in-review-top-10-digital-diplomacy-moments-9e2745035a>

➤ **ეს საინტერესოა:**

ძალის დიფუზიის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე აისახა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში. განსაკუთრებით იმ ტიპის ანგარიშებში, სადაც მომავლის ტენდენციების განსაზღვრა ხდება. მსგავს ანგარიშებს ამზადებს რამდენიმე ცნობილი საერთაშორისო საექსპერტო-კვლევითი ორგანიზაცია თუ საერთაშორისო ორგანიზაცია. აშშ დაზვერვის ეროვნული საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიში – „**პროგრესის პარადოქსი**“ ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია ამ კონტექსტში.

აშშ დაზვერვის ეროვნული საბჭო (NIC) შეიქმნა 1979 წელს. მისი მიზანია ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საე-

ქსპერტო დოკუმენტების მომზადება. საბჭოსთან თანამშრომლობენ ექსპერტები სამთავრობო, აკადემიური და არასამთავრობო წრებიდან. 1997 წლიდან საბჭომ დაიწყო ახალი ტიპის დოკუმენტების – „გლობალური ტენდენციები“ გამოქვეყნება. დოკუმენტი ქვეყნდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ აშშ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ვიდრე პრეზიდენტის ინაუგურაციამდე და წარმოადგენს ერთგვარ საკონსულტაციო რჩევებს ახლად არჩეული პრეზიდენტებისთვის. დოკუმენტი წარმოადგენს მომავალი 15-20 წლის გლობალური ტენდენციების სტრატეგიულ მიმოხილვას. ორგანიზაციას აქვს დამოუკიდებელი ვებგვერდი სხვადასხვა ქვეგანყოფილებებით, რეპორტების არქივით, სასარგებლო ბმულებითა და დანართებით. სპეციალური სექცია ბავშვებისთვისაც კი არის გამოყოფილი. ნებისმიერ ინტერნეტ მომხმარებელს მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონიდან შეუძლია კომენტარების გაკეთება და ინტერაქცია სხვადასხვა ფორმით.

აშშ დაზვერვის ეროვნული საბჭომ პირველი 100-გვერდიანი ანგარიში „გლობალური ტენდენციები 2015: დიალოგი მომავლის შესახებ არასამთავრობო ექსპერტებთან“ გამოაქვეყნა 2000 წლის დეკემბერში. 125-გვერდიანი ანგარიში „2020-გლობალური მომავლის რუკა“ გამოქვეყნდა 2004 წლის დეკემბერში. 120-გვერდიანი დოკუმენტი – „გლობალური ტენდენციები 2025: ტრანსფორმირებული მსოფლიო“ გამოქვეყნდა 2008 წლის ნოემბერში. 166-გვერდიანი დოკუმენტი „გლობალური ტენდენციები 2030: ალტერნატიული სამყაროები“ გამოქვეყნდა 2012 წლის დეკემბერში. მას წამძღვარებული აქვს ჯონ მეინარდ ქეინსის ციტატა: **„აზრი, რომ მომავალი იქნება განსხვავებული ანმეოსგან ისეთი აუტანელია ჩვენი სტანდარტული აზროვნებისა და ქცევისთვის, რომ უმრავლესობა ჩვენთაგანი უარს ვამბობთ მასზე“**. დოკუმენტი იწყება სიტყვებით: 2030 წელს მსოფლიო რადიკალურად განსხვავებული იქნება დღევანდელისგან. დოკუმენტში მეგატრენდებად გამოყოფილია: ინდივიდუალური შესაძლებლობების ზრდა; ძალის დიფუზია; დემოგრაფიული ცვლილებები; საკვების,

წყლისა და ენერგო რესურსების ნაკლებობა. გლობალური წესრიგის თამაშის წესების ცვალებადობაში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი გლობალიზებული ეკონომიკის კრიზისისადმი მიდრეკილებას და გამონწვევებს იმ სახელმწიფოებისთვის, რომელიც ფეხს ვერ უწყობს დაჩქარებულ გლობალურ ცვლილებებს. ასევე სახელდება კონფლიქტების გაზრდილი ალბათობა; მზარდი რეგიონალური არასტაბილურობა; ახალი ტექნოლოგიების ზეგავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე...

ტრადიციისამებრ, 2016 წლის დეკემბერში უნდა გამოქვეყნებულიყო 2035 დოკუმენტი. თუმცა 2017 წლის იანვარში გამოქვეყნდა 235 გვერდიანი ანგარიში: „**გლობალური ტენდენციები, პროგრესის პარადოქსი**“. ანგარიშის მომზადების პროცესში ანალიტიკოსებს კონსულტაციები ჰქონდათ 35 ქვეყნის მთავრობებსა და ინტერეს ჯგუფებთან: ანალიტიკურ ცენტრებთან, სტუდენტებთან, მენარმეებთან, ქალთა ორგანიზაციებთან... ანგარიში გამოირჩევა თემების სიმრავლით და ფართო გეოგრაფიული არეალით.

ანგარიშში ძირითადი აქცენტი კეთდება ძალაუფლების თვისობრივ ცვლილებებზე (ძალის ტრანზიცია და ძალის დიფუზია). ძალა და ძალაუფლება, რომელიც შედგებოდა თვლადი კომპონენტებისგან (სამხედრო, ეკონომიკური, დემოგრაფიული მაჩვენებლები) უფრო მეტად გახდება დამოკიდებული არამატერიალურ განზომილებებზე (იდეები, ურთიერთობები...) ანგარიშის ძირითადი დასკვნებიდან გვინდა გამოვარჩიოთ რამდენიმე საკითხი.

1. ახლო მომავალში გაიზრდება დაძაბულობა როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. ინტერესთა შეუთავსებლობა ცივი ომის დროინდელ მასშტაბებს მიაღწევს. სხვაობა საზოგადოებების ღირებულებათა შორის გაიზრდება. გაჩნდება თანამშრომლობის და კონფრონტაციის ახალი გეოპოლიტიკური სივრცეები და ე. წ. „გეოპოლიტიკური რუხი ზონები“. სავაჭრო თუ სამხედრო თანამშრომლობა ნაკლებად გახდება დამოკიდებული გეოგრაფიულ სიახლოვეზე. ტექნოლოგიურ ინოვაციებზე

დაფუძნებული ახალი პროდუქტების გაჩენა გაართულებს საქონლის ღირებულების, პატენტებისა და საბაჟო გადასახადების ტრადიციულად არსებულ თვლადობას, ხარისხის კონტროლს...

2. დემოგრაფიული პრობლემები ახალ განზომილებას მი-აღწევს – მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, სამუშაო ადგილები კი მცირდება ტექნოლოგიების განვითარების მიზე-ზით. დასავლეთის ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებს მუშახელით ვეღარ შეავსებს არადასავლური საზოგადოებები, რადგან მათ ამის უნარ-ჩვევები არ ექნებათ. დასავლეთის ქვეყნებში გაგრძელდება დემოგრაფიული დაბერება და მოსახლეო-ბის რაოდენობის კლება, განვითარებად ქვეყნებში კი პირიქით, მოხდება დემოგრაფიული აფეთქება. 25-35 წლის პერსპექტივაში თითქმის ყველა აფრიკული ქვეყანა გაორმაგდება მოსახლეო-ბის რაოდენობით. აუცილებელი გახდება აფრიკის კონტინენტის პრობლემების აქტუალიზაცია.

3. გლობალიზაციის პროცესი უპრეცედენტო გაღრმავე-ბას განიცდის. ტექნოლოგიური რევოლუცია და ხელოვნური ინტელექტის ფართო გამოყენება ახალ მასშტაბებს იძენს. ამ პროცესში მოგებულები და წაგებულები ახალი კონფიგურაციით გადანაწილდებიან დიდ საჭადრაკო დონეზე. წაგებულთა მხარეს შესაძლოა აღმოჩნდნენ თავად დასავლური საზოგადოებები. მართალია, სწორედ ისინი ფლობენ ტექნოლოგიებს, მაგრამ ტექნოლოგიური რევოლუცია ხელს შეუწყობს საშუალო ფენის ეკონომიკურ სტაგნაციას, რაც დასავლური საზოგადოებების პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძველია. საგარეო ფაქტორებიც არ იქნება მომგებიანი დასავლეთისთვის. ახალი გეოპოლიტი-კური ამბიციები რუსეთის, ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოე-ბის მხრიდან დაასუსტებს აშშ გავლენებს. წაგებულთა ბანაკში არიან პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც. მათ ვერ მოახერხეს სრული ტრანსფორმაცია და ცივი ომის დროინდელი ჩამორჩენილობის დაძლევა, უთანასწორობა კი მნიშვნელოვნად გაიზრდება შემ-დგომ წლებში. პოსტ-კომუნისტური რუსეთი ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების გაღრმავებას ნაციონალიზმის

ზრდითა და საგარეო ექსპანსიის გააქტიურებით უზრუნველყვეს. მოგებულთა მხარეს აღმოჩნდება მზარდი ეკონომიკის ქვეყნები, განსაკუთრებით ჩინეთი.

4. პროგრესი ეკოლოგიის წინააღმდეგ: თუ XX საუკუნის მთავარი თემები იყო სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და ადამინის უფლებები, XXI საუკუნეში მთავარ პრობლემად კლიმატის ცვლილება და რესურსების სიმწირე მოიაზრება.

5. უსაფრთხოების სფეროში ახალ მასშტაბებს მიიღებს ამჟამად არსებული საფრთხეები: ტექნოლოგიური წინსვლა ხელს შეუწყობს ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას და ნარკოგადაზიდვებს; გამართვიდება გეოგრაფიულად დაშორებულ ტერიტორიებზე საომარი მოქმედებების წარმოება. **აქტუალური გახდება უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები, განსაკუთრებით კიბერუსაფრთხოება.**

6. სახელმწიფოების პარალელურად ინდივიდები და მცირე ინტერეს-ჯგუფები შეძლებენ იმოქმედონ სახელმწიფოების მსგავსად. ტრადიციული პოლიტიკური თემები დაკარგავს აქტუალობას და გაჩნდება ახალი თემები, რომელიც გაგვაოცებს თავისი კომპლექსურობითა და საკითხთა სიმრავლით. თანამშრომლობის ტრადიციული ფორმები შეიცვლება და გართულდება. იცვლება რეალიზმზე დაფუძნებული 1945 წლის წესრიგი, სადაც საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ აქტორებს სახელმწიფოები წარმოადგენდა. მსოფლიო გახდება პოსტ-მოდერნული მეტა-ნარატივებისა და მეგა-აქტორების გარეშე, რაც თვისობრივად შეცვლის ომის, მშვიდობის, მმართველობის, კონფლიქტის, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერების ჩვეულ აღქმას. ინფორმაციის სიმრავლე და ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი შექმნის მრავალ რეალობას. **ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის გახდება სრულიად ბუნდოვანი.**

7. ინდივიდი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქტორი, სრულიად უპრეცედენტოა კაცობრიობის ისტორიაში. გამოიკვეთება ახალი ტენდენციები – კოორდინაცია და თანამშრომლობა ინდივიდებს, ინტერეს-ჯგუფებსა და სახელმწიფოებს.

ბს შორის. ზესახელმწიფოების მეტოქეობა შემცირდება და ას-
პარეზზე გამოჩნდება როგორც რეგიონალური სახელმწიფოები,
ასევე არასახელმწიფოებრივი ძალები.

8. ქვეყნის შიდა პოლიტიკაში მეტ მნიშვნელობას შეიძენს
ახალი გამონვევები. მაგ. **პოპულიზმის ზრდა. გაიზრდება
პროპაგანდის და დეზინფორმაციის მასშტაბები.** ეროვნული
ხელისუფლებები და პოლიტიკური ინსტიტუტები მზად უნდა
შეხვდნენ ახალ გამონვევებს. ქვეყნის უსაფრთხო არსებობისთ-
ვის გადამწყვეტი გახდება მთავრობის უნარი მიიღოს სწრაფი
გადანწყვეტილებები მყისიერი საფრთხეების წინააღმდეგ და
აკონტროლოს კანონის უზენაესობა. ფული ველარ იქნება მმართ-
ველობის მთავარი ინსტრუმენტი. ის საზოგადოებები, რომლებიც
მიჩვეულნი არიან კანონის უზენაესობას, პოლიტიკური პროცე-
სების გამჭვირვალობას და პოლიტიკურ თუ სოციალურ პლუ-
რალიზმს, უფრო ადვილად გაუძლებენ მზარდ ტურბულენტობას.
თუმცა, პოლიტიკური ლიდერობის დეფიციტი მნიშვნელოვნად
გაართულებს ახალ გამონვევებთან ბრძოლის შესაძლებლობას.

„პროგრესის პარადოქსი“ გვთავაზობს რეკომენდაციებსაც
ჩამოთვლილი გამონვევების დასაძლევადა.

დიდი ინვესტირება უნდა მოხდეს დიპლომატიის და განათ-
ლების სფეროებში, რადგან განათლება და ტექნოლოგიური ინო-
ვაციები ეკონომიკური განვითარების გარდაუვალი საფუძველი
გახდება. რაც შეეხება დიპლომატიას, უნდა მოხდეს სტრატეგი-
ული კომუნიკაციის გაღრმავება. უნდა ვაღიაროთ ცვლილებები
რომელიც მოხდა და მოხდება მომავალში. გამოვიჩინოთ პოლი-
ტიკური მოქნილობა და ველაპარაკოთ ყველას. უნდა შეიქმნას
ახალი ალიანსები და კოალიციები სხვადასხვა თემის გარშემო.

გამოყენებული წყაროები:

1. National Intelligence Council. Global Trends. https://www.dni.gov/index.php?option=com_content&view=article&id=398&Itemid=776
2. Global Trends 2015: A dialogue about the future with nongovernment experts. A publication of the National Intelligence Council.

- December 2000. https://www.dni.gov/files/documents/Global%20Trends_2015%20Report.pdf
3. Mapping the Global Future. Report of the National Intelligence Council's 2020 Project. December 2004. https://www.dni.gov/files/documents/Global%20Trends_Mapping%20the%20Global%20Future%202020%20Project.pdf
 4. Global Trends 2025: A transformed world. A publication of the National Intelligence Council. November 2008. https://www.dni.gov/files/documents/Newsroom/Reports%20and%20Pubs/2025_Global_Trends_Final_Report.pdf
 5. Global trends 2030: Alternative Worlds. A publication of the National Intelligence Council. December 2012. <https://globaltrends2030.files.wordpress.com/2012/11/global-trends-2030-november2012.pdf>
 6. Global Trends. Paradox of Progress. A publication of the National Intelligence Council. January 2017. <https://www.dni.gov/files/documents/nic/GT-Full-Report.pdf>
 7. Global Trends. Paradox of Progress. Global Trends Release even – live from the Newseum in Washington DC. January 9, 2017. <https://www.dni.gov/index.php/digital-extras/newseum-launch-presentation>

1.4. დასავლეთის რბილი ძალა

- აშშ რბილი ძალა
- ევროკავშირის რბილი ძალა
- „კარგი და ცუდი პოლიციელი“
- გაეროს გლობალური პროექტები

დასავლური რბილი ძალა ინსტიტუციურ ქმედებებზე და უნივერსალური ღირებულებების გავრცელებაზეა დაფუძნებული. რბილი ძალის გამავრცელებლად უნდა განვიხილოთ როგორც ცალკეული ქვეყნები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები. რბილი ძალის მიმღებად – სახელმწიფოები და ასევე სახელმწიფოში მოქმედი ცალკეული ინსტიტუტები, პოლიტიკური პარტიები და სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფები.

დასავლურ რბილ ძალაზე მსჯელობისთვის საილუსტრაციოდ და განსახილველად შევარჩიეთ სამი მაგალითი – აშშ, ევროკავშირი და გაერო. აშშ-სა და ევროკავშირის რბილი ძალის თავისებურებების შედარებისთვის ვეყრდნობით ჯოზეფ ნაის ანალიზს.¹

ჯოზეფ ნაი არა მხოლოდ მეცნიერი და თეორეტიკოსი, არამედ აშშ პოლიტიკის პრაქტიკოსია. შესაბამისად, მისი ნაშრომების უპირველესი მიზანი აშშ საგარეო პოლიტიკის შეფასება და შესაბამისი უწყებებისთვის რეკომენდაციების მიცემაა. რბილი, ხისტი, ჭკვიანი ძალის და ძალის ტრანზიციის და დიფუზიის მაგალითებიც უპირველეს ყოვლისა აშშ რეალობაზეა დაფუძნებული. მიმოვიხილოთ, როგორ განსაზღვრავს ნაი რბილი, ხისტი და ჭკვიანი ძალების გამოყენების შესაძლებლობებსა თუ გამოწვევებს ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დაულალავი კრიტიკოსი ჯოზეფ ნაი აშშ საგარეო პოლიტიკის ანალიზის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 2003 წლის ერაყის კამპანიას. ბუშის საომარი კამპანიის დაწყებას ნაი და სხვა ექსპერტებიც უკავშირებენ აშშ-ის რბილი მომხიბვლელობის შემცირებას ომის წინა პერიოდში. თუმცა ომმა შედეგი ვერ გამოასწორა და პირიქით – ერაყის კამპანიის შემდეგ მსოფლიოში ანტი-ამერიკული განწყობები მკვეთრად გაიზარდა. ნაის ანალიზის მცირეოდენი იმპროვიზირება რომ მოვახდინოთ, რბილი ძალის დასუსტებამ აუცილებელი გახადა ხისტი ძალის გამოყენება, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა რბილი ძალა, და კიდევ უფრო გაიზარდა ხისტ ძალაზე დამოკიდებულება. შედეგად მივიღეთ ერთგვარი მანკიერი წრე, რომლის გარღვე-

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power and European-American Affairs*. in: *Hard Power, Soft Power and the Future of Transatlantic Relations*. Edited by Thomas L. Ilgen. ASHGATE. 2006. p.25-38.

ვას პრეზიდენტი ობამა უშედეგოდ შეეცადა. აშშ პოლიტიკური სისტემა ერთგვარი „გადატვირთვის“ აუცილებლობის წინაშე დადგა, რამაც დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება გამოიწვია.

რასაკვირველია, რესპუბლიკელთა მმართველობის მომხრე ექსპერტები (განსაკუთრებით ნეოკონსერვატიული სკოლა) არ ეთანხმებოდნენ და არც დღეს ეთანხმებიან ნაის ანალიზს. მათი აზრით, „აშშ-ს არ სჭირდება აპლოდისმენტები“¹ საკუთარი სახელმწიფო ინტერესების გასატარებლად, პოლიტიკაში არ არსებობს მუდმივი მტრები და მეგობრები, გარკვეული საკითხების გარშემო კი ყოველთვის შესაძლებელია კოალიციის შემოკრება. ნეოკონსერვატორების აზრით, აშშ-მა უპირველეს ყოვლისა საკუთარი ინტერესების დაცვაზე უნდა იზრუნოს. თუ ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ფიქრობს, რომ ამერიკა იმპერიაა, დაე იფიქრონ... რბილი ძალის სკეპტიკოსების აზრით, პოპულარობა ეფემერულია და ის არ უნდა გახდეს საგარეო პოლიტიკის მიმართულების განმსაზღვრელი.² ომის მომხრეთა აზრით, აშშ-ს არაპოპულარულობა წარსულშიც უნახავთ და გამოსწორებადია.

რესპუბლიკელების ამგვარ არგუმენტებს ნაი დღევანდელ, ძალის დიფუზიაზე დამყარებულ პოსტმოდერნულ სამყაროში ცივი ომის მაგალითების არარელევანტურობით პასუხობს.³ მისი ზრით, რბილი მომხიბვლელობის კლება და იმიჯის შელახვა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძვირი უჯდება აშშ-ს და ადამიანურ მსხვერპლს მოითხოვს. 9/11-ის შემდეგ მთელმა მსოფლიომ დაუჭირა მხარი აშშ-ს ანტიტერორისტულ

¹ *ibid*: p.29.

² ნეოკონსერვატიული იდეოლოგია დაკავშირებულია სტანფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტთან. ინსტიტუტის ვებ-გვერდი გთავაზობს კვლევებს, პუბლიკაციებს და სხვ. საინტერესო მასალებს როგორც რბილი ძალის დისკურსთან მიმართებით, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის ყველა აქტუალურ საკითხზე. <https://www.hoover.org>

³ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power and European-American Affairs. Hard Power, Soft Power and the Future of Transatlantic Relations.* Edited by Thomas L. Ilgen. ASH-GATE. 2006. p.27

კამპანიებში, მაგრამ ერაყის ომის შემდეგომ აშშ-ის ანტიტერორისტულმა მონოდებებმა სრულიად დაკარგა ლეგიტიმაცია.¹

უნდობლობა გადამდებია, მსოფლიოში ანტიამერიკული სენტიმენტების ზრდა ცუდ გავლენას ახდენს თავად ამერიკულ საზოგადოებაზე – ჩნდება ფობიები და ღრმავდება იზოლაციონიზმისკენ სწრაფვა. გარდა ამისა, აშშ-ის იმიჯის შელახვა ზოგადად დასავლური ღირებულებებისა და დასავლეთის დაკნინებას უწყობს ხელს.

ტრანსნაციონალური ტერორიზმი აშშ-ისა და მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების უსაფრთხოების ანალიზსა და სტრატეგიულ დოკუმენტებში სახელმწიფოს მთავარ საფრთხედაა დასახელებული. დასავლურ საზოგადოებაში ტერორისტებთან/ტერორისტულ ორგანიზაციებთან რაიმე ტიპის ურთიერთობა/კომპრომისი სრულიად გამორიცხულია და ამორალობის ტოლფასია. ნაი არ აკნინებს ტერორიზმის საფრთხეს. ის აცნობიერებს, რომ ტერორიზმს ვერც მხოლოდ რბილი ძალით დაამარცხებ და ვერც მხოლოდ ხისტი. ნაისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს ალიანსების შექმნას და საერთაშორისო თანამშრომლობას, რისი მიღწევაც შეუძლებელია რბილი ძალის გარეშე². დღევანდელ მსოფლიოში, სადაც თითქმის ყველა სახელმწიფოში შექმნილია ფარული ტერორისტული ორგანიზაციები (მათ შორის, აშშ-შიც) რბილ ძალას გადამწყვეტი როლი აქვს ტერორისტების მომხრეთა რეკრუტირებისთვის ხელის შესაშლელად.³

ნაის აზრით, გლობალურ საინფორმაციო ხანაში ეფექტური თავდაცვა აღარ არის ძალაუფლების ექსკლუზიური წყარო, არამედ ეს უკანასკნელი ღირებულებების ეფექტურ და გლობალურ გაზიარებას ეფუძნება, რაც მხოლოდ ტრადიციული რეალ-პოლიტიკით ვეღარ მიიღწევა. აშშ ამერიკული სამხედრო

¹ *ibid.* p.26

² Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power*. Public Affairs. NY. 2011. p.204.

³ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics*. Public Affairs. NY. 2004 p.21-25

ბაზები განლაგებულია მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, ინგლისური ენა (სწორედ აშშ-ს დამსახურებით) იქცა ლინგვა ფრანკად, ამერიკული ეკონომიკა უდიდესია მსოფლიოში, ამერიკული პოპ-კულტურა მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულშია დამკვიდრებული, მაგრამ მსოფლიოს ყველაზე ძლიერ ქვეყანას არ შესწევს უნარი სხვათა თანადგომის გარეშე, დამოუკიდებლად დაიცვას საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები. აღნიშნულ მოვლენას ნაიმ „ამერიკული ძალაუფლების პარადოქსი“¹ დაარქვა, და პრობლემის გამოსავლად რბილი ძალის გააქტიურება დასახა.

საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, დასავლეთი (აშშ და ევროპა) ხშირად ერთიან კულტურულ სივრცედ აღიქმება, რაც ცივი ომის საბჭოთა ხედვის ინერციაა და რეალობას არ შეესაბამება. კულტურული სიახლოვის მიუხედავად, ამერიკულ და ევროპულ ხედვებში სხვაობა დიდია და მეტიც, ეს ორი კულტურა მუდმივ ზეგავლენას ახდენს ერთმანეთზე. ცივი ომის შემდგომ პერიოდში, რბილი მომხიბვლელობის გავრცელების პროცესში, აშშ და ევროკავშირი მეტოქეებადაც კი იქცნენ.

ნაი მიჯნავს ევროპაში აშშ რბილ ძალას და ევროკავშირის რბილ ძალას მსოფლიოში. აშშ რბილი ძალის მექანიზმებად ევროპაში ნაი განიხილავს ფინანსურ დახმარებას (მარშალის გეგმა), ძირეული კულტურული ღირებულებების ექსპორტს (ფედერალიზმი, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი...), ამერიკული მასკულტურის ზეგავლენას ყოველდღიური ცხოვრების წესზე (ინდივიდუალიზმი, არაფორმალური ქცევა, ახალგაზრდობის როლის წამოწევა, პროგრესის რწმენა...)²

ამერიკული რბილი ზეგავლენა ევროპაზე არ ნიშნავს ღირებულებების სრულად გაზიარებას და ბრმა მიმბაძველობას. მაგალითად, ევროპაში სიფრთხილით ეკიდებიან ზოგიერთ ამერი-

¹ ნაიმ ამერიკული ძალაუფლების პარადოქსს მიუძღვნა მონოგრაფია: Joseph S. Nye, Jr. The Paradox of American Power: Why the World's Only Superpower Can't Go It Alone. Oxford University Press. 2002

² Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011.p.97.

კულ მოდელს (სიტყვის თავისუფლების მოდელი; ეკონომიკური მოდელი).¹ ასევე სრულიად განსხვავებულია მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართ დამოკიდებულება არა მხოლოდ ამჟამად, არამედ ცივი ომის პერიოდშიც. სხვაობა ევროპულ და ამერიკულ ღირებულებებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან ეტაპებზე.

ევროკავშირის რბილი ძალა თავისი მასშტაბით არ ჩამოუვარდება აშშ რბილ ძალას. ევროკავშირის არსებობა თავად არის რბილი ძალა. ევროკავშირის შექმნამ წარმოუდგენელი გახადა ომი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც საუკუნეების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული და მათ შორის ინტერესთა შეუთავსებლობამ სამყარო ორ მსოფლიო ომში გახვია.

ევროპის რბილი ძალის რესურსების განხილვისას ნაი ასახელებს კულტურას და ხელოვნებას (ლიტერატურა, მუსიკა, დიზაინი, მოდა, საკვები...), ევროპულ ენებს (ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური...), პოლიტიკურ ღირებულებებს (სიკვდილით დასჯის არ არსებობა, იარაღის კონტროლი, ადამიანის უფლებები...), ეკონომიკურ მოდელებს (საყოველთაო კეთილდღეობაზე დაფუძნებული ეკონომიკა)...² ღირებულებების გარდა, ევროპული რბილი ძალის მომხიბვლელობას ზრდის მისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმურობა (განვითარებადი ქვეყნების ფინანსური დახმარება, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა, სახალხო დიპლომატიის განვითარებისთვის დახარჯული რესურსები...)³

¹ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power and European-American Affairs. Hard Power, Soft Power and the Future of Transatlantic Relations.* Edited by Thomas L. Ilgen. ASHGATE. 2006. p.28

² *ibid.* p.30

³ Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics.* Public Affairs. NY. 2004. p.19-20; 75-83. Joseph S. Nye, Jr. *Soft Power and European-American Affairs. Hard Power, Soft Power and the Future of Transatlantic Relations.* Edited by Thomas L. Ilgen. ASHGATE. 2006. p.30-33

როგორ შეიძლება შეფასდეს აშშ და ევროკავშირის მეტოქეობა მსოფლიოში რბილი ზეგავლენის მოსაპოვებლად? რა არის თითოეულის სისუსტე და გამონწვევა? კონკურენცია უფრო მომგებიანია თითოეული მათგანისთვის თუ თანამშრომლობა?

არადასავლური საზოგადოებებისთვის ევროკავშირის რბილი ძალა ხშირად ამერიკულზე უფრო მომხიბვლელი და მისაღებია. რუსეთი და ჩინეთიც კი სწორედ ევროკავშირთან ცდილობენ დაახლოებას და საერთო ინტერესების პოვნას, ხოლო აშშ-ს მთავარ მტრად აცხადებენ.

ზოგიერთი ის ღირებულება (სოციალური კაპიტალიზმის თანმდევი ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები, მიგრაციული პოლიტიკა, და სხვა), რაც ევროპის რბილი ძალის უპირატესობას განაპირობებს, შესაძლოა ახლო მომავალში გამონწვევად ექცეს თავად ევროპულ ქვეყნებს, რაც დაასუსტებს ევროპის რბილი ძალის მომხიბვლელობას და შეამცირებს რბილი ძალის პოლიტიკის წარმოებისთვის აუცილებელ რესურსებს.

ევროკავშირის რბილი ძალის კლება არ ნიშნავს აშშ-ის რბილი ძალის ზრდას და პირიქით. ნაის ხატოვანი მეტაფორით, ევროპა და აშშ ხშირად ასრულებს „კარგი და ცუდი პოლიციელის“ როლს საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ ეს თამაში მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ ორივე პოლიციელი შეთანხმებულად მოქმედებს.¹

საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე დისკუსია ხშირად დაფუძნებულია სახელმწიფოების ქმედებების განხილვაზე, რაც რეალიზმის თეორიულ ჩარჩოში ჯდება. თუმცა ბოლო ათწლეულებში მეტი ყურადღება ექცევა საერთაშორისო პოლიტიკის სხვა სისტემურ აქტორებს და უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ორგანიზაციებს. რასაკვირველია, ესა თუ ის

¹ ibid. p.34

საერთაშორისო ორგანიზაცია ერი-სახელმწიფოების შეთანხმების პროდუქტია და პოლიტიკის წარმოების პროცესში გათვალისწინებულია ნევრი სახელმწიფოების ინტერესები, მაგრამ სახელმწიფოების მიერ შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციებში ცალკეული სახელმწიფოები ვეღარ ახერხებენ დომინირებას და ესა თუ ის გადაწყვეტილება ინტერესთა შეჯერების თუ სახელმწიფოთა შორის მიღწეული კონსენსუსი შედეგია. სახელმწიფოები ქმნიან ორგანიზაციებს, ორგანიზაციები ქმნიან სისტემურ წესებს და შემდეგ ეს წესები ზემოქმედებს სახელმწიფოს პოლიტიკურ ქმედებაზე (როგორც უოლცისეული ნეორეალიზმი აღნიშნავს, სისტემა ზემოქმედებს აქტორებზე).

რბილ ძალასთან მიმართებაში, საერთაშორისო ორგანიზაციები უდაოდ ექცევა ყურადღების ქვეშ, რადგან მათი მოქმედების ხასიათი ყველაზე მეტად არის დაკავშირებული რბილი ძალის მექანიზმებთან: საერთო ღირებულებებსა და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, სახალხო დიპლომატიის აქტიური როლი, სტრატეგიული კომუნიკაცია, ნორმების და ღირებულებების გავრცელება... სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციები განსაზღვრავენ რა არის ლეგალური, კულტურულად და სოციალურად მისაღები გლობალურ დონეზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების კომუნიკაციის ტიპებად განსაზღვრავენ: შიდა კომუნიკაციას ორგანიზაციის სისტემური შენარჩუნებისთვის; კომუნიკაციას საერთაშორისო არენაზე ორგანიზაციის იმიჯის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად; ორგანიზაციის გაფართოების პოლიტიკას; საფრთხეების და რისკების მენეჯმენტს. ჩამოთვლილი პუნქტებიდან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციას თვლის უფრო პრიორიტეტულად. ზოგიერთისთვის კი კომუნიკაციის ყველა ტიპი თანაბრად პრიორიტეტულია.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ახალი ციფრული შესაძლებლობების გამოყენებით სტრატეგიული კომუნიკაციის ახალი მასშტაბებისა და რბილი ძალის მექანიზმების

განხილვის მაგალითად შევარჩიეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, და კონკრეტულად მისი ერთი პროექტი, რომელიც იმდენად გლობალურია, რომ შეუძლებელია მისი წარმოება რბილი ძალის მექანიზმების გარეშე.

2015 წლის 25-27 სექტემბერს მდგრადი განვითარების ისტორიულ სამიტზე, გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს დოკუმენტი „მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030“ რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვრიდან. მასში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა გაეროს წევრი 193 ქვეყნის მეთაურმა. დოკუმენტი ერთგვარი გაგრძელება და გაღრმავებაა ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) რომელიც მიღებულ გაეროს ათასწლეულის სამიტზე 2000 წელს მიიღეს. იგი შედგებოდა 8 მიზნისგან, რომელიც მიღწეულ უნდა ყოფილიყო 2015 წლისთვის. 2030 დოკუმენტი (SDGs) უპრეცედენტოა გაეროს არსებობის ისტორიაში, რადგან ის ჩართულობისკენ მოუწოდებს ყველა ქვეყანას მიუხედავად სიდიდისა და ეკონომიკური განვითარებისა.¹

გლობალური მიზნები, როგორც შემოკლებით უწოდებენ ამ დოკუმენტს, შედგება 17 მიზნისგან და მოიცავს გლობალური გამოწვევების მთელ სპექტრს: სიღარიბის, შიმშილის, უთანასწორობის დაძლევა; ეკოლოგიური პრობლემები; ჯანდაცვის გაუმჯობესება; ენერგოუსაფრთხოება; გენდერული თანასწორობა; ხარისხიანი განათლება; ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება; მდგრადი განვითარება; ინსტიტუციების განვითარება; მშვიდობა და სამართლიანობა; თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყნებს შორის გლობალური მიზნების მისაღწევად...

გლობალური მიზნების მიღწევაში სახელმწიფოებს დახმარებას უწევს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რომელიც ხელმძღვანელობს გლობალური მიზნების ეროვნული

¹ Sustainable Development Goals. <http://www.un.org/sustainabledevelopment/development-agenda/>

ანგარიშების მომზადების პროცესს და დახმარებას უწევს მსოფლიოს ქვეყნებს სამი მიმართულებით: გლობალური მიზნების მიღწევის ხელშეწყობა; გაეროს გამოცდილების გაზიარება და ექსპერტული კონსულტაციები გლობალური მიზნების მიღწევის პროცესში; გლობალური მიზნების ასახვა ეროვნულ გეგმებსა და პოლიტიკაში.

გაეროს გლობალური მიზნების პოლიტიკის შემუშავების შემდეგ საექსპერტო წრეებში არ წყდება მსჯელობა ამ ყოვლისმომცველ და გრძელვადიან პოლიტიკაზე. შექმნილია გლობალური მიზნების დამოუკიდებელი ვებგვერდი, სადაც მოცემულია ინფორმაცია აღნიშნულ პროექტსა და მის ფარგლებში მიმდინარე მოვლენებზე. ვებგვერდი ნებისმიერ ვიზიტორს სთავაზობს ცალკე განყოფილებას – „რა შემიძლია გავაკეთო მე“, სადაც ქვეგანყოფილებებად გვხვდება რა შეიძლება გაკეთდეს სოციალური მედით, როგორ შეიძლება ჩაერთოს არასამთავრობო სექტორი, ბიზნეს სექტორი...

ამგვარი მასშტაბური კამპანია მართლაც უპრეცედენტოა კაცობრიობის ისტორიაში და გლობალიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლას გვაუწყებს. საძიებო სისტემა გუგლში „გლობალური მიზნების“ მხოლოდ ინგლისურ ენაზე ჩანერა 33 მილიონზე მეტ ვებ-გვერდს გვთავაზობს. იუთუბი გვთავაზობს 3 მილიონამდე ვიდეოს, სადაც გლობალური მიზნების განმარტებას და პოპულარიზაციას გვთავაზობენ ცნობილი ადამიანები, ექსპერტები, მოხალისეები, ახალგაზრდები, ბავშვები... რობოტები და ანიმაციური გმირებიც კი. მაგალითად, ბავშვებისა და დიდებისთვის თანაბრად ცნობილი და საყვარელი კომედიური ჟანრის ინგლისური ანიმაციური სერიალის „მისტერ ბინი“ მთავარი გმირი ბინი დათუნია ტედისთან ერთად ჩვეული დაბნეულობით ცდილობს გააკრას გლობალური მიზნების პლაკატი. შემდეგ ის იღებს სატელეფონო შეტყობინებას: მისტერ ბინ, ჩამოტვირთე გლობალური მიზნების სატელეფონო აპლიკაცია, ჩაერთე პროექტში, ჰეშთეგით „უკეთესი მომავალი“.¹

¹ Mr. Bean and Global Goals. <https://www.youtube.com/watch?v=s8cWM-TFZwM>

ჰუმანოიდი რობოტი სოფიაც სწორედ გლობალური მიზნების ფარგლებში ესტუმრა საქართველოს.

გლობალური მიზნების ქოლგის ქვეშ იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატები ამა თუ იმ სპორტულ სახეობებში. შექმნილია სპეციალური კლიპები და სიმღერები. მიზნების პოპულარიზაციაში გარდაცვლილი ლიდერებიც კი მონაწილეობენ. მაგალითად, 17 მიზნიდან პირველი გახლავთ „არა სიღარიბეს“. კამპანია „მიზანი 1 – არა სიღარიბეს“ გვთავაზობს ნელსონ მანდელას ისტორიულ გამოსვლას ლონდონში ტრაფალგარის მოედანზე 2005 წელს, რომლის სლოგანი იყო – „გახადე სიღარიბე ისტორია“.¹

გაეროს ისტორიული სამიტი კიდევ უფრო ისტორიული გახადა პაპი ფრანცისკეს თანადგომამ.² ის ვრცელი გამოსვლით მიესალმა გაეროს სამიტს და ხაზი გაუსვა მდგრადი განვითარების 2030 პროგრამას. ისაუბრა პროგრამის ისეთ მიზნებზე, როგორცაა სიღატაკისა და უთანასწორობის აღმოფხვრა, ეკოლოგიური პრობლემები (ამ თემებს პაპი თავადაც ხშირად განიხილავს თავის საჯარო გამოსვლებში). გაეროს იმდროინდელმა გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა აღნიშნა, რომ გაეროს არსებობის 70 წლიან ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გაეროს გენერალური ასამბლეის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო რომის პაპმა.

ბიბლიოგრაფია:

1. Joseph S. Nye, Jr. *Soft Power. The Means to Success in World Politics.* Public Affairs. NY. 2004
2. Joseph S. Nye, Jr. *Soft Power and European-American Affairs. Hard Power, Soft Power and the Future of Transatlantic Relations.* Edited by Thomas L. Ilgen. ASHGATE. 2006.

¹ Nelson Mandela Speech in Trafalgar Square on February 3, 2005. <https://www.youtube.com/watch?v=1NennMCLG7A>

² Pope Francis, decries global “culture of waste”, urges action sustainable development. Sustainable Development Goals. Sep. 25. 2015. <http://www.un.org/sustainabledevelopment/blog/2015/09/at-un-pope-francis-decries-global->

3. Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011
4. Joseph S. Nye, Jr. The Paradox of American Power: Why the World's Only Superpower Can't Go It Alone. Oxford University Press. 2002
5. The Oxford Handbook of International Organizations. Edited by Jacob Katz Gogan, Ian Hurd, Ian Jonstone. Oxford University Press. 2016
6. Soft Power and US Foreign Policy. Theoretical, historical and contemporary perspectives. Edited by Inderjeet Parmar and Michael Cox. Routledge. 2010
7. Hoover Institution. <https://www.hoover.org>
8. Sustainable Development Goals. <http://www.un.org/sustainabledevelopment/development-agenda/>
9. Mr. Bean and Global Goals. <https://www.youtube.com/watch?v=s8cWMM-TFZW>
10. Nelson Mandela Speech in Trafalgar Square on February 3, 2005. <https://www.youtube.com/watch?v=1NennMCLG7A>
11. Pope Francis, decries global "culture of waste", urges action sustainable development. Sustainable Development Goals. Sep. 25. 2015. <http://www.un.org/sustainabledevelopment/blog/2015/09/at-un-pope-francis-decries-global>

კითხვები და დავალებები:

1. შენი აზრით, რა საერთო და განსხვავებული ღირებულებები უდევს საფუძვლად აშშ და ევროკავშირის რბილ ძალას?
2. შენი აზრით, არადასავლურ საზოგადოებებში აშშ-ის რბილი ძალა უფრო ეფექტურია თუ ევროკავშირის რბილი ძალა? დაასაბუთე პასუხი.
3. იმსჯელე რბილი ძალის მექანიზმებზე ტერორიზმთან მიმართებაში.
4. განმარტე ტერმინი „ამერიკული ძალაუფლების პარადოქსი“.
5. როგორ გესმის წინადადება: ევროპა და აშშ ხშირად ასრულებს „კარგი და ცუდი პოლიციელის“ როლს საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგრამ ეს თამაში მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ ორივე პოლიციელი შეთანხმებულად მოქმედებს.

6. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიული კომუნიკაციის შესახებ.
7. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია გაეროს გლობალური მიზნების შესახებ. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია გაეროს პოლიტიკა რბილ ძალასთან დავაკავშიროთ? დაასაბუთე პასუხი.
8. შეარჩიე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული ერთი კონკრეტული პროექტი და იმსჯელე რბილი ძალის მექანიზმებზე აღნიშნულ პროექტთან მიმართებაში.

➤ **ეს საინტერესოა:**

ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის (ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა) და მხოლოდ რბილი ძალის მექანიზმების გამოყენების მიუხედავად, გაეროს გლობალური მიზნების წინააღმდეგ მიმართული ანტიგლობალისტების კრიტიკა 2030 დღის წესრიგის გამოჩენისთანავე დაიწყო. მრავალრიცხოვან ლიტერატურაში მაგალითისთვის გამოვარჩიეთ ამერიკელი ბლოგერების, მაიკლ სნაიდერისა და მაიკ ადამსის სტატიები, რომლებიც 2015 წლის სექტემბრის პირველივე დღეებში (გაეროს ისტორიულ სამიტის ჩატარებამდე) გამოჩნდა.

მაიკლ სნაიდერი 15-მდე ბლოგის ავტორია. ანტიგლობალისტი ბლოგერი გლობალიზაციას აკრიტიკებს ეკონომიკური და რელიგიური არგუმენტებით. სნაიდერმა თავის ერთ-ერთ ბლოგზე „ამერიკული ოცნების დასასრული“ 2015 წლის 2 სექტემბერს გამოაქვეყნა სტატია „2030 დღის წესრიგი: გაერო, პაპის თანადგომით, ახალი მსოფლიო წესრიგის პროექტს ქმნის“. მისი აზრით, გლობალური ელიტებისთვის საშიშროებას წარმოადგენს ხალხთა თავისუფლება და მათ გლობალური კონტროლის ახალ დონეზე აყვანა სურთ. სტატიის დასასრულს ავტორი მოუწოდებს მხარდამჭერებს მოქმედებისკენ, რომ გლობალური ელიტების ხელში არ აღმოჩნდეს უპრეცედენტო ძალაუფლება. 2015 წლის 4 სექტემბერს სნაიდერის სტატიის ერთგვარ გაგრ-

ძელებას გვთავაზობს კიდევ ერთი ბლოგერი მაიკლ ადამსი, რომელიც თავის ბლოგზე – „რეალური ამბები“ აქვეყნებს სტატიას: „გაეროს 2030 პროგრამა გაშიფრულია: გლობალური მონობის პროექტი საყოველთაო მმართველობის ჩექმის ქვეშ“. ადამსი გვთავაზობს 17 მიზნის მისეულ „თარგმანს“. მაგალითისათვის, დავასახელებთ რამდენიმეს: მიზანი 2 – შიმშილის აღმოფხვრა, მისი აზრით გულისხმობს გენმოდირიცირებული პროდუქტის წარმოების წახალისებას. მიზანი 5 – გენდერული თანასწორობა, გულისხმობს ქრისტიანობის კრიმინალიზებას, ჰეტეროსექსუალიზმის მარგინალიზებას, მასკულიზმის დემონიზებას. მიზანი 9 – ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეწყობა, ინდუსტრიალიზაცია და ინოვაციები, ნიშნავს ერების გახლართვას მსოფლიო ბანკის კრედიტებში და კორუმპირებული ამერიკული კორპორაციების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას მსოფლიო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, და სხვა.

გამოყენებული წყაროები:

1. Michael Snyder. The 2030 agenda: This Month the UN Launches A Blueprint for a new World Order with the help of the Pope. End of the American Dream. Sep.2. 2015. <http://endoftheamericandream.com/archives/the-2030-agenda-this-month-the-un-launches-a-blueprint-for-a-new-world-order-with-the-help-of-the-pope>
2. Mike Adams. The United Nations 2030 Agenda decoded: It's a blueprint for the global enslavement of humanity under the boot of corporate masters. Natural News. Sep. 4, 2015. https://www.naturalnews.com/051058_2030_Agenda_United_Nations_global_enslavement.html
3. Xinhua Interview: Liu Zhenmin, UN under-secretary-general for economic and social affairs. Aug. 2017. <https://www.youtube.com/watch?v=xigTjROWubA>

1.5. ბასრი ძალა – რუსეთი, ჩინეთი

- ბასრი ძალის კომპონენტები
- დემოკრატიზაცია და ავტორიტარიზმის გავრცელება
- რუსეთის ბასრი ძალის საფრთხეები საერთაშორისო პოლიტიკაში
- ჩინეთის ბასრი ძალის საფრთხეები საერთაშორისო პოლიტიკაში

რუსეთის ბასრი ძალა თავისი არსით სრულიად განსხვავდება ნაისეული რბილი ძალისგან და ჩვენი აზრით, რბილი და ხისტი ძალების სხვადასხვა მექანიზმების ერთგვარი ნაზავია: 1. მოხიბვლაზე დაფუძნებული რბილი ძალა; 2. დეზინფორმაციაზე დაფუძნებული ცივი ომის დროინდელი პროპაგანდა; 3. პროფესიონალიზმზე დაფუძნებული სამხედრო ფსიქოლოგიური ოპერაციების ტექნიკა; 4. დემოკრატიზაციის პროცესის ტექნიკის გამოყენება ავტორიტარიზმის გასავრცელებლად.

ცივი ომის პროპაგანდისტული მანქანის თავისებურებებს და დეზინფორმაციის გავრცელების მექანიზმებს დანვრილებით შემდეგ პარაგრაფებში მიმოვიხილავთ. ამჯერად კი ყურადღებას შევაჩერებთ მესამე და მეოთხე ასპექტებზე.

„სამხედრო ფსიქოლოგიური ოპერაცია“ (**PSYOP**) სამხედრო ტერმინია და გულისხმობს მონინალმდევის დემორალიზებას მონყვლადი ინფორმაციის გავრცელებით, ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მტრის ბანაკში შიდა კონფლიქტების გაღვივებით და სხვ. მსგავსი ქმედება ისტორიულად აპრობირებული ტექნიკა იყო შუა საუკუნეებშიც. ისტორიის მოდერნულ პერიოდში, როდესაც სამხედრო ძალები ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, ფსიქოლოგიური ოპერაციების ტექნიკა დაიხვენა და პროფესიონალების საქმედ იქცა. სამხედრო ფსიქოლოგიური ოპერაციების ტექნიკას მეტ-ნაკლებად ფლობს ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები (განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოების არმიები), თუმცა ტექნიკის გამოყენება

სხვადასხვა მასშტაბით ხდება დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ქვეყნებში.

არადემოკრატიულ რეჟიმებში ურთიერთშეკავების და შენონასწორების სისტემა (check and balance system) სუსტია ან საერთოდ არ არსებობს: არ ხდება მმართველი ელიტის ინსტიტუციური კონტროლი და პოლიტიკის წარმოების პროცესში მინიმალიზებულია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა; არ არსებობს საიდუმლო დოკუმენტაციის გარკვეული ვადის გასვლის შემდგომ გასაჯაროების ვალდებულება. შესაბამისად, ამა თუ იმ პოლიტიკის გატარების ლეგიტიმურობა არ ხდება განსჯის და შეფასების საგანი, ვერ კონტროლდება მთავრობების მიერ ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების ლეგალურობა და მარტივდება საერთაშორისოდ შეთანხმებული ქცევის წესების დარღვევა. ამასთან, არადემოკრატიულ (და განსაკუთრებით, ტოტალიტარულ) რეჟიმებს ახასიათებს ფსიქოლოგიური ოპერაციების არა მხოლოდ მონინალმდევის, არამედ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებაც.

არალიბერალური ღირებულებების გასავრცელებლად დემოკრატიზაციის პროცესის მეთოდოლოგიურ ანალოგად გამოყენების ფაქტს, ერთ-ერთმა პირველმა აკადემიურ სივრცეში ყურადღება მიაქცია რეიჩელ ვანდერჰილმა. ვანდერჰილმა დასვა კვლევითი შეკითხვა: ხომ არ იყენებენ ავტორიტარული ქვეყნები დემოკრატიზაციის პროცესის მექანიზმებს ავტორიტარიზმის გასავრცელებლად? ავტორმა თავის მონოგრაფიაში ქეისად შეარჩია სამი ქვეყანა: რუსეთი, ვენესუელა და ირანი. თუმცა ამ ქვეყნების ქმედების მიზნები და მასშტაბები მათივე რეგიონებით განსაზღვრა და არ დაუკავშირა საერთაშორისო პოლიტიკას.¹ ვანდერჰილის მსჯელობა სრულიად ჯდება რბილი ძალის მიმდინარე აკადემიურ დისკურსში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნაის რბილი ძალის თეორია

¹ R. Vanderhill. Promoting Authoritarianism Abroad. Lynne Rienner Publishers. 2013.

ამარტივებს იმ პრობლემების აღწერას და კლასიფიკაციას, რაზეც მანამდეც კეთდებოდა აქცენტები.

რა მსგავსებაა დემოკრატიზაციის პროცესსა და ავტორიტარიზმის გავრცელების პროცესს შორის? ორივე შემთხვევაში სახეზეა რამდენიმე გამოცდილი მეთოდი: 1. მმართველ ელიტასთან ურთიერთობების დამყარება; 2. მოკავშირე პოლიტიკური პარტიების და ინტერეს-ჯგუფების დახმარება; 3. ეკონომიკური ზეგავლენა; 4. მეტოქეთა შეზღუდვა.

მსგავსებასთან ერთად თვალსაჩინოა სხვაობაც: 1. დემოკრატიზაციის პროცესში მმართველ ელიტაზე გავლენას ახდენენ სხვადასხვა ინსტიტუტების მხრიდან სანქციებით ან/და ნახალისებით. ავტორიტარული რეჟიმი კი მოკავშირე პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობას ამყარებს პირდაპირი დაფინანსების გზით. 2. დემოკრატიზაციის პროცესში აქცენტი კეთდება პოლიტიკური პარტიებისა და ინტერეს-ჯგუფების ტექნიკურ-ფინანსურ, ასევე ინსტიტუციურ დახმარებაზე, არჩევნების მონიტორინგსა და პოლიტიკური კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე. ავტორიტარული რეჟიმები კი თავის საყრდენ ელიტებს მხოლოდ მიზანმიმართულ დაფინანსებას სთავაზობენ. 3. დემოკრატიზაციის პროცესი მიზნად ისახავს ეკონომიკური და მონეტარული რეფორმების მეშვეობით მთლიანი ეკონომიკის გაჯანსაღებას. ავტორიტარული რეჟიმები ეკონომიკის ცალკეულ სფეროებზე ზემოქმედებენ პირდაპირი დაფინანსების გზით. 4. დემოკრატიული სისტემა გულისხმობს მეტოქეებთან პოლიტიკურ-სამართლებრივ ბრძოლას მეტოქეთა გაუფნებელყოფით ან უკიდურეს შემთხვევაში, მეტოქეთა მარგინალიზაციით. ავტორიტარიზმისთვის კი მნიშვნელოვანია მეტოქეების გაქრობა პოლიტიკური ასპარეზიდან, რაც ხშირად რეპრესიების გზით ხდება.

დემოკრატიზაციის პროცესს ბევრი გამონკვევა ახლავს თან: მასშტაბური რეფორმები გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე და საწყის ეტაპზე შოკური თერაპიის ეფექტს ახდენს საზოგადოებაზე; ამა თუ იმ მნიშვნელოვანი სეგმენტის

ნახალისება ხდება სხვადასხვა მოკლევადიანი პროექტებით, რაც არასტაბილურობის შეგრძნებას აჩენს საზოგადოებაში; დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური ელიტები დამოკიდებულნი არიან საკუთარ ამომრჩეველზე, რაც ხშირად იწვევს დაგეგმილი პოლიტიკური კურსის ცვლილებას... განზოგადებას თუ მივმართავთ, ჩვენი აზრით, ორ ძირითად დასკვნამდე მივალთ: 1. **დემოკრატიული რეფორმები მასშტაბურია და შესაბამისად, მოუქნელი;** 2. **დემოკრატიული მთავრობები ვერ იყენებენ არადემოკრატიულ მეთოდებს.**

დემოკრატიზაციის პროცესისგან განსხვავებით, ავტორიტარიზმის გავრცელება ბასრი ძალით სწრაფ ეფექტზეა ორიენტირებული. ბასრი ძალის შედეგები მოკლევადიანად ითვლება ისეთ სახელმწიფოებში, რომლის ინსტიტუტები მყარია და ეფექტური. საქართველოს მსგავსი ახალი დემოკრატიებისთვის კი ბასრი ძალის ზეგავლენა გრძელვადიანი და შეუქცევადი შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

რუსეთის რბილი (ბასრი) ძალა უკვე წლებია განიხილება აკადემიურ თუ არააკადემიურ წრეებში. საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა 2016 წლის აშშ საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის რბილი (ბასრი) ძალის კვალის აღმოჩენის შემდეგ. დღეს გუგლის საძიებო სისტემაში მხოლოდ ინგლისურ ენაზე ტერმინის „რუსეთის რბილი ძალა“ აკრეფა მილიონობით შედეგს გვაძლევს. რუსეთის ბასრი ძალის სამიზნედ აღარ სახელდება მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცე. მასთან საბრძოლველად სხვადასხვა სახელმწიფოებში შეიქმნა ანალიტიკური ცენტრები, საერთაშორისო ორგანიზაციებში კი სპეციალური პროგრამები. დღეს საერთაშორისო აკადემიური შეხვედრების თუ ახალგაზრდული სასწავლო პროგრამების დიდ ნაწილში წარმოდგენილია რუსეთის ბასრი ძალის თემა და აქცენტი კეთდება მასთან ბრძოლის აუცილებლობაზე.

იმ მრავალ ანგარიშს შორის, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, საილუსტრაციო მაგალითად

მოვიყვანთ ევროპული ღირებულებების ცენტრის (ჩეხეთის რესპუბლიკა) და კონრად ადენაუერის ფონდის 2019 წლის უსაფრთხოების სტრატეგიების პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშს, რომლის მიხედვით, ქვეყნები დაყოფილია სამ კატეგორიად მათივე თვითშეფასების საფუძველზე.¹

განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მქოფ ქვეყნებად მოიაზრება: ბალტიის ქვეყნები, ჩეხეთის რესპუბლიკა და დანია. ქვეყნები, სადაც აცნობიერებენ ბასრი ძალის საფრთხეებს: ბელგია, ხორვატია, საფრანგეთი, გერმანია, ნიდერლანდები, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ, კანადა... ქვეყნები, სადაც რუსეთის ბასრი ძალა ნაკლებად განისაზღვრა საფრთხედ ან/და არ გატარებულა მასთან ბრძოლის განსაკუთრებული ღონისძიებები: ავსტრია, ფინეთი, ირლანდია, პორტუგალია, იტალია, ბულგარეთი, სლოვენია, პოლონეთი.

რუსეთის ბასრი ძალისგან განსხვავებით, ჩინეთის ბასრი ძალა ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა მასზე მსჯელობა ბოლო წლების ტრენდად იქცა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ჩინეთის ბასრი ძალის ანალიზისთვის უნდა მოხდეს რუსეთის ბასრი ძალის შესწავლის დროს შემუშავებული მეთოდოლოგიის და დაგროვილი გამოცდილების გამოყენება. ამ კონტექსტში ასევე განსაკუთრებით საინტერესოდ ჩანს ევროპული ღირებულებების ცენტრის და კონრად ადენაუერის ფონდის 2019 წლის ანგარიში, სადაც მოცემულია რუსეთის და ჩინეთის ევროპული ზეგავლენების შედარებითი ანალიზი.²

¹ Russia and China through eyes of NATO and EU intelligence agencies. How do EU member states', Canadian and the United States intelligence agencies assess Russian and Chinese influence activities? Security Strategies Program 2019 report. European Values, Konrad Adenauer Stiftung. <https://www.european-values.net/wp-content/uploads/2019/06/Russia-and-China-through-eyes-of-NATO-and-EU-intelligence-agencies.pdf>

² Handbook on Countering Russian and Chinese Interference in Europe. Konrad Adenauer-Stiftung. European Values Center for Security Policy. Report 2019. <https://www.europeanvalues.net/vyzkum/handbook-on-countering-russian-and-chinese-interference-in-europe>

ანგარიშის წინასიტყვაობა გვამცნობს მის მიზნებს: „კონკრეტული ინციდენტების (ძირითადად რუსეთის ჩარევის შესახებ ევროპასის ქვეყნებსა და აშშ-ში) შესახებ მონაცემების მზარდი რაოდენობის და რუსეთის და ჩინეთის მიერ საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არალეგალური მეთოდების (დეზინფორმაციის გავრცელება, ინფორმაციის მოპარვა...) გამოყენების შესახებ კვლევების მზარდი რაოდენობის მიუხედავად, არ არსებობს ზუსტი აღწერა თუ რა მიზნებს ისახავს მსგავსი ქმედება და როგორ განსხვავდება რუსეთის და ჩინეთის ბასრი ძალის ზეგავლენა რეგიონების და ქვეყნების მიხედვით. მკვლევარებისთვის ასევე ხელმიწვდომელია ინფორმაცია, ევროპული თუ აშშ სადაზვერვო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების მიერ შემუშავებული მექანიზმების შესახებ“.¹

ანგარიში სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შეჯერების საფუძველზე გამოყოფს საფრთხეების სხვადასხვა ასპექტს: 1. **რუსეთის სამხედრო ოპერაციები უკრაინაში** (რაც საერთო ევროპული უსაფრთხოების გამოწვევაა); 2. **რუსეთის მიერ ევროპის, როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე პოპულისტური პარტიების ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერა**; 3. **რუსეთის და ჩინეთის კიბერ-თავდასხმები და კიბერ-შპიონაჟი**; 4. **რუსეთის და ჩინეთის დეზინფორმაციული კამპანიები**; 5. **რუსეთისა და ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ზეგავლენა და შანტაჟი**; 6. **რუსეთისა და ჩინეთის სპეც-სამსახურების ქმედების გააქტიურება უცხო ქვეყნებში**.

ჩამოთვლილი გამოწვევებიდან ყველა პუნქტი, პირველი ასპექტის გარდა (ხისტი ძალის გამოყენება უკრაინაში), წარმოადგენს ბასრი ძალის მოქმედების არეალს.

აღნიშნული ანგარიშის და სხვა ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე, შეგვიძლია ვისაუბროთ რუსეთის და ჩინეთის ბასრი ძალის საერთო და განსხვავებულ მახასიათებლებზე.

¹ ibid.p. 3

საერთო მახასიათებლად სახელდება რუსეთის და ჩინეთის მხრიდან სხვადასხვა სახელმწიფოებზე ეკონომიკური ზეგავლენის მცდელობა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, ხორვატია, ნიდერლანდები, ბალტიის ქვეყნები...) საფრთხეების ანალიზში რიგ შემთხვევაში საუბარია რუსეთის და ჩინეთის მხრიდან პირდაპირ ინვესტიციებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი შუამავალ ინვესტორებზე (ნიდერლანდების შემთხვევა).

ჩინეთის და რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ეკონომიკურ ზენოლაში ჩართული არიან მათი დიპლომატები (ჩხეხეთის მაგალითი), რომლებიც სხვადასხვა ხრიკებით ახერხებენ ადგილობრივი პოლიტიკოსების კორუფციულ გარიგებაში ჩათრევას და ქვეყნის იმიჯის შელახვას. ჩინეთთან მსგავსი პრობლემის იდენტიფიცირებას ახდენს ლიეტუვაც: პირადი ურთიერთობების დამყარება, ძვირადღირებული საჩუქრებით და დაფინანსებული ვიზიტებით ადამიანებზე ზემოქმედება (აზიური დიპლომატიის ახალი მასშტაბები) ჩინეთის ბასრი ძალის შემადგენელ ნაწილად იქცა. ბასრი ძალის ქმედებაზე რეაგირება განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოს შემთხვევაში. მაგალითად, ესტონეთმა გაამკაცრა კანონმდებლობა ინვესტორებთან მიმართებით და რუს ოლიგარქებს შეუზღუდა ინვესტირების მექანიზმები. გერმანია და საფრანგეთი კი ტრადიციულად მხოლოდ ფრთხილი და პოლიტიკორექტული განცხადებებით დაკმაყოფილდა.

გაერთიანებულ სამეფოში სკრიპალის სკანდალის შემდეგ (რასაც დაერთო კიბერ-ჯაშუშობის და კიბერ-თავდასხმების პრობლემაც), განსაკუთრებით გააქტიურდნენ სპეცსამსახურები. საპასუხოდ ბევრმა სახელმწიფომ ეროვნული უსაფრთხოების პროგრამებში პრიორიტეტად დასახა კიბერუსაფრთხოება, გაამკაცრა კანონმდებლობა და საკითხის ექსპერტული კვლევა. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება ორი მაგალითი: 1. ნიდერლანდების განცხადება რუსეთის სპეც-სამსახურების მიერ სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამო-

გონების ქურდობის მცდელობაზე; 2. გერმანიის განცხადება, ჩინეთის მიერ ევროკავშირის შიდა მოხმარების დოკუმენტების და G20 სამიტის მასალების ქურდობის მცდელობაზე.¹

ორივე ქვეყნის შემთხვევაში კეთდება აქცენტი, რომ სპეც-სამსახურების საქმიანობის საფარველად გამოყენებულია სხვადასხვა დიპლომატიური და კულტურული ცენტრები, ხოლო ჯაშუშობაში ჩაბმას და სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობას სხვადასხვა მეთოდებით აიძულებენ საკუთარი დიასპორების წარმომადგენლებს. ამასთან, ჩინეთი ეთნიკურობას აიგივებს მოქალაქეობასთან და აშშ-ში მცხოვრებ ეთნიკურ ჩინელებს უზღუდავს ჩინეთში ჩასვლას, ხოლო ჩასვლის შემთხვევაში უკრძალავს აშშ-ში დაბრუნებას.

რუსეთის და ჩინეთის ბასრი ძალის შედარებითი განხილვისას სახეზეა მსგავსი ინტერესები.²

ორივე ქვეყნის ხელისუფლება რეჟიმის ლეგიტიმაციას და პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებას, ასევე საშინაო პრობლემების გადაფარვას ცდილობს საგარეო პოლიტიკის ფრონტზე გააქტიურებით და საკუთარი მოსახლეობისთვის საგარეო გამარჯვებების ილუზიების შექმნით.

დემოკრატიულ მმართველობაში ეროვნული უსაფრთხოება ნიშნავს რისკების მენეჯმენტს, ავტორიტარული მთავრობების აღქმით კი უსაფრთხოება ნიშნავს საფრთხეების არარსებობას და წარმოქმნამდე მათ ნეიტრალიზებას. ამ ტიპის მმართველობა საკუთარი რეჟიმის საფრთხედ განიხილავს რეგიონსა თუ მსოფლიოში მიმდინარე ყველა მისთვის არახელსაყრელ მოვლენას. ციფრული რევოლუცია და ძალის დიფუზია კი მხოლოდ ამძაფრებს ამგვარ შიშებს.

ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ცივი ომის დროინდელი „დასავლური ბლოკის“ ერთიანობის რღვევა და აშშ-ის განდევნა ევროპული სივრციდან. აშშ-სა და ევროკა-

¹ *ibid.* p.6,8.

² *ibid.* p. 9-16

ვშირს შორის განხეთქილებამ (ან მინიმუმ, არაეფექტურმა და არაკოორდინირებულმა თანამშრომლობამ) რუსეთს და ჩინეთს სხვადასხვა სარგებელი შეიძლება მოუტანოს, თუმცა ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია ტენდენცია, რომ ბიპოლარული მსოფლიოსგან (სადაც „დასავლეთი“ ერთიან პოლუსად მოიაზრებოდა) განსხვავებით მულტიპოლარულ სამყაროში აშშ და ევროკავშირი სხვადასხვა პოლუსებად ყალიბდება.

ევროპასთან რუსეთის და ჩინეთის დამოკიდებულების წარატივიც განსხვავებულია და მოსალოდნელი სარგებელიც. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია თავად ევროპა. ის ახდენს ევროკავშირის ქვეყნების ზონებად და ჯგუფებად დაყოფას: ა) აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთი ცდილობს გავლენის დაბრუნებას; ბ) დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან რუსეთი ცდილობს ერთგვარი წარმოსახვითი გარიგების მიღწევას: ენერგოუსაფრთხოების და ზოგადად, უსაფრთხოების სანაცვლოდ, „ბებერი ევროპის“ მიერ „რეგიონის შიდა საქმეებზე“ (პოსტ-საბჭოთა სივრცე) თვალის დახუჭვა, ცენტრალურ ევროპაში (ავსტრია, სლოვაკეთი, ჩეხეთი, უნგრეთი) ნეიტრალური მთავრობების არსებობა, დიდი ბრიტანეთის ინსტიტუციური, ხოლო პოლონეთის სტრატეგიული იზოლაცია, ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების შეზღუდვა, რუსეთის წინააღმდეგ ევროპული სანქციების (მათ შორის, რუსეთის ოლიგარქიული ელიტის და მათი ოჯახის წევრების შეუზღუდავი მიმოსვლა/ცხოვრება დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში) გაუქმება.

რუსეთის ბასრი ძალა იყენებს წარატივს: „ევროპა არ არის აშშ-ს უკანა ეზო“, რითიც კვებავს ევროპულ პოპულისტურ იდეოლოგიებს და სხვა ანტი-დასავლურ ძალებს. სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზაზე რუსეთი ურიგდება მცირე ტაქტიკურ დანაკარგებს (მაგალითად, მონტენეგროს ნატო-ში გაწევრიანებას). რუსეთს რეალურად მიაჩნია საკუთარი მიზნების მიღწევა, რადგან იცის, რომ ევროპა ვერ/არ გამოიყენებს სადამსჯელო მექანიზმებს მის წინააღმდეგ. რუსეთის მიზნების მიღწევა ფაქტიურად გულისხმობს რუსეთის დე-ფაქტო

ვეტოს უფლებას ევროკავშირისა და ნატოს გადაწყვეტილებებზე, ასევე დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების რესურსებით რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ჩინეთის, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ახალი მზარდი ძალის მიზნები ყოფილ დასავლურ ბლოკთან მიმართებით სრულიად განსხვავებულია. ჩინეთისთვის მთავარი სამიზნეა აშშ (და არა ევროპა), ხოლო მიზანი აშშ სტრატეგიული იზოლაცია.

რუსეთის მსგავსად, ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებით ჩინეთიც გეოგრაფიულ ზონალობას მიმართავს: ა) ცენტრალური ევროპის ქვეყნებისგან ის ცდილობს შექმნას გამტარი ზონა საკუთარი პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გასატანად. ბ) დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან ჩინეთი ელის მინიმალურ მხარდაჭერას: ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხში ჩინეთის კრიტიკის შეწყვეტას, ევროპულ ქვეყნებში ჩინური წარმოების ტექნოლოგიების დანერგვისთვის ხელის შეშლის პრევენციას; ევროკავშირის გულგრილობას აფრიკის კონტინენტზე ჩინეთის მზარდი გავლენის მიმართ...

ჩინეთმა, ისევე როგორც რუსეთმა, კარგად იცის რომ ევროკავშირი ვერ შეძლებს მისთვის წინააღმდეგობის განევას, ამიტომ არ ერიდება ახალი აგრესიული კამპანიების დაგეგმვას.

მრავალი მსგავსების მიუხედავად, რუსეთის და ჩინეთის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებში, ასევე მოქმედების (განსაკუთრებით, ბასრი ძალის ფორმებთან დაკავშირებით) ტექნიკაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა. რუსეთის ბასრი ძალა ბევრად წარმატებულია ინფორმაციული შტურმისა და დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბებით. ჩინეთი არ ცდილობს ევროპის ქვეყნებში პოპულისტური და ექსტრემისტული ძალების შექმნა-ხელშეწყობას. ამით ის ინარჩუნებს გარკვეულ რეპუტაციას და რუსეთზე „უკეთესი პოლიციელის“ იმიჯს.

ჩინეთი აქტიურად იყენებს რბილი ძალის ინსტრუმენტებსაც. ათიოდე წელია ჩინეთმა აშშ მიბაძვით შექმნა საგანმანათ-

ლებლო პროგრამების მასშტაბური გაცვლითი ქსელი (ბევრი ქართველი სტუდენტიც სარგებლობს აღნიშნული შესაძლებლობით). რუსეთი ახალგაზრდული ინტელექტის მიზიდვას ვერ ახერხებს რეგიონული მასშტაბითაც კი.

განსხვავებულია ის ძირითადი რესურსიც, რასაც ეყრდნობა ეს ორი ქვეყანა ბასრი ზეგავლენის მოსახდენად. პირველის შემთხვევაში მთავარი რესურსია ენერგოსექტორი, მეორის შემთხვევაში კი ტექნოლოგიები და საკომუნიკაციო სისტემები.

როგორია საპასუხო რეაქცია ევროკავშირის ან აშშ მხრიდან? ევროპულ ქვეყნებში უფრო მეტად რუსეთის ბასრ ძალაზე ხდება რეაგირება, აშშ-ში კი ჩინეთის ბასრი ძალა გახდა აკადემიური თუ უწყებრივი განხილვების პრიორიტეტული თემა.

საილუსტრაციო მაგალითად გამოგვადგება აშშ კონგრესის დაზვერვის მუდმივმოქმედი კომიტეტის¹ საჯარო ფორუმები². ფორუმში მონაწილეობენ აშშ ცნობილი ექსპერტები და სახელმწიფო მოხელეები. აქ ხაზგასმით ითქვა, რომ ჩინეთი საფრთხეა არა მხოლოდ აშშ-სთვის, არამედ მთელი ლიბერალური სამყაროსთვის და აშშ ლიდერობით შექმნილი საერთაშორისო წესრიგისთვის. ჩინეთის მიზანი არ არის მხოლოდ ეკონომიკური გავლენის მოპოვება სხვადასხვა რეგიონში, არამედ საბაზრო ეკონომიკის იდეის დამახინჯება და ადამიანის უფლებების დაცვის, როგორც ფასეულობის დამარცხება საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ჩინეთი არ ეგუება დემოკრატიულ სახელმწიფოებთან თანაარსებობას არსებული საერთაშორისო წესრიგის ფარგლებში და ცდილობს საკუთარი რეჟიმის ექსპორტს, ხელს უწყობს სხვა ავტორიტარულ რეჟიმებს და ახანგრძლივებს მათ არსე-

¹ US House of Representatives Permanent select committee on Intelligence. <https://intelligence.house.gov>

² China's Foreign Influence and Sharp Power Strategy to shape and Influence Democratic Institutions. NED. Published on May 16, 2019. <https://www.ned.org/chinas-foreign-influence-and-sharp-power-strategyto-shape-and-influence-democratic-institutions/>

ბობას ინვესტიციებით და საკუთარი იაფი ტექნოლოგიებით. ჩინურ ინვესტიციასა და ჩინეთის სახელმწიფო ინტერესს შორის ზღვარის გავლება ამ ეტაპზე შეუძლებელია, ხოლო არადემოკრატიული მთავრობებისთვის ეკონომიკური დახმარების მიღება ჩინეთისგან მომგებიანია – ეს მათ პოლიტიკურ ელიტებს კორუფციის მეტ საშუალებას აძლევს.

აშშ ექსპერტების განცხადებით, დროული და აუცილებელია ახალი შეკავების პოლიტიკის წამოწყება. თუმცა როგორც კრისტოფერ უოლკერი (ბასრი ძალის ტერმინის ერთ-ერთი ავტორი) აცხადებს, დემოკრატია ნელა იღვიძებს და ნელა რეაგირებს.

რუსეთის და ჩინეთის ბასრი ძალის თაობაზე მწვავე პოლიტიკური დისკურსის მიუხედავად, როგორც ოფიციალურ ასევე არაოფიციალურ დონეზე აშშ პოლიტიკური ლიდერები და ექსპერტები ჩინეთს და რუსეთს გამონწევად მოიხსენიებენ და არა მტრად. რუსეთის და ჩინეთის უსაფრთხოების დოქტრინებში კი აშშ პირველ მტრად არის გამოცხადებული.

აღწერილი მოვლენები საერთაშორისო პოლიტიკის პრიზმაში წარმოადგენს მოდერნიზებულ ცივ ომს, სადაც რუსეთმა და ჩინეთმა ჯერჯერობით მოახერხა ერთ მხარეს დადგომა, ხოლო აშშ და ევროკავშირი ველარ ახერხებს საერთო ინტერესების გამონახვას. ამგვარი გადაჯგუფება სახიფათოდ გამოიყურება, თუმცა ანალიზისას არ უნდა გამოგვრჩეს სხვა ტენდენციებიც. ციფრული გლობალიზაციის და ძალის დიფუზიის პირობებში რუსეთის გეოპოლიტიკური სვლები აღარ განიხილება რელევანტურად. ინტერესების გარკვეული თანხვედრის მიუხედავად, არც რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობას აქვს მყარი საფუძველი და პერპექტივა. რუსეთ-ჩინეთის საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანების ტენდენცია ნაიმაც იწინასწარმეტყველა და აშშ ძალაუფლების დაბალანსების მცდელობად შეაფასა. ნაის აზრითაც, ამგვარ ალიანსს არ აქვს მომავალი.¹

რუსეთისგან განსხვავებით, ჩინეთი პრაგმატული მოთამაშეა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს სიტუაციის და

¹ Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.171-172.

მოგების პერსპექტივის მიხედვით. ჩინეთის თამაშის წესებიც (გეოეკონომიკა) და მისი რესურსიც (ტექნოლოგიები) სრულად შეესაბამება ციფრული ეპოქის მოთხოვნებს და მზარდი მნიშვნელობისაა. სხვადასხვა ექსპერტების ანალიზით, ახლო მომავალში სწორედ ჩინეთი შეუქმნის რუსეთს მთავარ საფრთხეს და არა აშშ ან ევროკავშირი.

საერთაშორისო წესრიგის პრიზმიდან ჩანს ბიპოლარული წესრიგის მულტიპოლარულ წესრიგად ტრანსფორმაციის ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი. ჩინეთს აქვს ყველა წინაპირობა და რესურსი, სხვა სახელმწიფოებთან კავშირის გარეშე, ჩამოყალიბდეს მულტიპოლარული სამყაროს ერთ-ერთ მძლავრ დამოუკიდებელ პოლუსად. მსოფლიოს მთავარი გამოწვევაა მისი თამაშის წესები მოაქციოს გარკვეულ საზღვრებში და უზრუნველყოს პოლუსების მშვიდობიანი თანაარსებობა.

რუსეთის ბასრი ძალა შესაძლოა უფრო ინტენსიურად მოქმედებს ვიდრე ჩინეთის (განსაკუთრებით რეგიონში და განსაკუთრებით 2013 წლის შემდეგ), თუმცა მის ტექნიკაში არაფერია ახალი და ცივი ომის პროპაგანდის ერთგვარ რეინკარნაციას წარმოადგენს ახალ ნარატივებზე აქცენტით. კომუნიზმის იდეოლოგია ჩანაცვლდა კონსერვატიზმით და პრე-მოდერნული ღირებულებებით: რელიგიური მისტიციზმი პროგრესის წინააღმდეგ; ისტორიული სამართლიანობით მანიპულაცია საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ...

ჩინეთის ბასრი ძალის ნარატივი მეტ კითხვებს ბადებს. ეკონომიკური სასწაული და ტექნოლოგიური წინსვლა ორი საუკუნეა ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემების პრეროგატივად ითვლება. ჩინეთი ცდილობს აჩვენოს, რომ ტოტალიტარულ რეჟიმსაც ძალუძს ეკონომიკური სასწაული და ტექნოლოგიური გარღვევა. ამგვარი პრეცედენტი გამოწვევაა საერთაშორისო წესრიგისთვის, რადგან ახალისებს სხვა არადემოკრატიულ რეჟიმებს. ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა გრძელვადიანია თუ მხოლოდ დროებითი წარმატება, ამას დრო გვიჩვენებს. ამჟამად

ჩინეთში მიმდინარე ეკონომიკური დაღმასვლა შესაძლებელია სიმპტომატურია.

რუსეთის და ჩინეთის „ბასრი მომხიბვლელობა“ დიდ პოლიტიკურ მიზნებზეა დაფუძნებული. ბასრი ზემოქმედების შესწავლა და ანალიზი სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა სახელმწიფო ინტერესების და უსაფრთხოების დასაცავად. სამწუხაროდ, ბასრი ზეგავლენის მექანიზმების შესწავლა ხშირად მხოლოდ შედეგების დადგომის შემდეგ ხდება შესაძლებელი.

აშშ-ის ყურადღება ძირითადად ჩინეთიდან მომდინარე საფრთხეებზეა გადატანილი. თუმცა საქართველოში მთავარი გამოწვევა არა ჩინეთის, არამედ რუსეთის ბასრი ძალაა. სამუშაოდ თუ სასწავლებლად ჩინეთში წასულ ახალგაზრდობას ჩამოაქვს ტექნოლოგიების ცოდნა და არა ტოტალიტარული კომუნისტური პარტიის პატივისცემა. „სტალინიზმის ბაცილა“ ერთადერთია, რაც ჩვენი დაკვირვებით ქართველს ჩინეთიდან შეიძლება ჩამოჰყვეს.

ბიბლიოგრაფია:

1. გვანცა აბდალაძე. იდეოლოგიური ბრძოლა „ახალ ცივ ომში“. სსუ შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, XIII, 2015.
2. PSYOP. Military Psychological Operations Manual. U.S.Army. 2009
3. R. Vanderhill. Promoting Authoritarianism Abroad. Lynne Rienner Publishers. 2013.
4. Handbook on Countering Russian and Chinese Interference in Europe. Konrad-Adenauer-Stiftung. European Values Center for Security Policy. Report 2019. <https://www.europeanvalues.net/vyzkum/handbook-on-countering-russian-and-chinese-interference-in-europe>
5. European Values Centre for Security Policy. <https://www.european-values.net>
6. Russia and China through eyes of NATO and EU intelligence agencies. How do EU member states', Canadian and the United States intelligence agencies assess Russian and Chinese influence activities? Security Strategies Program 2019 report. European Values, Konrad Adenauer Stiftung. <https://www.europeanvalues.net/wp-content/up->

[loads/2019/06/Russia-and-China-through-eyes-of-NATO-and-EU-intelligence-agencies.pdf](https://www.ned.org/chinas-foreign-influence-and-sharp-power-strategy-to-shape-and-influence-democratic-institutions/)

7. China's Foreign Influence and Sharp Power Strategy to shape and Influence Democratic Institutions. NED. Published on May 16, 2019. <https://www.ned.org/chinas-foreign-influence-and-sharp-power-strategy-to-shape-and-influence-democratic-institutions/>
8. Chinese Soft Power and Its Implications for the United States. Competition and Cooperation in the Developing World. Edited by Carola McGiffert. A report of the CSIS Smart Power Initiative. 2009. https://csis-prod.s3.amazonaws.com/s3fs-public/legacy_files/files/media/csis/pubs/O90403_mcgiffert_chinesesoftware_web.pdf
9. US House of Representatives Permanent select committee on Intelligence. <https://intelligence.house.gov>
10. St. Levitsky, L.A.Way. Elections Without Democracy. The rise of competitive authoritarianism. Journal of Democracy. Vol. 13, #2, April, 2002 https://scholar.harvard.edu/files/levitsky/files/SL_elections.pdf

კითხვები და დავალებები:

1. იმსჯელე ბასრი ძალის კომპონენტებზე. ეთანხმები თუ არა შემოთავაზებულ კლასიფიკაციას? დაასაბუთე პასუხი.
2. მოიძიე ინფორმაცია სამხედრო ფსიქოლოგიური ოპერაციების ტექნიკის შესახებ.
3. რა არის საერთო მახასიათებლები და მთავარი სხვაობა დემოკრატიზაციისა და ავტორიტარიზმის გავრცელების პროცესებს შორის?
4. იმსჯელე რუსეთის ბასრი ძალის სავარაუდო საფრთხეებზე საერთაშორისო პოლიტიკაში.
5. იმსჯელე ჩინეთის ბასრი ძალის სავარაუდო საფრთხეებზე საერთაშორისო პოლიტიკაში.
6. იმსჯელე რუსეთის და ჩინეთის ბასრი ძალების სავარაუდო მიზნებზე შედარებით ჭრილში.

1.6. პროპაგანდა

- კონსტრუქციული და დესტრუქციული პროპაგანდა
- პროპაგანდის მეთოდები და შედეგები
- პროპაგანდა: რბილი ძალა თუ ხისტი ძალა
- ციფრული რევოლუციის გავლენა პროპაგანდაზე

პროპაგანდა შეხედულებების და რწმენა-წარმოდგენების გავრცელების სისტემური და სისტემატური მცდელობაა. პროპაგანდა შესაძლოა გულისხმობდეს როგორც ზეპირ ნარატივს, ასევე სიმბოლოების და ვიზუალური პროდუქციის შექმნას, რაც გაცილებით ეფექტურ შედეგს იძლევა. პროპაგანდის კვალი შესაძლოა აღმოვაჩინოთ არა მხოლოდ მედიაში, არამედ მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.

პროპაგანდა შესაძლებელია დავყოთ კონსტრუქციულ და დესტრუქციულ პროპაგანდად. კონსტრუქციული პროპაგანდა საკუთარ უპირატესობებს წარმოაჩენს არსებულ მოკავშირეებთან ურთიერთობების შესანარჩუნებლად, ახალი მოკავშირეების შესაძენად ან მათთან კონფრონტაციის დასაძლევად. კონსტრუქციული პროპაგანდა არ ცდილობს „ჩვენ-ისინი“ დიქოტომიის გამოყენებას და აქცენტს აკეთებს საერთო იდენტობის აუცილებლობაზე. კონსტრუქციულ პროპაგანდას შესაძლოა იყენებდეს როგორც სახელმწიფო, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფები სახალხო დიპლომატიის დახმარებით, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგები.

კონსტრუქციული პროპაგანდა შესაძლებელია გავაიგივოთ ნაის „რბილ ძალასთან“, რადგან კონსტრუქციული პროპაგანდა ახდენს საკუთარი უპირატესობების წარმოჩენას და მისი მიზანია სხვათა მოხიბვლა საკუთარი ღირებულებების გავრცელებით.

დესტრუქციული პროპაგანდა ერთგვარი „შავი ფიარია“. მისი საფუძველია „ჩვენ-ისინი“ დიქოტომია, სადაც აქცენტი გადატანილია სხვების დისკრედიტაციისა და საზოგადოებრივი

აზრის მანიპულირებაზე. დესტრუქციული პროპაგანდისტული მანქანა ახდენს არა რეალური ინფორმაციის სასურველად წარმოჩენას, არამედ დეზინფორმაციის შექმნა-გავრცელებას და არალეგალურად მოპოვებული ინფორმაციის (მათ შორის, პირადი ინფორმაციის) მიმოქცევას.

კონსტრუქციული პროპაგანდისგან განსხვავებით, რომელიც შესაძლოა ფართო სახალხო ჩართულობას გულისხმობდეს და არ იყოს მართული პოლიტიკური ჯგუფების მიერ, დესტრუქციული პროპაგანდის წარმოება მოითხოვს ცენტრალიზებულ მიდგომას. ის ხელისუფლების და პოლიტიკური ჯგუფების მიერ გამოყენებული მეთოდია მიმართული როგორც საკუთარი მოქალაქეების, ასევე სხვა საზოგადოებების და სახელმწიფოების წინააღმდეგ. მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროცესების ეფექტური სინქრონიზაცია.

საკუთარი მოქალაქეების მოტყუების და საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ წარმოებული დესტრუქციული პროპაგანდის მიზნებად შესაძლებელია მოვიაზროთ: კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის გაძლიერება და მისი ქმედებების (მათ შორის, რეპრესიების გატარების შემთხვევაშიც) ლეგიტიმაცია; მეტოქე პოლიტიკური ჯგუფების დისკრედიტაცია და პოლიტიკური ველიდან ჩამოშორება; „მტრის ხატის“ შექმნა შიდა პოლიტიკური კრიზისების გადასაფარად და არალეგიტიმური ქმედებების გასამართლებლად; „უძლეველობის მითის“ შექმნა მეტოქეებზე ზეგავლენის მოსახდენად და სხვ. ამ მიმართულებით ყველაზე მძიმე შედეგად უნდა ჩაითვალოს ტოტალური მართვის დანერგვა და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება.

სხვა საზოგადოებების წინააღმდეგ წარმოებული დესტრუქციული პროპაგანდის მიზნებად შესაძლებელია დავასახელოთ: გარკვეული ჯგუფების და ღირებულებების დისკრედიტაციით ადამიანების დაექვება საკუთარ ღირებულებებში (ღირებულებითი გაორება და კულტურული შოკი); საზოგადოების გახლეჩა და სიძულვილის გაღვივება (საზოგა-

დოებრივი თანხმობისა და მასზე დაფუძნებული პოზიტიური მშვიდობის შეუძლებლობა); კონფლიქტების და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება (პოლიტიკურ, ეთნიკურ, რელიგიურ, სოციალურ ნიადაგზე); სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური თუ კრიმინალური ჯგუფების შექმნა, ნახალისება, ლეგიტიმაცია (ე. წ. „მეხუთე კოლონის ჩანერგვა“) და სხვ. ამ ვითარებაში მძიმე შედეგად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების შეუძლებლობა და სახელმწიფოს ჩამოშლა, რასაც შესაძლოა მოყვეს ხანგრძლივი არასტაბილურობა და ოკუპაცია სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოების) მხრიდან.

დესტრუქციული პროპაგანდის მიზანი საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე შესაძლებელია განისაზღვროს როგორც: არსებული სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კოალიციების დისკრედიტაცია მათი ფუნქციონირების დასასუსტებლად; ახალი კოალიციების შექმნის მცდელობა; საერთაშორისო კონფლიქტების ან ტერორიზმის პროვოცირება საკუთარი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გააქტიურებისთვის და პრესტიჟის იერარქიაში ადგილის მოსაპოვებლად. სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმოებული დესტრუქციული პროპაგანდა ემსახურება საკუთარი გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური ინტერესების გატარებას საერთაშორისო პოლიტიკაში და არსებული საერთაშორისო წესრიგის გადასინჯვას. ამ მიმართულებით მძიმე შედეგად უნდა ჩავთვალოთ მსოფლიო ომის დაწყება და მასობრივი საერთაშორისო დესტრუქცია.

დესტრუქციული პროპაგანდის კლასიკურ ფორმებად განიხილება ნაცისტური და საბჭოთა პროპაგანდა. ამ ორმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დესტრუქციული პროპაგანდა ერთგვარ ხელოვნებად აქცია, შექმნა პროპაგანდის სპეციალური ინსტიტუციები და საზოგადოების ინტელექტუალური რესურსი (მეცნიერება, განათლება, ხელოვნება) ჩააყენა პროპაგანდის სამსახურში. პროპაგანდის ვირტუოზის, იოზეფ გებელსის საქ-

მიანობის ანალიზის საფუძველზე, ლეონარდ დუბმა 1948 წელს დაწერა წიგნი, სადაც გებელსის პროპაგანდისტული იდეების აღწერა-სისტემატიზაცია შემოგვთავაზა. გებელსის პროპაგანდის პრონციპებიდან გვინდა ყურადღება შევაჩეროთ რამდენიმე ასპექტზე¹:

1. პროპაგანდის წარმოება უნდა მოხდეს ცენტრალიზებულად. პროპაგანდის მწარმოებელს უნდა ჰქონდეს წვდომა დაზვერვის მიერ მოპოვებულ მასალებზე. პროპაგანდას მხარი უნდა აუბან პოლიტიკურმა ლიდერებმაც.

2. შავი პროპაგანდის გამოყენება უნდა მოხდეს, თუ თეთრი პროპაგანდა არ მუშაობს. პროპაგანდამ უნდა დაასწროს მტრის პროპაგანდას.

3. მონინალმდეგის პროპაგანდის ანალიზის საფუძველზე, უნდა მოხდეს ინფორმაციის ნაწილის იგნორირება, ნაწილის მხილება, ნაწილის საკუთარი პროპაგანდისთვის გამოყენება.

4. პროპაგანდისტული სლოგანი უნდა იყოს მკაფიო, მოკლე, გასაგები და დასამახსოვრებელი. მოვლენებს და ადამიანებს უნდა მივანებოთ „იარლიყი“. პროპაგანდისტული მესიჯები უნდა შემუშავდეს ისე, რომ მან გამოიწვიოს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და უზრუნველყოს მესიჯების ინერციით გავრცელება.

5. პროპაგანდა ვერ მოიტანს დაუყოვნებლივ შედეგებს. მან მომავალში უნდა გამოიწვიოს ტენდენციების და მონინალმდეგის ქმედებათა ცვლილება. პოლიტიკური ქმედებების

¹ Leonard W. Doob. Goebbels' Principles of Propaganda. The Public Opinion Quarterly, Vol. 14, No. 3. 1950. Online publication by: Oxford University Press on behalf of the American Association for Public Opinion Research. 2009. https://s3.amazonaws.com/academia.edu.documents/53319490/Goebbels-Principles-of-Propaganda.pdf?response-content-disposition=inline%3B%20filename%3DAmerican_Association_for_Public_Opinion.pdf&X-Amz-Algorithm=AWS4-HMAC-SHA256&X-Amz-Credential=AKIAIWOWYYGZ2Y5UL3A%2F20200228%2Fus-east-1%2Fs3%2Faws4_request&X-Amz-Date=20200228T120502Z&X-Amz-Expires=3600&X-Amz-SignedHeaders=host&X-Amz-Signature=de8b3e216ecc8add23fcdcd6b38429b780cb87e1633063c7c85b2c6aede885c8

დაგეგმვისას წინსწრებით უნდა გავითვალისწინოთ პროპაგანდის შედეგებიც.

ზოგიერთ შემთხვევაში დესტრუქციული პროპაგანდის იდენტიფიცირება მარტივია. განსაკუთრებით მისი ხანგრძლივად გამოყენებისას. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულში არც ერთ საბჭოთა მოქალაქეს აღარ სჯეროდა სსრკ ნარატივების. თუმცა ეს სსრკ დასუსტების და დასავლური რბილი ძალის გაზრდის შედეგი უფრო იყო, ვიდრე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების. პროპაგანდას ქმნიან პროფესიონალები და ადამიანები უმეტეს შემთხვევაში ექცევიან მისი ზემოქმედების ქვეშ. რაც მეტი ადამიანი დაიჯერებს პროპაგანდისტულ ნარატივს, მით უფრო ნოყიერი ხდება გარემო ახალი პროპაგანდისტისთვის.

დესტრუქციული პროპაგანდა ზეავივითაა, თოვლის ერთი პატარა გუნდა დიდ დამანგრეველ მასად იქცევა პროცესის ბოლოს. მას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გავაიგივებთ ნაისეულ „რბილ ძალასთან“ და „ხისტი ძალის“ კომპონენტად მივიჩნევთ.

პროპაგანდის წარმოების ტექნიკას და მის მეთოდებს სხვადასხვა დარგის მეცნიერები სწავლობენ. რასაკვირველია, მეთოდები ცვალებადია დროსა და სივრცეში, ხოლო მეთოდების კლასიფიკაცია მრავალფეროვანი და მრავალნაზნაგოვანი. აქ მოიაზრება როგორც ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის შექმნის ისტორიულად გამოცდილი სისტემური მეთოდები (მაგ. პიროვნების კულტის შექმნა), ასევე სამხედრო ძალების მიერ მტრის წინააღმდეგ გამოყენებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტექნიკა (მაგ. დემორალიზაცია) თუ ინდივიდზე ზემოქმედების სხვადასხვა ფსიქოლოგიური მექანიზმი (მაგ. რეფლექსია). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში მიმოხილული პროპაგანდის კლასიკური თუ თანამედროვე მეთოდები ხშირ შემთხვევაში ემთხვევა დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდებს, რომელსაც მომდევნო თავში შევეხებით.

დესტრუქციული პროპაგანდის საილუსტრაციოდ შევარჩიეთ ორი საინტერესო მეთოდი, რომელიც აქტიურად გა-

მოიყენებოდა ტოტალიტარული მთავრობების (ნაცისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი) მიერ და რომლებიც, როგორც ჩანს დღესაც აქტიურად გამოიყენება ბასრი ძალის მიერ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი კორნელიუ ბიოლა პროპაგანდის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად **რეფლექსური კონტროლის დოქტრინას** ასახელებს¹. დოქტრინა შემუშავდა ცივი ომის დროს, 1960-იან წწ-ში საბჭოთა უშიშროების სისტემებში და საინფორმაციო ომის ერთ-ერთი ცნობილ და ხანგრძლივად გამოყენებად დოქტრინად ითვლება. მის შემუშავებაში მონაწილეობდა რუსი მეცნიერი ვლადიმერ ლეფევერი, რომელმაც აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მეთოდი აღწერა თავის პუბლიკაციებში². მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: სამიზნე ადამიანს ან ჯგუფს უნდა მიენოდოს ინფორმაცია იმგვარად, რომ მან შეცვალოს თავისი დაგეგმილი ქმედება და მიიღოს სხვა გადაწყვეტილება საკუთარი ნებით, იძულებისა და ზეგავლენის თავსმოხვევის გარეშე. პროცესის დროს მნიშვნელოვანია „სწორი ინფორმაციის“ „სწორ დროს მიწოდება“ სამიზნე პირის ფსიქოტიპის გათვალისწინებით (ან სამიზნე ინსტიტუტის სისტემური ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით). აღნიშნული პროცესის მთავარი მიზანი და შედეგი შესაძლოა სულაც არ იყოს კონკრეტული გადაწყვეტილება, არამედ იდენტიფიცირება – სამიზნე პირი (თუ უწყება) როგორ იღებს გადაწყვეტილებებს ან როგორ რეაგირებს კრიზისულ ვითარებაში. ეს ერთგვარი ტესტია და მსგავსი ცოდნა გამოიყენება სხვა უფრო მნიშვნელოვან შემთხვევაში. რასაკვირველია, ამ პროცესში მნიშვნელოვანია სამიზნე პირის (ჯგუფის) ფსიქოტიპის და სუსტი მხარეების წინასწარი ცოდნა, ასევე ვარიაციის და ინტერაქციის უნარი ზეგავლენის განმახორციელებლის მხრიდან.

¹ Corneliu Bjola. Propaganda as reflexive control: the digital dimension. in: Countering online propaganda and extremism. The dark side of digital diplomacy. Edited by Corneliu Bjola and James Pamment. Routledge. 2019. p.13-27

² ibid.p.15

საბჭოთა კვლევების ექსპერტის, ტიმოთი ტომასის კვლევებმა აჩვენა, რომ დოქტრინამ განიცადა ევოლუცია და დღესაც აქტიურად გამოიყენება რუსეთის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურების მიერ საინფორმაციო ომის წარმოების პროცესში¹. ციფრულმა რევოლუციამ ახალი მასშტაბები შექმინა მეთოდს. ცივი ომის პირობებში არ იყო მარტივი საჭირო ინფორმაციის მოპოვება სამიზნე პირის (პირების, ჯგუფების, უწყების) შესახებ პირადი ინფორმაციის ჩათვლით. დღეს ძალიან მარტივია გავიგოთ ინფორმაცია უმცირეს დეტალებამდე ადამიანის თუ ორგანიზაციის შესახებ მათ მიერვე ონლაინ-სივრცეში განხორციელებული ქმედებების და ატვირთული მასალების (მათ შორის, ფოტოების) საშუალებით.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია ამა თუ იმ საზოგადოებაში გაავრცელო ინფორმაცია, რომელიც საკუთარი მოქალაქეების თვალში მმართველი პოლიტიკური ელიტის დისკრედიტაციას მოემსახურება და განაპირობებს შიდა პოლიტიკურ ცვლილებებს. საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის, შესაძლოა სხვადასხვა ღია თუ ფარული წყაროებით გაავრცელო დიდი რაოდენობით ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, რათა ვერ მოხდეს ინფორმაციის სწორი კლასიფიკაცია და ანალიზი (ტექნოლოგიურ საუკუნეში ინფორმაციის მოპოვებაზე უფრო რთული გახდა მრავალმხრივი ინფორმაციის კლასიფიკაციის და ანალიზის უნარი).

ტიმოთი ტომასი რეფლექსური კონტროლის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებად მიიჩნევს მცდარი ანალოგიების მზარდ გავრცელებას (მაგ. კოსოვოს მაგალითით მანიპულირება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და 2014 წლის ყირიმის ანექსიის წინა პერიოდებში; ან დასავლური სტრუქტურების რეფლექსური დადანაშაულება რუსეთის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებაში...). ასევე, გახმაურებულ „ლიზას საქმესაც“ აღნიშნულ მეთოდს უკავშირებს.

¹ ibid.p.16

პროპაგანდისტული მეთოდი 40/60 – გებელსის სახელს უკავშირდება. მეთოდი გულისხმობს ისეთი მედია საშუალების შექმნას, რომელიც მოახერხებს მონინალმდევე ქვეყნის საზოგადოების ნდობის მოპოვებას. შექმნილი და გავრცელებული ინფორმაციის 60 % სანდოა, რელევანტური და ასახავს სამიზნე საზოგადოების ინტერესებსა და მოლოდინებს. დეზინფორმაციის გასავრცელებლად ხდება დარჩენილი 40 %-ის გამოყენება. ამგვარი პროპორცია გაცილებით ეფექტურია ვიდრე სრული დეზინფორმაცია, რადგან საზოგადოება მედია-საშუალებას აღიქვამს როგორც სანდოს და პროფესიონალურს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს გებელსის მითითებით და აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ფუნქციონირებდა ინგლისურენოვანი რადიო, რომელსაც დიდი ინტერესით ისმენდა ანტიფაშისტურ ბრძოლაში ჩაბმული სამყარო და ბრიტანულ მაუნყებლობად მიიჩნევდა. სიმართლე კი მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ გაირკვა.

40/60 მეთოდი არ გამქრალა ნაციზმის დამარცხების შემდეგ და მისი აქტიური გამოყენება დაიწყო საბჭოთა კავშირმა ცივი ომის დროს. ისევე როგორც ცივი ომის სხვა მექანიზმებმა, მეთოდმა 40/60 პოსტ-საბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნა პოპულარობა და ეფექტურად გამოიყენება ჰიბრიდული ომის წარმოების პროცესში.

და მაინც, რატომ არის პროპაგანდა ასეთი მიმზიდველი ადამიანებისთვის? სახელდება ბევრი მიზეზი, რომლებიც ამგვარად შეიძლება დავაჯგუფოთ:

1. პროპაგანდა მარტივად გასაგები მზა პროდუქტია და მოქალაქისგან არ მოითხოვს ზედმეტ ძალისხმევას, მოიძიოს ინფორმაცია და თავად გააკეთოს ანალიზი.

2. პროპაგანდა იმ სოციალური ფენის ადამიანებს, ვისაც არ აქვს შესაბამისი განათლება და უნარები, გარკვეული საკითხების შესახებ წარმოადგინოს კვალიფიკაციური ანალიზი, მზა „ინტელექტუალური სარჩოს“ მიწოდებით ეხმარება აიმაღლოს თვითმეფასება და იპოვოს ღირსეული ადგილი საზოგადოებაში.

3. პროპაგანდა ხანგრძლივ ქმედებას გულისხმობს და შესაბამისად, დროთა განმავლობაში ის ინვეეს არა მხოლოდ შეჩვევას და მიმღებლობას, არამედ ნარკოტიკულ დამოკიდებულებას და მეტი „დოზის“ მიღების სურვილს.

4. პროპაგანდა ქმნის საერთო ღირებულებებით გაჯერებული ჯგუფის იდენტობას. ერთის მხრივ, ინდივიდი განიცდის თემის ზეგავლენას და ამავე დროს ინდივიდი თავად მიისწრაფვის თემის სრულფასოვანი წევრობისკენ. პროპაგანდა ელიტიზმით დაღლილ საზოგადოებებში ელიტიზმის დაძლევის ილუზიას აჩენს და თავად ქმნის ახალ ელიტებს. საბჭოთა ელიტებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამგვარი ჯგუფები გამოირჩევა მაღალი სიცოცხლისუნარიანობით და თვითგადარჩენის ინსტინქტით. საბჭოთა კავშირის დანგრევიდან 30 წლის შემდეგაც კი საბჭოთა პროპაგანდით გამოკვებილი ჯგუფები არ გამქრალან, მათ განიცადეს ტრანსფორმაცია და კვლავაც ახერხებენ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენას.

როგორ უნდა მოხდეს პროპაგანდის იდენტიფიცირება და მისგან საზოგადოების დაცვა? მრავალრიცხოვან ლიტერატურასა და წინააღმდეგობრივ დისკუსიებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ მარტივ კლასიფიკაციას.

ინდივიდისა და საზოგადოების დონეზე: 1. ინდივიდის უნარების გაუმჯობესება (კრიტიკული აზროვნება, მედია წიგნიერება, ცნობიერების ამაღლება); 2. საზოგადოებრივი აზრის სისტემური კვლევა საზოგადოების მოლოდინებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირებისთვის; 3. ფსიქოლოგიური ანალიზი (მონყვლადი ჯგუფების ღირებულებების და ქცევის შესწავლა); 4. ინფორმაციის ანალიზი და პროპაგანდის იდენტიფიცირება. პროპაგანდის შედეგებზე დაკვირვება.

სახელმწიფოს დონეზე: 1. სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინირებული ქმედება, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისტული არხების გამოვლენა და აკრძალვა. 2. საკუთარ მოქალაქეებთან სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ამგვარად, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „პროპაგანდა“ ძირითადად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში და „დესტრუქციულ პროპაგანდას“ მოიაზრებს. ის არ შეეფარდება არც რბილი და არც ხისტი ძალის ნაისეულ განმარტებას. მას ჩვენ ბასრი ძალის შემადგენელ ნაწილად მოვიაზრებთ.

ციფრული რევოლუციის ეპოქაში პროპაგანდამ განიცადა ტრანსფორმაცია და ციფრულ პროპაგანდად იქცა, რომლის საზღვრები და ეფექტურობა გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ცივი ომის დროინდელი პროკლამაციები თუ პოსტერები. ციფრული პროპაგანდა ერევა საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და იზრდება დიპლომატიური თამაშის „დაჰაკვის“ საფრთხე. ციფრული პროპაგანდა ციფრული დიპლომატიის „ბნელი მხარეა“.

ბიბლიოგრაფია:

1. Countering online propaganda and extremism. The dark side of digital diplomacy. Edited by Corneliu Bjola and James pamment. Routledge new diplomacy studies. 2019
2. Michael Erbschloe. Extremist propaganda in social media. A threat to homeland security. CRC press. 2019
3. The propaganda model today. Filtering perception and awareness. Edited by Joan Pedro-Caranana, Daniel Broudy, and Jeffery Klaehn. University of Westminster Press. 2018
4. Marcel H. Van Herpen. Putin's Propaganda Machine; Soft Power and Russian Foreign Policy. Rowman and Littlefield. 2016
5. The Oxford handbook of propaganda studies. Edited by Jonathan Auerbach, Russ Castronovo. Oxford University Press. 2013
6. Nicholas J. Cull, David Culbert, David Welch. Propaganda and Mass persuasion. A historical encyclopedia, 1500 to the present. ABC CLIO. 2003
7. GuityNovin. A history of Graphic Design. The online textbook. Chapter 29. Propaganda Posters. <http://guity-novin.blogspot.com/2010/05/chapter-29-propaganda-posters.html#SixteenP>
8. Leonard W. Doob. Goebbels' Principles of Propaganda. The Public Opinion Quarterly, Vol. 14, No. 3. 1950. Online publication by: Oxford University Press on behalf of the American Asso-

ciation for Public Opinion Research. 2009. https://s3.amazonaws.com/academia.edu.documents/53319490/Goebbels-Principles-of-Propaganda.pdf?response-content-disposition=inline%3B%20filename%3DAmerican_Association_for_Public_Opinion.pdf&X-Amz-Algorithm=AWS4-HMAC-SHA256&X-Amz-Credential=AKIAIWOWYYGZ2Y53UL3A%2F20200228%2Fus-east-1%2Fs3%2Faws4_request&X-Amz-Date=20200228T120502Z&X-Amz-Expires=3600&X-Amz-SignedHeaders=host&X-Amz-Signature=de8b3e216ec-c8add23fdcd6b38429b780cb87e1633063c7c85b2c6aede885c8

კითხვები და დავალებები:

1. გსმენია თეთრი, შავი, რუხი პროპაგანდის შესახებ? მოიძიე დამატებითი ინფორმაცია და განმარტე, რა განსხვავებაა მათ შორის.
2. მოიძიე ინფორმაცია ნაცისტური გერმანიის და საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტული ქმედებების შესახებ. მოიყვანე მაგალითები.
3. გაეცანი და შეადარე ნაცისტური გერმანიის და ცივი ომის დროინდელი პროპაგანდისტული პოსტერები.
4. მოიძიე ინფორმაცია პროპაგანდის მეთოდების შესახებ. დაასახელე და განმარტე რომელიმე მათგანი.
5. დააკავშირე პროპაგანდა რბილი და ხისტი ძალის თეორიასთან.
6. შეარჩიე სხვადასხვა ეპოქის და თემატიკის ორი პროპაგანდისტული პოსტერი. რატომ შეარჩიე ეს ორი? რის პროპაგანდას ეწევა პოსტერი და როგორ აღწევს მიზანს ვიზუალიზაციით? შენ რომ შეგხებოდა ეს პროპაგანდა, იმოქმედებდა თუ არა და რატომ?

➤ ეს საინტერესოა:

„ლიზას საქმე“ ბოლო წლების ერთ-ერთ სკანდალურ შემთხვევად იქცა.

2016 წლის ახალწლის დღეებში, ბერლინის მცხოვრები რუსული წარმოშობის 13 წლის გოგონა ლიზა მოულოდნელად გაუჩინარდა 30 საათის მანძილზე. სახლში დაბრუნების შემდეგ, მან განაცხადა, რომ არაბული გარეგნობის მამაკაცებმა გაიტაცეს და გააუპატიურეს. არც პოლიციამ და არც გოგონას მშობლებმა გოგონას მოყოლილი ამბავი სიმართლედ არ ჩათვალეს. ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის ცნობით, გოგონას ჰყავდა 19 წლის თურქი თაყვანისმცემელი და სწორედ მასთან ერთად იყო გაპარული. სახლში იძულებით დაბრუნების შემდეგ გოგონამ სცადა ამბის შეთხზვა თავის გასამართლებლად. ლიზას ამბავი დარჩებოდა ოჯახურ კონფლიქტად, რომ არა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის.

რუსულმა და პრორუსულმა მედიამ (რუსეთის პირველი არხი, რუსეთი დღეს, სპუტნიკი) ამბავი სენსაციად აქცია და სოციალური ქსელების საშუალებით საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ამბავს გამოეხმაურნენ რუსი მაღალჩინოსნები (მათ შორის, მინისტრი ლავროვიც), რომლებიც აქცენტს აკეთებდნენ გერმანიაში რუსულენოვანი მოსახლეობის დაუცველობაზე. გერმანიაში მცხოვრები მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი ჯგუფების დისკრიმინაციის მსხვერპლად გამოცხადება ნიშნავდა ადამიანის უფლებებთან მიმართებაში გერმანიის დადანიშნულებას ორმაგი სტანდარტის გამოყენებაში.

სკანდალმა გამოიწვია სხვადასხვა ტიპის ჯგუფების გააქტიურება და მრავალრიცხოვანი სახალხო დემონსტრაციები გერმანიის ქალაქებში. ნეო-ნაციისტური ჯგუფები აქცენტს აკეთებდნენ მიგრაციის პრობლემებზე. რიგითი გერმანელები აღაშფოთა გერმანიის პოლიციის უუნარობამ, დაეცვა გერმანიის მოქალაქეების უსაფრთხოება. რუსულენოვანი ჯგუფები ითხოვდნენ უფლებების დაცვას და პატივისცემას გერმანული საზოგადოების მხრიდან.

ლიზას სკანდალის გასაანალიზებლად, აუცილებელია მიმოვიხილოთ პოლიტიკური კონტექსტი. რუსეთის მიერ უკრაინის ნაწილის ოკუპაციას გერმანიის მაღალჩინოსნების მკვეთრი განცხადებები მოჰყვა. წლების მანძილზე ნაშენები გერმანია-

რუსეთის კონსტრუქციული ურთიერთობები საფრთხის წინაშე დადგა. ევროპაში სწორედ გერმანია გახდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრების ერთ-ერთი ინიციატორი. გერმანელი მაღალჩინოსნები აღნიშნავენ, რომ პირველად ცივი ომის შემდეგ საფრთხე შეექმნა ევროპულ უსაფრთხოებას. გერმანიის მთავრობამ და ობამას ადმინისტრაციამ დაგეგმეს ერთობლივი ქმედებები. გერმანიის ჯარები ნატოს ეგიდით განთავსდა ლიეტუვაში, ნატოს ჯარი მიუახლოვდა რუსეთის საზღვარს.

რუსულმა პროპაგანდამ ლიზას სკანდალი შექმნა კანცლერ მერკელის დასაშინტაჟებლად და პოლიტიკური რეალობის შესაცვლელად. მიგრაციის თემა გამოიყენეს დიდი მიგრაციული კრიზისის პირობებში, როდესაც გერმანიაში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური თუ სამოქალაქო ჯგუფები აქტიურად აკრიტიკებდნენ მერკელის სამეიგრაციო პოლიტიკას.

ანგელა მერკელი არ აჰყვა შანტაჟს. 2016 წლის ნოემბერში მერკელის საპარლამენტო ჯგუფმა შექმნა სპეციალური დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეს განიხილავს საკუთარი გავლენის სფეროდ, შექმნა „რუსეთის სამყაროს იდეოლოგია“ რითაც არღვევს ხალხთა თავისუფალი არჩევანის უზენაეს პრინციპებს, მანიპულირებს გაყინული კონფლიქტებით, მხარს უჭერს ასადის რეჟიმს სირიაში, რითაც არღვევს საერთაშორისო სამართალს. რუსეთი ცდილობს სხვადასხვა ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე ზეგავლენას (მათ შორის, გერმანიაში ლიზას სკანდალით). საპასუხო ნაბიჯი უნდა იყოს ევროკავშირის და ნატოს თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერება.

ერთი წლის შემდეგ, 2017 წლის თებერვალში მსგავსი ფაქტი მოხდა ლიეტუვაში. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გერმანელმა ჯარისკაცმა, რომელიც ნატოს ეგიდით გააგზავნეს ლიეტუვაში, თინეიჯერი გააუპატიურა. ამბავი იყო სრული სიცრუე. დეზინფორმაციის მიზანი იყო როგორც ნატოს ჯარების დისკრედიტაცია, ასევე შიშის დანერგვა ლიეტუვას საზოგადოებაში (მეორე მსოფლიო ომის დროინდელი შიშების დაბრუნება და ანტიგერ-

მანული სენტიმენტების გაჩენა). „ახალმა სენსაციამ“ ვერ მოახდინა ეფექტი. ლიეტუვას საზოგადოება არამც თუ არ აჰყვას პროვოკაციას, არამედ საპასუხოდ ლიეტუვაში განხორციელდა ახალი ზომები საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლებისა და პროპაგანდის დასამარცხებლად.

გამოყენებული წყაროები:

1. Stefan Meister. The “Lisa case”: Germany as a target of Russian disinformation. NATO REVIEW. 25 July 2016. <https://www.nato.int/docu/review/articles/2016/07/25/the-lisa-case-germany-as-a-target-of-russian-disinformation/index.html>
2. Positionspapier Russland. Positionspapier der CDU/CSU-Fraktion im Deutschen Bundestag Beschluss vom 29. November 2016. https://www.cducsu.de/sites/default/files/positionspapier_russland_final_clean.pdf

1.7. დეზინფორმაცია და ღია წყაროებით გამოძიება

- დეზინფორმაციის ტიპები
- დეზინფორმაციის გავრცელების მექანიზმები
- ტროლინგი
- ღია წყაროებით გამოძიება

ყველაზე მარტივი კლასიფიკაციით, დეზინფორმაცია შეგვიძლია გავყოთ ორ სახეობად: **მისინფორმაცია** (Misinformation) და **დეზინფორმაცია** (Disinformation). პირველ შემთხვევაში, შესაძლოა მცდარი ინფორმაცია ან მცდარი ინტერპრეტაცია გავრცელდეს უნებლიედ, ვილადის ხუმრობის, შეცდომის ან არაპროფესიონალიზმის გამო. დეზინფორმაცია კი გამიზნული ტყუილია ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა მიზნების

მისაღწევად. მისინფორმაციის შედეგი შესაძლოა ისეთივე მძიმე აღმოჩნდეს, როგორც დეზინფორმაციის შემთხვევაში. დეზინფორმაციის, ანუ ცრუ ნარატივის, ტყუილის შექმნის პროცესში ხდება ფაქტებით **მანიპულირება** ან ფაქტების სრული **ფალსიფიკაცია** სხვადასხვა მეთოდებით. თითოეული მათგანი შესაძლოა შეეხოს შინაარსს ან კონტექსტს.¹

შინაარსზე მანიპულაციის შემთხვევაში სხვადასხვა რეალური ფაქტები დაკავშირებულია ერთმანეთთან მცდარი წარმოდგენების შესაქმნელად. კონტექსტზე მანიპულაცია გულისხმობს ფაქტის კონტექსტიდან ამოგლეჯას, კონტექსტის მცდარ ინტერპრეტაციას ან მოვლენების სრულიად სხვა კონტექსტში გადატანას.

ფალსიფიკაცია ანუ გაყალბება შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი ან სრული. ინფორმაციის ნაწილობრივი ფალსიფიკაცია შესაძლოა გულისხმობდეს კონტექსტის გამოგონებას, ყალბი წყაროების შექმნას, რეალურ ფაქტებთან ერთად გამოგონილი ფაქტების აღწერას, დამაბნეველი სათაურების, ჰეშთეგების და ფოტოების გამოყენებას.

ინფორმაციის სრული ფალსიფიკაცია გულისხმობს გამოგონილ, ყალბ ინფორმაციას რომელიც გამიზნულად შეიქმნა ზიანის მისაყენებლად. მას ხშირად „ყალბ ამბებს“ (Fake News) უწოდებენ. მანიპულაციაც და ფალსიფიკაციაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ტექსტში, ასევე ფოტო და ვიდეო მასალაზე. განსაკუთრებით პოპულარული მეთოდია ფოტომასალის ფალსიფიკაცია, რადგან მარტივია როგორც შესაქმნელად, ასევე გასავრცელებლად და ეფექტურია ზემოქმედებისთვის. მარტივი აპლიკაციებით ფალსიფიცირებული ფოტო-ვიდეო მასალის ამოცნობა შესაძლოა მარტივი აღმოჩნდეს, თუმცა პროფესიონალების შექმნილი ფალსიფიკაციის დადგენა შეუძლებელი ხდება სპეციალური ექსპერტიზის გარეშე.

¹ Claire Wardle. Fake news. It's complicated. FIRST DRAFT. February 16, 2017. <https://firstdraftnews.org/latest/fake-news-complicated>

არც ისე დიდი ხანია გამოჩნდა დეზინფორმაციის ახალი და სახიფათო ტიპი – „**ღრმა ფეიქი**“ (**Deep Fake**), რომელიც ძალიან ჰგავს ნამდვილს. ის გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ყალბი ვიდეო ან აუდიო-ჩანაწერის შექმნას. მარტივი ვიდეო-მანიპულაცია (ხმის და გამოსახულების ამოჭრა, გადაფარვა, სხვადასხვა დროს რეალურად ნათქვამი ფრაზების შეკონინება...) ადვილი გამოსაცნობია ფაქტჩეკინგის მცირეოდენი გამოცდილების მქონე პირისთვის. „ღრმა ფეიქი“-ის შემთხვევაში კი მსახიობის მიერ ნაკითხულ ტექსტს ხელოვნური ინტელექტი სინქრონში ამეორებინებს სამიზნე პირს მისი გამოსახულების, მიმიკის და ხმის გამოყენებით. ღრმა ფეიქის ექსპერტიზა რთულია და ახალი საექსპერტო მეთოდების შექმნას მოითხოვს. ღრმა ფეიქმა უკვე დააზარალა აშშ პრეზიდენტები ბარაკ ობამა და დონალდ ტრამპი, ფეისბუქის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი და სხვა ცნობილი ადამიანები.¹

დეზინფორმაციის შექმნა-გავრცელების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკა. ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრი (CEPA) ჩამოთვლის და განმარტავს ზოგიერთ მათგანს: **პინგ-პონგი** (სხვადასხვა ვებ-გვერდების კოორდინირებული გამოყენება ინტერნეტში ნარატივის გასააქტიურებლად); **„ყვავმა ყვავს უთხრაო...“** (სხვა პირებისა და ორგანიზაციების მხილება იმ საქმიანობაში, რაშიც თავად ბრალმდებელიც ჩართულია. შესაბამისად, დეტალების აღწერა ხდება მეტი დამაჯერებლობით); **ფაქტების უარყოფა** (შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, რეალური ფაქტების აღწერა მათი უარყოფის, ინტერპრეტირების, დისკრედიტაციის და ა. შ. მიზნით); **ფრაგმენტირება ან განზოგადება** (ნაწილის მთლიანად წარმოჩენა ან მთლიანის ნაწილად შეფასება); **ფაქტების ემოციებით გადაფარვა** (ემოციური მეტაფორებით ტექს-

¹ Joseph Foley. 9 deepfake examples that terrified and amused the internet. CB (CREATIVE BLOG). November 15, 2019. <https://www.creativeblog.com/features/deepfake-examples>

ტის გადავსება; ემოციების წინა პლანზე წამოწევა); **განქიქება, დაცინვა, იარლიყების მინებება**; „**ვოთებაუთიზმი**“ (მცდარი შედარებების მოყვანა, ჩვენ ცუდები ვართ, მაგრამ სხვებიც ცუდები არიან სტილში); „**ნარატივის გათეთრება**“ (ნარატივის მიწერა დაუკონკრეტებელი ექსპერტებისთვის. მაგალითად, ქართულ ინტერნეტ მედიაში ხშირად ხმარებული ფრაზა „როგორც ბრიტანელი ექსპერტები ამბობენ...“); **ბალანსის ცვლილება** (დამახასიათებელია ძირითადად სატელევიზიო სივრცისთვის: ტელე-დებატებში პროპაგანდისტული ძალების მოწვევა მეორე მხარეს აიძულებს გადავიდეს თავდაცვით რეჟიმში, რითიც გარკვეული პრობლემის განხილვისას იქმნება დისბალანსი); „**ვაგონზე შეხტომა**“ (მცდელობა გარკვეული ნარატივი წარმოჩინდეს უმრავლესობის შეხედულებად და ამით ზეგავლენა მოახდინონ ინდივიდზე, რომელსაც სურს „არ ჩამორჩეს მეინსტრიმულ ტენდენციებს“); **შეთქმულების თეორიები** (ჭორების გავრცელებით და მითების შექმნით „ფარული შეთქმულების“ გამოაშკარავება ან პირიქით, არსებული რეალობის შეთქმულებად მონათვლა); **მცდარი დილემები** (წარმოსახვითი გამოუვალი მდგომარეობის აღწერით ინდივიდზე ზემოქმედება, რომ მან მხარი დაუჭიროს „ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას“) და სხვ.¹

დეზინფორმაციის და პროპაგანდის მეთოდები ხშირად მსგავსია და შეუძლებელია მათი მკვეთრი გამიჯვნა. დეზინფორმაციის გავრცელებაში მონაწილეობენ ტროლები და ბოტები.

ბოტი იგივეა, რაც აპლიკაცია, რომელიც ხელოვნურ ინტელექტზე დაყრდნობით და სპეციალურად მისთვის შექმნილი ალგორითმებით, ასრულებს მიცემულ დავალებას. მაგალითად: კონკრეტულ კომენტარს განათავსებს ასობით და ათასობით გვერდებზე, ტირაჟირებს მოწონების („ლაიქს“) ან ემოციის ლილაკებს და ა. შ. ბოტისგან გასხვავებით, ტროლი ადამიანია,

¹ Disinformation Techniques. The Center for European Policy Analysis (CEPA). <https://www.cepa.org/disinfo-techniques>

თუმცა ყოველდღიურ სლენგში ხშირად ტროლებს და ბოტებს ერთმანეთთან აიგივებენ.

ტროლი იღებს მზა გზავნილს და დირექტივას სამიზნე ინდივიდების ან ჯგუფების შესახებ. ტროლისთვის ტროლინგი ანაზღაურებადი სამსახურია. ტროლები მესიჯებს არგებენ კონტექსტს და ახდენენ მესიჯების დივერსიფიცირებას, იწყებენ დისკუსიებს ინტერნეტ მომხმარებელთან... ტროლი მოქმედებს სპეციალურად შექმნილი სხვადასხვა სახელეობით („ექაუნთებით“). რიგ შემთხვევებში ტროლის ამოცნობა მარტივია სოციალურ მედიაში (ყავს ცოტა მეგობარი, ახალ შექმნილი გვერდია, არ აჩენს პირად და ოჯახურ ფოტოებს, პროფილისთვის იყენებს მოპარულ ფოტოს და იდენტობას და სხვ.) ტროლის გამოაშკარავება მის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული – ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ფოტოები, IP მისამართებით მანიპულირება და სხვა მსგავსი მეთოდი ართულებს ტროლის ამოცნობას. მაღალანაზღაურებადი ტროლები პროფესიონალები არიან და ქაოსი შეაქვთ ინტერნეტ-სივრცეში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანის შემთხვევაში იქმნება ე. წ. „ტროლების ქარხანა“ – ადამიანთა ჯგუფი კონკრეტული ამოცანებით. ერთეული ტროლისგან განსხვავებით, რომელიც შესაძლებელია საკუთარი სახლიდან მუშაობდეს საკუთარი სმარტფონით ან კომპიუტერით, ტროლების ქარხანა ორგანიზაციაა და მას ინფრასტრუქტურა ესაჭიროება. „ტროლების ქარხანა“ ხშირად დარეგისტრირებულია მედია-სააგენტოს, ჰოლდინგის ან სხვა მსგავსი სახელით და ოფიციალურ საქმიანობას საფარად იყენებს ტროლინგის პროცესში.

2016 წელს, აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის დროს მნიშვნელოვან ამაზდ იქცა ტროლების გავლენა ამომრჩეველთა განწყობაზე. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ყოფილი ხელმძღვანელი, რობერტ მიულერი. გამოძიებამ გამოაქვეყნა ე. წ. „მიულერის ანგარიში“,

რომლის თანახმად, ტროლების ქარხნის ფუნქციას ასრულებდა რუს ოლიგარქ ევგენი პრიგოჟინის მიერ სანკტ-პეტერბურგში დარეგისტრირებული ინტერნეტ კვლევების სააგენტო.¹

ტროლინგისთვის ინდივიდების და ჯგუფების პირადი მონაცემების მოძიება ხდება ღია წყაროებით, მოპარვით („ლაჰაკ-ვით“), აპლიკაციების დახმარებით (სხვადასხვა სახის ონლაინ ტესტები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ფოტოსურათის ატვირთვისას მოითხოვს მომხმარებლისგან), კომპიუტერული ვირუსების გავრცელებით და სხვა.

პოლიტიკური ტროლინგის მიზანია საზოგადოების წარმოდგენებისა და ღირებულებების ფორმირება, **სასარგებლო იდიოტებად** (მისი ინფორმაციის გამავრცელებლად) და **კოლექტიურ ტროლებად** (მისი ღირებულებების მატარებლებად) გადაქცევა.

დეზინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია ყველა მედია-საშუალებით, მაგრამ დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბი უპრეცედენტოდ მაღალია ყვითელი მედიის, ინტერნეტ-მედიის და სოციალური ქსელების გამოყენებით. სოციალური ქსელები, ინტერნეტ-ჯგუფები და ინტერნეტ-გამოცემები ამარტივებს ბოტების და ტროლების საქმიანობას. ამგვარი ოპერაციები იმდენად მასშტაბურია, რომ ფეისბუქმა მათ ამოსაცნობად შეიმუშავა სპეციალური ალგორითმი. აპლიკაციები კარგად მუშაობს ბოტების წინააღმდეგ, თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ ამარცხებს ტროლინგს.

დეზინფორმაციის მიზანმიმართულმა გავრცელებამ და პოლიტიკურმა ტროლინგმა შესაძლოა დააზიანოს ნებისმიერი სახელმწიფო. თუმცა იქ, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, ხოლო მედია-ნიგნიერების ხარისხი დაბალი, შედეგი ხანგრძლივი და დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს.

¹ Report On The Investigation Into Russian Interference In The 2016 Presidential Election. V. I. Special Counsel Robert S. Mueller, III. US Department of Justice. Washington. March 2019. <https://www.justice.gov/storage/report.pdf>

ღია წყაროებით გამოძიება (OSINT) ზოგადი განმარტებით გულისხმობს ნებისმიერი ტიპის გამოძიებას ღია ინფორმაციაზე დაყრდნობით და სხვადასხვა აპლიკაციების გამოყენებით. ღია წყაროებში შესაძლოა მოვიაზროთ ინტერნეტში განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია – სამთავრობო დოკუმენტები, მედია-კონტენტი, სოციალურ ქსელებში განთავსებული სტატუსები თუ კომენტარები... ციფრული გამოძიებლის თუ ციფრული ჟურნალისტიკის პროფესიის გაჩენის აუცილებლობა განაპირობა ციფრულმა რევოლუციამ და მისმა თანმდევემა გამონვევებმა (ინფორმაციის სიუხვე, დეზინფორმაციის გავრცელების სიმარტივე, ინფორმაციის კლასიფიკაციის სირთულე და სხვ.)

ღია წყაროებით გამოძიების ექსპერტებზე მოთხოვნა მზარდია და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ მეთოდს იყენებენ როგორც უსაფრთხოების და უშიშროების უწყებები, ასევე ჟურნალისტები, მკვლევარები და ნებისმიერი მსურველი. საერთაშორისო დოკუმენტების და ანგარიშების დიდი ნაწილიც ღია წყაროებზე დაყრდნობით მზადდება.

ღია წყაროებით გამოძიების ტექნიკასა და შესაძლებლობებზე მრავალი სახელმძღვანელო შეიქმნა (ზოგიერთი მათგანი ბესტსელერადაც კი იქცა). სახელმძღვანელოებსა და ტრენინგ-კურსებზე აქცენტი კეთდება შემდეგ საკითხებზე: საძიებო სისტემებში ეფექტური ძებნა; სოციალური ქსელებიდან და სხვა პლატფორმებიდან ინფორმაციის შეკრება და ანალიზი თითოეული სოციალური ქსელის თუ პლატფორმის თავისებურებების, სპეციფიკის და რეგულაციების გათვალისწინებით; ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის გვერდების ტექნიკური მონაცემების (მაგ. IP მისამართები) დადგენა; მფლობელობასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალების იდენტიფიკაცია; ფაქტჩეკინგის პროცესში ონლაინ რუკების გამოყენება და მონაცემთა შეჯერება; ფოტო-ვიდეო მასალის გადამოწმება აპლიკაციებით; მობილური აპლიკაციების და რადიო სიგნალების ანალიზი და სხვ.¹

¹ Michael Bazzell. Open Source Intelligence Techniques. Resources for Searching and Analysing Online Information. Sixth Edition. 2018
124

ჟურნალისტური გამოძიება ყოველთვის ითვლებოდა დემოკრატიის საფუძვლად და პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღების მექანიზმად. ციფრულმა შესაძლებლობებმა ეს მიმართულება ახალ სიმაღლეზე აიყვანა. პროფესიონალი თუ დამოუკიდებელი გამომძიებლების საქმიანობა დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს სამთავრობო უწყებებს და პოლიტიკის წარმოების პროცესში ინდივიდის ძალაუფლების ზრდის კარგი მაგალითია.

დღეს ყველა ცნობილი მედია-საშუალება ცდილობს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ციფრული ჟურნალისტიკის განვითარებას. მსოფლიოს მასშტაბით იმართება ციფრული ჟურნალისტიკის კონფერენციები და ფორუმები, იქმნება დამოუკიდებელი ორგანიზაციები, ჩნდება ახალი ნომინაციები და საკონკურსო ჯილდოები.

ბიბლიოგრაფია:

1. Michael Bazzell. Open Source Intelligence Techniques. Resources for Searching and Analysing Online Information. Sixth Edition. 2018
2. Ginger Gorman. Troll Hunting: Inside the World of Online Hate and its Human Fallout. Hardie Grant Books. 2013
3. Kathleen Hall Jamieson. Cyber-War. How Russian Hackers and Trolls Helped Elect a President. What we don't, can't, and do know. Oxford University Press. 2018
4. Brian McNair. Cultural Chaos. Journalism and Power in a Globalised World. Routledge. 2006.
5. Text Mining and Visualization. Case Studies Using Open-Source Tools. edited by Markus Hofmann, Andrew Chisholm. CRC Press. 2016.
6. Disinformation Techniques. The Center for European Policy Analysis (CEPA). <https://www.cepa.org/disinfo-techniques>
7. European Union EXTERNAL ACTION. Countering Disinformation. https://eeas.europa.eu/topics/countering-disinformation_en
8. Joseph Foley. 9 deep fake examples that terrified and amused the internet. CB (CREATIVE BLOG). November 15, 2019. <https://www.creativeblog.com/features/deepfake-examples>
9. Report On The Investigation Into Russian Interference In The 2016 Presidential Election. V. I. Special Counsel Robert S. Mueller, III. US

Department of Justice. Washington. March 2019. <https://www.justice.gov/storage/report.pdf>

10. Claire Wardle. Fake news. It's complicated. FIRST DRAFT. February 16, 2017. <https://firstdraftnews.org/latest/fake-news-complicated>

კითხვები და დავალებები:

1. რა განსხვავებაა დეზინფორმაციასა და მისინფორმაციას შორის?
2. ჩამოთვალე დეზინფორმაციის გავრცელების მექანიზმები.
3. როგორ ფიქრობ, რატომ არის დეზინფორმაციის და პროპაგანდის მეთოდები მსგავსი?
4. გსმენია ტროლების და ტროლების ქარხნების შესახებ? გამხდარხარ ტროლინგის მსხვერპლი?
5. როგორ ფიქრობ, სოციალური მედია რატომ ამარტივებს დეზინფორმაციის გავრცელებას და ტროლინგს?
6. ეთანხმები მოსაზრებას, რომ ტროლინგმა შესაძლოა სახელმწიფო უსაფრთხოებას შეუქმნას საფრთხე? მოიყვანე მაგალითი.
7. რას გულისხმობს ღია წყაროებით გამოძიება?
8. შეარჩიე ინტერნეტიდან სტატია, რომელიც შენი აზრით შეიცავს დეზინფორმაციას. დეზინფორმაციის რა ტექნიკას იყენებს სტატია? გადაამოწმე ფაქტები ღია წყაროებით.
9. გაეცანი ინფორმაციას 2016 წლის აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიაზე ტროლების ქარხნის ზეგავლენის შესახებ.

➤ ეს საინტერესოა:

2018 წელს სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეო, სადაც სამხედრო ფორმაში ჩაცმული მამაკაცები კამერის წინ ხვრეტდნენ ქალებს და ბავშვებს. კამერაში მსხვილი ხედით ჩანდა დედის ზურგზე მიკრული მცირეწლოვანი ბავშვის სახე სიკვდილის წინ. ვიდეოში ისმოდა ხმა: „საკმარისია ცანგა“. ვიდეო BBC ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ მოექცა და დაიწყო ჟურნალისტური

გამოძიება. ღია წყაროებით გამოძიება არ აღმოჩნდა მარტივი, რადგან ვიდეოზე არ ფიქსირდებოდა ადგილმდებარეობის ან ვინაობის დამადასტურებელი დეტალები. შემზარავი ვიდეო უამრავ კითხვას ბადებდა: სად მოხდა მასობრივი მკვლელობა? როდის მოხდა? ვინ არიან მკვლელები? ვინ არიან მსხვერპლები?

ჟურნალისტებს რამდენიმე თვე დასჭირდათ გამოძიებისთვის და მიუხედავად სირთულეებისა, მათ შეძლეს როგორც ადგილმდებარეობის, ასევე მკვლელების იდენტიფიცირება. გეოგრაფიული მდებარეობა განისაზღვრა სატელიტური რუკებით (ვიდეოს ფონზე გამოსახულ ლანდშაფტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით). გადაღების სავარაუდო დრო დადგინდა მზის ჩრდილის მიხედვით. მკვლელთა ვინაობა დადგინდა სახის ამომცნობი აპლიკაციებით სოციალური ქსელების მონაცემებთან და ოფიციალურ დოკუმენტებთან შეჯერების საფუძველზე.

ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ „ბოკო ჰარამის“ ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ ანტიტერორისტული ოპერაციის დროს, ტერორისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით, კამერუნის სახელმწიფო არმია სიკვდილით სჯიდა სოფლის მშვიდობიან მოსახლეობას. კამერუნის მთავრობამ სცადა პასუხისმგებლობის თავიდან არიდება, თუმცა უშედეგოდ.

გამოყენებული წყაროები:

1. Anatomy of a Killing (BBC). PEABODY. <http://peabodyawards.com/award-profile/anatomy-of-a-killing>
2. Cameroon: Anatomy of a Killing. Documentary. BBC Africa Eye. <https://www.youtube.com/watch?v=XbnLkc6r3yc>

ნახილი II

2.1. რუსეთის ბასრი ძალა საქართველოში

რუსეთის ბასრი ძალის გამოყენება საქართველოში განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გააქტიურდა რამდენიმე სავარაუდო მიზეზის გამო: ხისტი ძალის გამოყენებამ (ომი) შეამზადა საფუძველი ბასრი მეთოდების უფრო მარტივად გამოყენებისთვის; ბასრი ძალის გამოყენება აუცილებელი გახდა ომის შედეგების ლეგიტიმაციისთვის; საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის და საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვების შემდეგ დიპლომატია ბასრი მექანიზმებით ჩანაცვლდა.

საქართველოში რუსეთის ბასრი ძალის გამოყენების მექანიზმებია სხვადასხვა ფონდების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კულტურის ცენტრების შექმნა და დაფინანსება; შერჩეული მედია საშუალებების და პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა; პოპულისტური დაჯგუფებების მხარდაჭერა და სახალხო არეულობების წახალისება; სახელმწიფო ინსტიტუტებზე განხორციელებული ზეწოლა; დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავრცელება სხვადასხვა მედია-საშუალებებით; კიბერ-თავდასხმები¹ და სხვ. სამწუხაროდ, საქართველოში მწირია კვლევები ამ მიმართულებით. რუსეთის ბასრი ძალის

¹ 2008 წლის ომის წინ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული კიბერთავდასხვა საქართველოში მრავალგზის გახდა საერთაშორისო განსჯის საგანი. აღნიშნულ ფაქტს იხსენიებს ჯოზეფ ნაიცი. (იხ. Joseph S. Nye, Jr. *The Future of Power. Public Affairs.* NY. 2011.p.139). 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს სერვერებზე განხორციელებული თავდასხმის უკან კვლავ რუსეთის ფედერაცია მოიაზრება საერთაშორისო დისკუსიებში (მაგალითად, იხ. David E. Sanger, Marv Santora. *U.S. and Allies Blame Russia for Cyberattack on Republic of Georgia.* The New York Times. Feb.20, 2020. <https://www.nytimes.com/2020/02/20/world/europe/georgia-cyberattack-russia.html>) სამწუხარო ტენდენციაა, რომ კიბერუსაფრთხოების საკითხებზე არ მიმდინარეობს აქტიური დისკუსია საქართველოში.

სხვადასხვა განზომილებების კომპლექსური შესწავლა შეუსრულებელი ამოცანაა ერთეული მკვლევარებისთვის და ფართო ჩართულობას მოითხოვს. კვლევას ართულებს ოფიციალურ დოკუმენტებზე შეზღუდული წვდომა, ხოლო სადაზვერვო მასალებზე წვდომის შეუძლებლობა.

ღია წყაროებზე დაყრდნობით გთავაზობთ რუსეთის ბასრი ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – რუსეთის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელების მცირეოდენ ანალიზს.

რუსეთის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მესიჯები გარკვეულწილად მსგავსია სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა ყველა შემთხვევაში შეიმჩნევა მესიჯების ვარიაცია ლოკალური კონტექსტიდან გამომდინარე. საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებით თვალში საცემია პროპაგანდის კონტექსტთან ადაპტირების უნარი, რაც დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების თუ ქართული საზოგადოების ღირებულებითი სისუსტეების ცოდნასა და ანალიზზე.

პროპაგანდის და დეზინფორმაციის გასავრცელებლად რუსეთი მედია სექტორში ეყრდნობა როგორც ადგილობრივ, ქართულ მედია-საშუალებებს, ასევე რუსული მედიის ფილიალებს საქართველოში (მაგ., სპუტნიკი) და სოციალურ ქსელებს.

რუსეთის ფედერაციის დეზინფორმაციული მესიჯები საქართველოში შესაძლებელია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: საბჭოთა ნოსტალგია; იზოლაციონიზმი გლობალიზაციის საფრთხეებთან გასამკლავებლად; რელიგიური თემები და ერთმორწმუნეობა; ულტრანაციონალისტური არგუმენტები; ანტიდასავლური და ანტითურქული სენტიმენტები; ქართული საზოგადოების რუსოფობიაში დადანაშაულება; ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი სკეპტიციზმი..

საბჭოთა ნოსტალგიის ნარატივი აქცენტს აკეთებს სოციალური უსაფრთხოებისა და თანასწორობის სიკეთეებზე დღევანდელი სოციალური უთანასწორობის საპირისპიროდ. იქმნება მითები „კარგად დავინწყებული ძველი სიკეთეების“

შესახებ, რაც განსაკუთრებით აბნევს ახალგაზრდა თაობას. სოციალური უსაფრთხოების საკითხების გარდა, საბჭოური ნოსტალგიის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა სტალინიზმის რეაბილიტაცია, რაც განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდა ქართული საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფისთვის. საბჭოთა ტოტალიტარიზმი და რეპრესიები ცხადდება მითად და დასავლური ძალების მიერ შეთხზულ დეზინფორმაციად. ამ ტიპის ნარატივების მარტივად დამკვიდრება მიგვითითებს როგორც ქართული საზოგადოების არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზე სახელმწიფო ინტერესების მიმართ (სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემა; სახელმწიფო ინტერესების გააზრება; ქართველი ერის იდენტობის რეალური საფუძვლების აღქმა...), ასევე ინსტიტუციურ პრობლემებზე და ინტელექტუალური ელიტების პასიურობაზე.

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ვერ შეძლო საზოგადოებისთვის კომპლექსური აკადემიური კვლევების შეთავაზება საბჭოთა წარსულის შესახებ (არსებული ნაშრომები ფრაგმენტული ხასიათისაა და ვერ ახდენს ტოტალიტარიზმის სრულ გადაფასებას); რეფორმების მიუხედავად, ვერ მოხერხდა საგანმანათლებლო სისტემის სრული ტრანსფორმაცია და ახალ ღირებულებებზე დაფუძნება (ამ შემთხვევაშიც შედეგები ფრაგმენტული ხასიათისაა და ვერ ცვლის საერთო სურათს); პოლიტიკურ ელიტებს არ ეყობ საბჭოთა წარსულის გასამართლების ძალა და გამბედაობა (მაგ.: ლუსტრაციის კანონი, სტალინის კულტის დაგმობა და სხვა).

ანტიდასავლური პროპაგანდა ხშირად ეყრდნობა ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავ ორ მიმართულებას: დასავლეთი მოძალადეა, თავს გვახვევს საკუთარ მენტალიტეტს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას; დასავლეთი ზედმეტად სუსტია იმისთვის, რომ დაგვიცვას რეალური რეგიონული საფრთხეებისგან (მათ შორის ომებისა და კონფლიქტებისგან).

ურთიერთშეუსაბამობა არ არის შემთხვევითი და ემსახურება საზოგადოების დაბნევას, საზოგადოებაში საერთო სახელმ-

ნიფობრივი ღირებულებების დამკვიდრებისთვის ხელის შეშლას. ანტიდასავლური ნარატივები აქტიურდება რეფორმების თუ ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპების დროს. მაგალითად, ვიზალიბერალიზაციის ძალაში შესვლის წინა პერიოდში აქცენტი კეთდებოდა ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზოდ მიმოსვლის „გარდაუვალ საფრთხეებზე“ (მაგ.: საქართველოს მოქალაქეების მასობრივი ემიგრაცია ევროპაში, მასობრივი მიგრაცია აზია-აფრიკიდან საქართველოში, „ქართველობის დაკარგვის“ საფრთხე ევროპაში მოგზაურობის დროს, და სხვა). დეზინფორმაციული წყაროები მოუწოდებდნენ საზოგადოებას აქტიურობისკენ გადანყვეტილების გადავადების მიზნით. საზოგადოებაში ანტიდასავლური ნარატივების მართივად გავრცელება მიგვითითებს როგორც საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალურ-პოლიტიკური ღირებულებების ქაოტურობაზე, ასევე საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეზე. საქართველოში პოლიტიკურ ელიტებს შორის ვერ შედგა ღირებულებითი თანხმობა სახელმწიფო ინტერესების თაობაზე: რა არის სახელმწიფოს მთავარი გამოწვევები, ვინ არის მტერი და სად უნდა ვეძებოთ პერსპექტივა. ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ მოქალაქეების სრულყოფილ ინფორმირებას რას ნიშნავს ევროინტეგრაცია და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს რიგით მოქალაქეს (ამის დასტურია ყოველწლიური სოციოლოგიური კვლევების სხვადასხვა ასპექტებიც).

ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი სკეპტიციზმი აქცენტს აკეთებს გეოპოლიტიკაზე, ხაზს უსვამს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში განევრიანების შეუძლებლობას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ არეალად განსაზღვრავს რეგიონს, რეგიონალური მშვიდობის მთავარ გარანტიად კი რუსეთს წარმოაჩენს.

გლობალიზაცია ასევე წარმოჩენილია როგორც დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებული ვესტერნიზაციის მცდელობა და ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხე, რომელსაც მხოლოდ იზოლაციონიზმით (პოლიტი-

კური, სამხედრო, კულტურული...) გავუმკლავდებით. გლობალიზაციის ნარატივი იმეორებს XX საუკუნის მიწურულის ანტი-გლობალისტების პირველი თაობის რიტორიკას. საზოგადოებაში ამ ნარატივის აქტუალობა ამხელს საზოგადოების სისუსტეებს: დიגיტალიზაციის დაბალ დონეს, ინფორმაციის არ ქონას ციფრული რევოლუციისა და მისი თანმდევი ძალის დიფუზიის შესახებ და სხვ.

ულტრა-ნაციონალისტური პოპულიზმი აღვივებს ქსენოფობიას, ჰომოფობიას, ისლამოფობიას, რასიზმს და სექსიზმს. ამ ტიპის მესიჯები მანიპულირებს ემოციებით და ინდივიდს აყენებს „მცდარი დილემის“ პირობებში – არჩევანი სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ინდივიდის იდენტობის შენარჩუნებას შორის. პოპულისტური ჯგუფების მზარდი რაოდენობა და ზეგავლენა აჩვენებს საზოგადოების უუნარობას დასკვნების გამოტანისას დაეყრდნოს ფაქტებს და სტატისტიკას, გამიჯნოს ემოცია და რეალობა, თავი აარიდოს სიძულვილის ენით გაჯერებულ ემოციურ დაპირისპირებას... პოპულისტური ჯგუფების მომძლავრება არ არის მხოლოდ ქართული საზოგადოების პრობლემა, თუმცა პოპულისტური იდეების გავრცელების მასშტაბი ქართულ საზოგადოებაში კიდევ ერთი ინდიკატორია განათლების სისტემის მოუქნელობისა და არასისტემური ხასიათის დასაფიქსირებლად.

რელიგიური თემები თავის მხრივ რამდენიმე სეგმენტად შეგვიძლია დავყოთ: მართლმადიდებლური ერთიანობა რუსეთთან (როგორც ისტორიულად აპრობირებული არჩევანი); სეკულარიზმი, როგორც ეროვნული იდენტობის საფრთხე; მართლმადიდებლობა როგორც ქრისტიანობის უპირატესი მიმდინარეობა; მსოფლიო მასშტაბით მართლმადიდებლობის დაცვის აუცილებლობა; მოახლოებული მეორედ მოსვლა (მოტივაცია არ ვიზრუნოთ დღეის პრობლემებზე); სასწაულების ბრმადმორწმუნეობა და სხვ.

აღნიშნული ნარატივები დაყოფილია სხვადასხვა მესიჯებად: ეკლესიის პოლიტიკური უფლებების ზრდის აუცილებლო-

ბა; ემშაკის ნიშნების ფანატიკური ძიება სახელმწიფო სიმბოლოებსა თუ დოკუმენტებში; სხვადასხვა ტიპის შიშების დანერგვა; რელიგიური მორალის უპირატესობა საერო სამართალზე და სხვ. მსგავსი მესიჯების ნაწილი გამოკვეთილად ანტისახელმწიფოებრივი იდეის შემცველია. მაგალითად, 2008 წლის ომის „ცოდვების გამოსყიდვის“ მცდელობად შეფასება, ან პირადობის მოწმობების ბოიკოტი მასში „ემშაკის ნიშნების“ არსებობის საბაბით.

ანტითურქული ნარატივი აქცენტს აკეთებს თურქეთიდან მომდინარე საფრთხეებზე, ისტორიულ მტრობასა და სენტიმენტებზე, თურქეთის მხრიდან ეკონომიკური ზეგავლენის საფრთხეებზე, ისლამოფობიაზე, ქსენოფობიაზე და სხვ.

ქართული საზოგადოების რუსოფობიაში დადანაშაულება შედარებით ახალი თემაა და ე.წ. „გავრილოვის ლამის“ შემდეგ გამოჩნდა. თემა ასევე გააქტიურდა „რუსული კულტურის ცენტრების“ საქართველოში შექმნის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პერიოდში (რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი დისკუსია თანმდევი საფრთხეების შესახებ).

რუსეთის ბასრი ნარატივები საქართველოში იყენებს პროპაგანდის და დეზინფორმაციის ყველა იმ შესაძლო ტექნიკას, რაც შესაბამის პარაგრაფებშია აღწერილი. ქართული საზოგადოების ღირებულებით თავისებურებად უნდა ჩაითვალოს **შეთქმულების თეორიების და მცდარი დილემების განსაკუთრებული პოპულარობა და ეფექტურობა.**

შეთქმულების თეორიები მრავალმხრივი, მრავალრიცხოვანი და ხშირად სრულიად ფანტასტიურია (მაგ. მითები მასონთა ლოჟის სასწაულებრივი უნარების შესახებ; აშშ უშიშროების ორგანოების ზებუნებრივი უნარი დაჩიპოს ყველა მოქალაქე და გადააქციოს ზომბად...). მცდარი დილემები საგონებელში აგდებს ინტელექტუალურ ჯგუფებსაც კი.

მცდარი დილემის მაგალითად უნდა მოვიყვანოთ მითი „ყარსის ხელშეკრულების“ შესახებ, რომლის მიხედვით 2021 წელს თურქეთი ბათუმის დაპყრობას აპირებს. მითის ტირაჟირებაში აკადემიური წრეებიც კი აღმოჩნდნენ ჩართულნი.

ეფექტობით, ამ კონკრეტულ მაგალითში განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა ყარსის ხელშეკრულების რეალურობა, ხოლო საკითხისადმი ემოციურმა დამოკიდებულებამ გადაფარა სრულიად მარტივი ქვეყნობა: ამჟამად არარსებულ სამართლებრივ სუბიექტებს შორის (რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, საქართველოს სსრ, ოსმალეთის იმპერია) დადებული ხელშეკრულება (სადაც ერთ-ერთი მუხლი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში აჭარის ავტონომიის სტატუსს ეხება) ვერ განხორციელდება დღეს, როდესაც აღარ არსებობენ ხელშეკრულების ხელმომწერი სუბიექტები (მათ ნაცვლად: რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, საქართველო). საქართველოს საზღვრები საერთაშორისოდ აღიარებულია, ხოლო თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ეფუძნება 1992 წელს მიღებულ ჩარჩო-ხელშეკრულებას.

შეთქმულების თეორიის უდავო შედეგია ლუგარის ლაბორატორიის მითი, რომელიც აშშ სენატის ანგარიშშიც კი მოხვდა.¹ რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია სარგებლობს ურყევი რეპუტაციით საერთაშორისო ასპარეზზე და ერთადერთი მაღალტექნოლოგიური ცენტრია რეგიონში, რომლის არსებობამაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სამედიცინო კვლევების საქართველოში ჩატარება. მითის მიხედვით, ლუგარის ლაბორატორია ქმნის და ავრცელებს ვირუსებს მოსახლეობაში. მითი ზუსტად იმეორებს საბჭოთა უშიშროების ზემოთ ხსენებულ მითს შიდსის შექმნა-გავრცელების შესახებ. ბრალდების აბსურდულობის მიუხედავად, მითი ადვილად გავრცელებადი აღმოჩნდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით სეზონური ვირუსების პერიოდში. რიგითი მოქალაქის მარტივ შეკითხვაზე, რა უნდა ვქნათ თუ თავად არ შეგვიძლია მაღალტექნოლოგიური კვლევების წარმოება, სხვის კვლევებს კი არ ვენდობით, პოპულისტური ორგანიზაციები გვთავაზო-

¹ Putin's Asymmetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security. U.S. Senate. January 10, 2018. p.80. <https://www.foreign.senate.gov/imo/media/doc/FinalRR.pdf>

ბენ „ამომწურავ პასუხს“: „ლოცვა გადაგვარჩენს“, „ჩვენს წინაპრებს ნამალი არ ჰქონდათ...“ სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე ჯანდაცვის სფეროში (გადამდები დაავადებების პრევენცია და კონტროლი, კანონმდებლობის დახვეწა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობა...) ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

შეთქმულების თეორიების და მცდარი დილემების პოპულარობა განსაკუთრებით კარგად ახდენს ქართული პოსტ-საბჭოთა საზოგადოების მნიშვნელოვანი სისუსტეების იდენტიფიცირებას: მედიანგიწერების და ზოგადად, ნიგნიერების დაბალი დონე; სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა; პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებლობის აღებისთვის თავის არიდება და სხვა.

საქართველოში (ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოების შემთხვევაში), ინტერნეტ მედია ყველაზე ხშირად გამოიყენება დეზინფორმაციის (და არა მხოლოდ რუსეთის მხრიდან) გასავრცელებლად. ჩვენი დაკვირვებით, ინტერნეტში რუსეთის პროპაგანდისტული მესიჯები დაყოფილია თემებისა და სამიზნე ჯგუფების მიხედვით. რუსი ექიმების სასწაულებრივი უნარები კიბო განკურნონ სოდით; მითები ბანანით გავრცელებული შიდსის, ჰეპატიტის და კორონავირუსების შესახებ; ღრუბლებში გამოსახული რელიგიური სიმბოლოების ფოტომანიპულაციები; სიზმრებზე და ჰოროსკოპებზე დაფუძნებული წინასწარმეტყველებები და სხვა გათვლილია შესაბამისი ნიგნიერების დონის მოსახლეობაზე. საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილისთვის განსხვავებული „პაკეტები“ მზადდება სამეცნიერო ციტატებით დახუნძლული „ექსპერტული“ სტატიების სახით.

საქართველოში დეზინფორმაციის გავრცელებაში ჩართულია სხვადასხვა ინტერნეტ გამოცემები, გასართობი პორტალები და რასაკვირველია, სოციალური მედია. სოციალური მედიის თავისებურებიდან გამომდინარე, მარტივია სხვადასხვა მესიჯის გავრცელება დადასტურების თუ წყაროს მითითების

გარეშე. მესიჯების გავრცელებაში აქტიურად არიან ჩართული ტროლები და ბოტები ინფორმაციის გააქტიურების თუ დივერსიფიკაციის მიზნით. ტროლინგისთვის და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოსახდენად ასევე გამოყენებულია სოციალური ქსელებისთვის დამახასიათებელი კომენტარების სისტემა.

რა შეიძლება დავასახელოთ რუსეთის პროპაგანდისტული დეზინფორმაციის გავრცელების თავისებურებად საქართველოში?

უპირველეს ყოვლისა, რუსეთის დეზინფორმაციის გასავრცელებლად ქართული მედია-საშუალებების გამოყენების მასშტაბი. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითის მიხედვით, რუსეთის პროპაგანდისტული მესიჯების გასავრცელებლად ძირითადად რუსეთის ფედერაციის მიერ პირდაპირ კონტროლირებადი მედია გამოიყენება: რუსული სატელევიზიო არხები, ინგლისურენოვანი „Russia Today“, მრავალენოვანი „სპუტნიკი“ და სოციალური ქსელები. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძირითადი აქცენტი რუსულენოვან მედიასა და სოციალურ ქსელებზე კეთდება, რუსულენოვანი მოსახლეობის და სხვა ერთგული ჯგუფების მობილიზაციისთვის (რომელთაც რუსეთის მაღალჩინოსნები „თანამემამულეებს“ უწოდებენ).

საქართველოს შემთხვევაში, ვერ ხდება „Russia Today“-ს გამოყენება (სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 1% სმენია მის შესახებ)¹. საქართველოში რუსი/რუსულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა მცირეა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, პოლიტიკურად ყველაზე ნეიტრალურ ჯგუფს წარმოადგენს. ასევე, ძალიან უმნიშვნელოა რუსული სოციალური ქსელების („ოდნოკლასნიკი“ და „ვ კონტაქტ“) გამოყენება და დაბალია რუსული ენის ცოდნის დონეც, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. რუსეთის არხების ყურებადობა კვლავ მაღალია, თუმცა ძირითადად გასართობი მიზნებისთვის. ასეთ კონტექსტში იცვლება

¹ Public Attitudes in Georgia. NDI Georgia. December 2017. p.76 https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December%202017_ISSUES_ENG_vf.pdf

მიზანიც (სამიზნე ხდება მთელი საზოგადოება) და მეთოდებიც.

ქართულენოვანი მედიიდან რუსეთის პროპაგანდის გავრცელებაში ყველაზე აქტიურად ჩართულია ბეჭდური „ყვითელი“ მედია და რამდენიმე ტელე-მედია საშუალება. სოციალური ქსელებიდან დეზინფორმაციის გავრცელება ძირითადად ფეისბუქით ხდება.

ამერიკული ფეისბუქის დეზინფორმაციის მთავარ მექანიზმად გამოყენება კონტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ფეისბუქის მოხმარების მასშტაბი უპრეცედენტოა საქართველოში და პროცენტულად აჭარბებს ყველა სხვა ქვეყნის მონაცემებს. საქართველოში ფეისბუქი გამოყენებულია ყველა შესაძლო მიზნისთვის: საკომუნიკაციოდ, ბიზნესის წარმოებისთვის, ინფორმაციის განსათავსებლად და მისაღებად, სასწავლო მიზნებისთვის... საქართველოში საჯარო და კერძო ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები, მედია და პოლიტიკური ლიდერები ფეისბუქს იყენებენ კომუნიკაციის მთავარ საშუალებად.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში რუსეთის დეზინფორმაციული ნარატივები არ არის „რუსული“ – არ ახდენს რუსული კულტურის, რუსული ენის, რუსული ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ნარატივები საფუძვლად იყენებს პოპულიზმით გაჯერებულ „ნამდვილ ქართულ“ ან საბჭოთა ქართულ ღირებულებებს, ისტორიულ სენტიმენტებს და კულტურულ თავისებურებებს. კოდური სიტყვებია: „პატრიოტიზმი“ „რწმენა“... **ისტორიული და რელიგიური სენტიმენტებით მანიპულაცია სხვა საზოგადოებებშიც ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, თუმცა საქართველოში დომინანტურ მიმართულებად იქცა.**

რუსეთის ბასრი ძალის ზემოქმედების განსახილველად ცალკე უნდა გამოვყოთ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი. საქართველოს სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციების თუ სამოქალაქო ჯგუფების მრავალგზის მცდელო-

ბის მიუხედავად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვერ მოხერხდა სახალხო დიპლომატიის მექანიზმების ამუშავება, კონტაქტების დამყარება და პირდაპირი დიალოგი. 2008 წლის ომის შემდეგ შეწყდა მანამდე არსებული თანამშრომლობის მწი-რი შესაძლებლობებიც და წვდომა შეეზღუდათ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. მავთულხლართებით გავლებული „ახალი რკინის ფარდის“ სხვადასხვა მხარეს მცხოვრებმა ადამიანებმა ბევრი არაფერი იციან ერთმანეთის პრობლემათა შესახებ.

ერთ-ერთი მედია, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია რკინის ფარდის ორივე მხარეს არის კრემლის მიერ დაფუძ-ნებული „სპუტნიკი“. სპუტნიკი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია სამი მაუწყებლობით: „სპუტნიკ გრუზია“, „სპუტნიკ აზხაზია“, „სპუტნიკ ოსეთია“.

„სპუტნიკ გრუზია“ ვებ-პორტალია, სადაც ინფორმაცია გან-თავსებულია ქართულ და რუსულ ენებზე. ვებ-გვერდი შედგება რამდენიმე განყოფილებისგან: ინფორმაცია, საქართველო, რუ-სეთი, კავკასია, პოზიტივი, სპორტი, მულტიმედია, ანალიტიკა. „სპუტნიკ აზხაზია“ ოპერირებს რუსულ და აფხაზურ ენებზე. წარმოდგენილია რამდენიმე განყოფილება: აფხაზეთი, რეპა-ტრიაცია, ანალიტიკა, ტურიზმი აფხაზეთში, რადიო სპუტნიკი, მულტიმედია, პრეს-ცენტრი. „სპუტნიკ ოსეთია“ ფუნქციონი-რებს რუსულ და ოსურ ენებზე და დაყოფილია ორ ნაწილად – სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი. ქვეგანყოფილებები წარ-მოდგენილია შემდეგი სათაურებით: ინფორმაცია, ანალიტიკა, სპორტი, პრეს-ცენტრი, მულტიმედია, რადიო სპუტნიკი.

სპუტნიკის ვებგვერდების მხოლოდ სათაურების დონეზე განხილვაც კი გვიქმნის ნათელ წარმოდგენას რუსეთის ინ-ტერესების შესახებ: სპუტნიკი არ აღიარებს საქართველოს სა-ხელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს, ხოლო სამხრეთ ოსეთს და ჩრდილოეთ ოსეთს ერთიან სივრცედ გა-ნიხილავს... სპუტნიკი ქმნის ილუზიას, რომ სსრკ არ დანგრეუ-ლა და ქართველები, აფხაზები, ოსები და სხვა ხალხები კვლავ თანაცხოვრობენ ერთიანი რუსული სივრცის ქვეშ.

ვებგვერდების შინაარსობრივ განხილვას თუ შევეცდებით, თვალში მოგვხვდება გარკვეული საერთო იდეოლოგიური საფუძვლები სამივე გვერდის შემთხვევაში: სახელმწიფოს ცნება და სახელმწიფო პატრიოტიზმი ჩანაცვლებულია ეთნიკური ჯგუფის კულტურული სიამაყით; აქცენტი კეთდება ისტორიულ წარსულზე და არა მომავალზე; კულტურული იზოლაცია განიხილება იდენტობის შენარჩუნების და არასტაბილურ გლობალიზებულ სამყაროში გადარჩენის მთავარ მექანიზმად...

სპუტნიკის ვებგვერდების გასართობი ქვე-გვერდები საგანგებო განხილვის საგანია. მაგალითად, ჰოროსკოპების ნაწილი გვთავაზობს ტრადიციულ ასტროლოგიურ კომპილაციას, მაგრამ პროგნოზზე პასუხისმგებელი ასტროლოგი დროგამოშვებით ავრცელებს „ასტროლოგიურ გაფრთხილებებს“ რუსულ სივრცეში დაბრუნების სიკეთეების შესახებ ან თურქეთის მხრიდან მოსალოდნელ აგრესიაზე პლანეტათა განლაგების მიხედვით... სპუტნიკის გასართობი ნაწილები ასევე უხვად იყენებს ფსიქოლოგიურ ტესტებს და ონ-ლაინ ქვიზებს, რაც კარგი საშუალებაა მომხმარებელთა პირადი ინფორმაციის შესაგროვებლად.

რაც შეეხება სპუტნიკის ტექნიკას, ის ძალიან ჰგავს პროპაგანდის 40/60 ზემოთ აღწერილ მეთოდს. მანიპულაცია შეიმჩნევა არა იმდენად ინფორმაციის შინაარსთან, არამედ ინფორმაციის შერჩევასთან მიმართებით. ინფორმაციის ნაწილი დიდწილად იმეორებს სხვა მედიებში გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციას და მხოლოდ გარკვეული პერიოდული გვხვდება განსხვავებული შინაარსი – რუსეთის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების თუ სამოქალაქო ჯგუფების საქმიანობის აღწერა და პოპულარიზაცია. ვებგვერდზე პროპაგანდისტული და ანტისახელმწიფოებრივი მესიჯების სიუხვით გამოირჩევა ინფორმაციაზე დართული „ექსპერტული“ ანალიზი და კომენტარები. ასევე აღსანიშნავია, რომ ბექდური ყვითელი მედიისგან განსხვავებით, სპუტნიკი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს „სერიოზული მედიის“ იმიჯს.

სპუტნიკის ვებგვერდს არ ჰყავს ბევრი მომხმარებელი საქართველოში, თუმცა მისი სტატიების დიდი ნაწილი ვრცელდება და ზიარდება სოციალური მედით რაც ართულებს დეზინფორმაციის მიმღები ჯგუფების რაოდენობრივ დათვლას. შესაბამისად, სპუტნიკის მესიჯების საზოგადოებაში გავრცელების მასშტაბი დიდია მიუხედავად იმისა, რომ სპუტნიკი არ სახელდება პოპულარულ მედიად სოციოლოგიური კვლევების დროს.

როგორია რუსეთის დეზინფორმაციის მიზნები საქართველოში?

საქართველოში რუსეთის დეზინფორმაციის მიზნები ერთის მხრივ მსგავსია დეზინფორმაციის ზოგადი მიზნებისა (ღირებულებების გაბუნდოვანება და ღირებულებითი ქაოსი, ტყუილ-მართალს შორის ზღვარის ნაშლა, ყველასა და ყველაფრის მიმართ ნდობის დაკარგვა, სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია...), მეორეს მხრივ, შესაძლოა გამოვყოთ კონკრეტული, ლოკალური მიზნები.

მაგალითად, ანტიდასავლური პროპაგანდა მიზნად ისახავს არა მხოლოდ დასავლური რბილი ძალის დისკრედიტაციას, არამედ პროდასავლური პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორის, ლიბერალური დემოკრატიის და ზოგადად, მოდერნიზაციის იდეის განქიქებას. სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან შედარებით საქართველომ მიაღწია გარკვეულ წარმატებას დასავლური ტიპის ინსტიტუციურ რეფორმებში. ჩატარებული რეფორმების მუდმივი დისკრედიტაცია განაპირობებს მომავალი რეფორმების წარუმატებლობას. ბასრი ძალის მესიჯები მიმართულია ცივილიზაციური პროგრესის წინააღმდეგ და მოსახლეობას არწმუნებს შუასაუკუნეობრივი, პრემოდერნული ცხოვრების უპირატესობაში. საბჭოთა ნოსტალგია ხელს უწყობს პიროვნების კულტის აღორძინებას („ძლიერი ხელის“ მოთხოვნილება), რაც ხელს უშლის საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს იდეის ჩამოყალიბებას და მის ევროპულ მომავალს. „გლობალიზაციით დაშინება“

ქართულ საზოგადოებას უბიძგებს თავი აარიდოს საერთაშორისო ჩართულობასა და პარტნიორობთან ურთიერთობების განმტკიცებას. ულტრანაციონალისტური პოპულიზმით ხდება ქართული ნაციონალიზმის (რომელიც ცნობილი იყო თავისი შეუპოვარი ბრძოლით სუვერენიტეტის მოსაპოვებლად რუსეთის იმპერიის თუ საბჭოთა პერიოდში) სამიზნის ცვლილება და მისი დასავლეთის რბილი ძალის წინააღმდეგ მიმართვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნის გაერთიანებით კიდევ ერთხელ გვექმნება წარმოდგენა რუსეთის მთავარ მიზნებზე საქართველოში: ევროინტეგრაციის პროცესის შეწყვეტა ან გადავადება; დემოკრატიზაციის პროცესის ჩავარდნა; საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ გადაქცევა.

განსაკუთრებულ მიზნებს ისახავს ანტითურქული მოწოდებები. ტერმინი – „თურქეთი ოკუპანტია“ დამკვიდრებით ხდება რუსული ოკუპაციის გადაფარვა ან მინიმუმ რუსეთის და თურქეთის გაიგივება. „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენის შესახებ ილუზიების შექმნით ხდება საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიების რეინტეგრაციისთვის ბრძოლის ხელის შეშლა, და სხვა..

რუსეთის ანტიქართული დეზინფორმაციის სამიზნე არ არის მხოლოდ ქართული საზოგადოება. ქართული სახელმწიფოს და ქართული საზოგადოების სიმყიფეს რუსეთი ხშირად იყენებს საერთაშორისო ასპარეზზე (უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის ქვეყნების წინაშე) იმის წარმოსაჩენად, რომ ქართული საზოგადოება „ტომობრივია“ და განვითარებული სამყაროს ინტერესებს არ შეესაბამება საქართველოს ევროინტეგრაცია. რუსეთი „გულმონყალებს თანხმდება“ თავად აიღოს პასუხისმგებლობა „ტომობრივ მეზობლებზე“, რომლებიც კანონის ნაცვლად ადათებს ეყრდნობიან, სახელმწიფო ინსტიტუტებს კი „თამადის ინსტიტუტით“ ანაცვლებენ.¹

¹ ნაის შეფასებით, 2008 წელს რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ მოახერხა ხისტი ძალით მიღწეული წარმატების რბილი ძალით ლეგიტიმაცია საერთაშორისო ასპარეზზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასრი ზეგავლენის (თუ მისი ერთი კომპონენტის – დეზინფორმაციის გავრცელების) შედეგების გაზომვა რთულია. **რა კრიტერიუმებით უნდა გავზომოთ რუსეთის ბასრი ძალის ზეგავლენა საქართველოში?** რა უნდა ჩავთვალოთ ინდიკატორად?

CRRC, NDI და სხვა სოციოლოგიური კვლევითი ცენტრების მონაცემებზე დაყრდნობით, ქვეყანაში ევროინტეგრაციის მომხრეთა რიცხვი მზარდია, თუმცა იმავედროულად იზრდება ევრაზიულ კავშირში განევრიანების, ნეიტრალიტეტის და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მსურველთა რიცხვი. სხვა სტატისტიკურ მონაცემთაგან ასევე ყურადსაღებია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაცია აღარ სახელდება ქვეყნის მთავარ გამონწვევად, ხოლო რუსეთი და თურქეთი თანაბრად სახელდება ოკუპანტ ქვეყნად.

ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგებით რესპოდენტთა 41-55 % (რეგიონის მიხედვით) მიიჩნევენ, რომ რუსეთი აშშ-ზე ძლიერი სახელმწიფოა.¹ მსგავსი მონაცემი დიდი ალბათობით გამოხატავს ერთის მხრივ უცოდინარობას, მეორეს მხრივ კი ბასრი ძალის გააქტიურების ნათელი მაგალითია და მისი შედეგების გაზომვის ინდიკატორად გამოდგება.

ბასრი ძალის ზემოქმედების ინდიკატორად უნდა მივიჩნიოთ დეკლარირებულად პრორუსული პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ საპარლამენტო წარმატება 2016 წელს, რაც სრულიად ახალი რეალობაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. სამომავლოდ მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება ამ პარტიის რეიტინგის ცვლილება (ზრდა ან კლება).

ზე (იხ. Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011. p.99). რუსეთის დეზინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ რეგიონის ქვეყნებსა თუ საერთაშორისო ასპარეზზე ცალკე კვლევის საგანია. მნიშვნელოვანია გაკეთდეს ანალიზი, რა შეიცვალა ამ მიმართულებით 2013 წლის შემდეგ, როდესაც განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის დეზინფორმაციული მანქანა.

¹ Public Attitudes in Georgia. NDI Georgia. December 2017.p.64 https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December%202017_ISSUES_ENG_vf.pdf

ასევე ბასრი ზეგავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის ფობიებზე დაფუძნებული კონფლიქტების რაოდენობის ზრდა. არატოლერანტულობა უმცირესობების მიმართ არასდროს ყოფილა ქართული იდენტობის საფუძველი.

მნიშვნელოვანია დეზინფორმაციის მზარდი გავლენა ახალგაზრდა თაობაზე. ჩვენს მიერ სამი წლის მანძილზე ჩატარებულმა ინტერვიუებმა სტუდენტურ ფოკუს-ჯგუფებთან და ასევე, სხვა უფრო მასშტაბურმა კვლევებმაც აჩვენა, რომ ახალგაზრდებს სჯერათ დეზინფორმაციული გზავნილების და არ ფლობენ ინფორმაციას დეზინფორმაციისა თუ პროპაგანდის მეთოდების შესახებ.

რუსული ბასრი ძალის პარალელურად, საქართველოში მუშაობს აშშ და ევროკავშირის რბილი ძალის მექანიზმები. თუმცა ზოგიერთი რეგიონი (რაიონები ინტერნეტის და სხვა მედია საშუალებების შეზღუდული წვდომით, სახელმწიფო ენის არ მცოდნე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონები, ოკუპირებული და მისი მიმდებარე ტერიტორიები) უმეტესად ბასრი ძალის გავრცელების არეალია. აქ ვერ აღწევს ვერც ქართული სახელმწიფოს ოფიციალური ნარატივი (მაგალითად, ევროინტეგრაციის სახელმწიფო კურსის შესახებ) და ვერც ევროკავშირის რბილი ძალა, რომელიც ძირითადად ინსტიტუტების განვითარებაზე, რეფორმებზე, საგანმანათლებლო პროგრამებზეა ორიენტირებული. სახეზეა ასიმეტრიული ზეგავლენა რუსეთის ბასრი ძალის სასარგებლოდ.

ქართულ საზოგადოებაზე დასავლური რბილი და რუსეთის ბასრი ძალების ერთობლივი ზემოქმედება იწვევს ღირებულებათა კონფლიქტს და ელიტათა შორის დაპირისპირებას. პოზიტიურ მშვიდობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა შეუძლებელი ხდება ანმყოში და ახლო მომავალში.

ჩვენი აზრით, რუსეთის ბასრი ზეგავლენის შესაფასებლად მნიშვნელოვანი ინდიკატორია სტრატეგიული პროექტების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება. ამის საუკეთესო

მაგალითია საზოგადოების გულგრილობა ანაკლიის პროექტის მიმართ და მისი წარმოჩენა ვინრო ჯგუფის პოლიტიკურ ინტერესად ნაცვლად საერთო სახალხო და სახელმწიფოებრივი ინტერესისა.

რა შეიძლება დასახელდეს მთავარ პრობლემებად საქართველოში ბასრი ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში?

საქართველოში არ ხდება ბასრი ძალის კომპლექსური ანალიზი და ბასრი ზეგავლენის განხილვა ძირითადად დეზინფორმაციული ფაქტჩეკინგით შემოიფარგლება (ამ საქმიანობითაც ძირითადად არასამთავრობო სექტორი და ერთეული მკვლევარები არიან დაკავებული). სამოქალაქო საზოგადოების დიდი ძალისხმევის (რუსეთიდან დაფინანსებული მედიის იდენტიფიკაცია, გავრცელებული მითების ფაქტჩეკინგი, ტრენინგები მედიანტიგნიერების საკითხებზე ჟურნალისტებისა და ახალგაზრდებისთვის, ეროვნული თუ საერთაშორისო ფორუმები ბასრი ძალის გამოწვევების შესახებ...) მიუხედავად, შედეგი ამ მიმართულებითაც მოკრძალებულია რამდენიმე მიზეზის გამო: 1. ერთის მხრივ, სახეზეა რუსეთის ბასრი ძალის შედეგი – დემონიზებულია არასამთავრობო სექტორი, მეორეს მხრივ კი „გაფრენილ სიტყვას ვერ დაენევი“ – კონკრეტული „ფეიქი“ რამდენიმე საათში ახდენს ემოციურ ზემოქმედებას, არასამთავრობოთა ანგარიშებში მოცემული ფაქტჩეკინგი კი დაგვიანებული, კომპლექსური, და ექსპერტულია. შესაბამისად, რთულად წასაკითხ-გასაგებ ანგარიშებს ცოტა ჰყავს მკითხველი საზოგადოებაში. გარდა ამისა, მსგავსი ორგანიზაციების რესურსი (როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური) შეზღუდულია. შესაბამისად, მათი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში არასტაბილურია. 2. მედიანტიგნიერების დაბალი დონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მთლიანად საზოგადოებაში. 3. რუსეთის ბასრი ძალის თუ ზოგადად, ძალის დიფუზიით გამოწვეული საფრთხეების არაკომპლექსური და არააკადემიური კვლევა.

ახლო მომავალში უნდა ვივარაუდოთ რუსეთის ბასრი ძალის ინტენსივობის კლება თუ მატება? საერთაშორისო

გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ბასრი ძალა ინტენსიური ხდება პოლიტიკურად მნიშვნელოვან პერიოდებში. საარჩევნო პერიოდის მოახლოება უდავოდ უნდა განვიხილოთ ინტენსიფიკაციის საფრთხედ. გარდა სხვა ფაქტორებისა, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმული პარტიები ვერ უძლებენ ცდუნებას გამოიყენონ რუსეთის დეზინფორმაციული მესიჯები საკუთარი პოლიტიკური დივიდენდებისთვის. 2019 წელს ფეისბუქის გამოძიების შედეგად საქართველოსთან აფილირებული სამასზე მეტი დეზინფორმაციული ფეისბუქ-გვერდის დაბლოკვა და მათი კავშირები პოლიტიკურ პარტიებთან ამ პრობლემის ნათელი მაგალითია.

რა უნდა გაკეთდეს დეზინფორმაციისგან საზოგადოების დასაცავად? საინფორმაციო საშუალებების დაბლოკვა ქმნის „დემოკრატიულ დილემას“ და ამიტომაც მკაცრი მედია-რეგულაციები არასასურველად მიგვაჩნია. თუმცა აუცილებელია გარკვეული მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება ამ მიმართულებით ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ დადგეს თავად სიტყვის თავისუფლების იდეა.

უფრო სიღრმისეულად თუ ვიმსჯელებთ, გამოსავალი ერთადერთია: პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი მენტალიტეტის ცვლილება მასობრივი და რადიკალური რეფორმებით. ამგვარი მასშტაბური პროცესებისთვის არც პოლიტიკური ელიტებია მზად და არც საზოგადოების მიმღებლობაა მაღალი.

სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის ფუნდამენტს წარმოადგენს ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფის კონსენსუსი შემდეგ თემებზე: რა არის სახელმწიფოს მთავარი ინტერესი? რა არის მთავარი გამონვევა? ვინ არის მტერი? **ძალის დიფუზიაზე დაფუძნებულ პოსტმოდერნულ სამყაროში, სადაც მეტანარატივები ჩანაცვლა მრავალთა ნარატივებმა და პოსტ-ნარატივებმა, მტერი ხშირად მესიჯია და არა ჯარისკაცი.** უნდა შედგეს შიდა პოლიტიკური კონსენსუსი სახელმწიფოს ინტერესებთან მიმართებაში. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს დემოკრატიის მარტივი ანაბანა: შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ თუ მომხრეობამ

არ უნდა დააზარალოს სახელმწიფო ინტერესი. სახელმწიფოს მშენებლობის ფუნდამენტურ საკითხებზე საზოგადოებრივი თანხმობა პოლიტიკური სისტემის რეალური ჩამოყალიბების საფუძველი გახდება.

ბიბლიოგრაფია:

1. Abdaladze Gvantsa. "Soft Insecurity"- Russian Soft Power in Georgia. Post-Soviet Studies. Vol. 1. #1, 2019. Sulkhan-Saba Orbeliani University Institute of Post-Soviet Studies.
2. Javakhishvili Darejan Jana. "The Soviet Legacy in Contemporary Georgia: A Psycho traumatological Perspective". Journal of Identity Studies in the Caucasus and the Black sea Region, # 5. 2014. <http://ojs.iliauni.edu.ge/index.php/identitystudies/article/view/196/130>
3. Joseph S. Nye, Jr. The Future of Power. Public Affairs. NY. 2011.

ანგარიშები და ვებგვერდები:

4. CRRC-ის მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდი. <https://caucasusbarometer.org/ge>
5. მედიის განვითარების ფონდი. კვლევა და ანგარიში. <http://www.mdfgeorgia.ge/geo/research>
6. ანტიდასავლური პროპაგანდა. მედია მონიტორინგის ანგარიში. 2016. მედიის განვითარების ფონდი. [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavluri-GEO-web_\(1\).pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/65/file/Antidasavluri-GEO-web_(1).pdf)
7. კრემლის გავლენის ინდექსი, 2017. მედიის განვითარების ფონდი. http://mdfgeorgia.ge/geo/view_research/5
8. ანტიდასავლური პროპაგანდა 2017. მედიის განვითარების ფონდი. 2018. http://mdfgeorgia.ge/uploads/library/89/file/anti-dasavluri_propaganda_2017 - GEO.pdf
9. ანტიდასავლური პროპაგანდა 2018. მედიის განვითარების ფონდი. 2019. <http://mdfgeorgia.ge/uploads/library/119/file/Anti-West-2018-GEO.pdf>
10. რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში. ევროპული ინიციატივა -ლიბერალური აკადემია თბილისი. 2016. <http://www.ei-lat.ge/images/doc/politikis%20dokumenti.pdf>
11. კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). პოლიტიკის დოკუმენტი. 22 აგვისტო, 2016.

- <https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Propaganda%20in%20Georgia%20-%20Policy%20Paper.PDF>
12. ანდლულაძე ანა. რუსული რბილი ძალა და სტრატეგიული კომუნიკაცია. გამოწვევები და რეკომენდაციები. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). პოლიტიკის დოკუმენტი. მაისი, 2017. <http://old.isfed.ge/main/1220/geo>
 13. ქართული ნეონაციზმის ანატომია. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 17 მაისი, 2018. <https://www.transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia>
 14. ქართული მარში. მითების დეტექტორი. <https://www.mythdetector.ge/ka/profile/kartuli-marshi>
 15. Library of NDI Georgia Public Opinion Research. NDI. 2019. <https://www.ndi.org/georgia-polls>
 16. Thornton Laura, Turmanidze Koba. Public attitudes in Georgia. Results of December 2017 survey carried out for NDI by CRRC Georgia https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_December%202017_ISSUES_ENG_vf.pdf
 17. Thornton Laura, Turmanidze Koba. Public attitudes in Georgia. Results of March 2018 survey carried out for NDI by CRRC Georgia https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_English_final.pdf
 18. Disinformation Resilience in Central and Eastern Europe. Edited by Andrei Yeliseyev, Volha Damarad. Kyiv. 2018. http://prismua.org/wp-content/uploads/2018/06/DRI_CEE_2018.pdf
 19. Putin's Asymmetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security. U.S. Senate. January 10, 2018. <https://www.foreign.senate.gov/imo/media/doc/FinalRR.pdf>
 20. სპუტნიკი საქართველო <https://sputnik-georgia.com>
 21. Sputnik Абхазия <http://sputnik-abkhazia.ru>
 22. Sputnik Осетия <http://sputnik-ossetia.ru>
 23. ქართული მარში/Georgian March. <https://www.facebook.com/QartuliMarshiGeorgianMarch>
 24. Русский Марш <http://rmarsh.info>

ონლაინ პუბლიკაციები:

25. კუპატაძე ბონდო. საქართველო და თურქეთი. ყარსის ხელშეკრულება – ისტორიული დოკუმენტი თუ საფრთხის შემცველი

- შეთანხმება? საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. 16 იანვარი, 2017. https://www.youtube.com/watch?v=TE1EnQK_g8U
26. კუპატაძე ბონდო. დისკუსია სტალინიზმზე. „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD)“. 6 ოქტომბერი, 2014 <https://www.youtube.com/watch?v=iWCVnBuAgGE>
 27. კუპატაძე ბონდო, ცუცქირიძე ლევან. 13 მითი სტალინის შესახებ. ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD) თბ. 2016. <http://13mythsaboutstalin.ge>
 28. კოპაღიშვილი ნინა. პატრიოტთა ალიანსის საარჩევნო გზებით: და მაინც, რატომ აუჯანყდა სატანა ლმერთს? NEWS.On.ge. 29 სექტემბერი. 2016. <https://on.ge/story/3971-პატრიოტთა-ალიანსი>
 29. მაჭარაშვილი თამუნა. განმეორებითი კონსპირაციები ყარსის ხელშეკრულების შესახებ. მითების დეტექტორი. 18 აპრილი, 2019. <https://www.mythdetector.ge/ka/myth/ganmeorebiti-konspiratsiebi-qarsis-khelshekrulebis-shesakheb>
 30. მენაბდე ლუკა. ქადაგებებში ჩადებული ნაღმები, „ნაკურთხი რუსული ბომბები“ და მესამე მსოფლიო ომი... Droni.ge. 11.09.2011. <https://www.droni.ge/?m=3&AID=4076>
 31. კიბოს მკურნალობა შეეჩვენოს მეთოდით – მხოლოდ ზეთი და არაყი. ოჯახის მკურნალი. 13.02.2015. <https://mkurnali.ge/onkologia/5750-kibos-mkurnaloba-shevchenkos-methodith-mkholid-zethi-da-arayi.html>
 32. „ერთადერი, რაც დღეს თურქეთს აჩერებს, რუსეთის ფაქტორია“ – მიხეილ ცაგარელი. საინფორმაციო სააგენტო „სივასი“. მაისი 4, 2017. <http://cyc.ge/ერთადერთი-რაც-დღეს-თურქ/>
 33. ცუცქირიძე ელენე. კონსპირაციები ადამიანების „მასობრივ დაჩიპვაზე“ რუსულ და ქართულ მედიასაშუალებებში. მითების დეტექტორი. 30 ოქტომბერი, 2017. <http://www.mythdetector.ge/ka/myth/konspiratsiebi-adamianebis-masobriv-dachipvaze-rusul-da-kartul-mediasashualebebshi>
 34. ბარაკ ობამას ცოლი – კაცია! შოკისმომგვრელი განცხადება. ნოემბერი 26, 2014. My Video. <https://www.myvideo.ge/v/2458579>
 35. კრემლის პროპაგანდისტები თბილისში მედიაფორუმს მართავენ – რა მესიჯებს აჟღერებს პუტინის წარმომადგენელი. საინფორმაციო სააგენტო „სივასი“. ივნისი 30, 2017. <http://cyc.ge/კრემლის-პროპაგანდისტები>
 36. Ali Braland. Facebook will let users see Russian content they've interacted with. The Hill.

- October 11, 2017. <http://thehill.com/business-a-lobbying/361557-facebook-will-let-users-see-russiancontent-theyve-interacted-with>
37. Datsivili Sophie. Viral photo with hash tag #TurkeyIsOurAnamy is Fake. Journalismania. April 16, 2018. <http://journalismania.blogspot.com/2018/04/viral-photo-with-hashtag.html>
38. Sputnik protests arrest of Turkish editor in Istanbul. The Arab Weekly. 01/03/2020. <https://theArabweekly.com/sputnik-protests-arrest-turkish-editor-istanbul>
39. Sputnik ends operations in Estonia. ERR. 01.01.2020. <https://news.err.ee/1019231/sputnik-ends-operations-in-estonia>
40. David E. Sanger, Marv Santora. U.S. and Allies Blame Russia for Cyberattack on Republic of Georgia. The New York Times. Feb.20, 2020. <https://www.nytimes.com/2020/02/20/world/europe/georgia-cyberattack-russia.html>

2.2. რუსეთის დეზინფორმაციული ომი უკრაინაში

ოლექსანდრა ცეხანოვსკა, გვანცა აბდალაძე

უკრაინაში რუსეთის დეზინფორმაციული მესიჯები სხვადასხვა ტიპის საკომუნიკაციო საშუალებებით ვრცელდება. ბასრი პროპაგანდის კვალი განსაკუთრებით შესამჩნევია რუსულენოვან მედია-მაუწყებლობაში, რუსეთის მედიასთან დაკავშირებულ უკრაინულ მედია-საშუალებებში და სოციალურ მედიაში.

უკრაინაში რუსეთის ბასრი ზემოქმედების უკეთ გასააზრებლად, მნიშვნელოვანია უკრაინის მედია-სივრცის მოკლე ანალიზი. „ევრაზიის მონიტორის“ და სხვა კვლევების მიხედვით, უკრაინელების 99 % ფლობს რუსული ენას, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის რუსეთის ბასრი ძალის გამოყენებისთვის. სხვადასხვა კვლევების თანახმად, უკრაინის მოსახლეობის

74%-სთვის ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ კვლავ ტელევიზია რჩება, თუმცა ადგილობრივი ტელემაუწყებლობის მიმართ ნდობა დაბალია. 2019 წლის სოციოლოგიური გამოკითხვებით, უკრაინის მოსახლეობის 5%-დან-13 %-მდე დღემდე იყენებს რუსულ საინფორმაციო წყაროებს ინფორმაციის მისაღებად. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო 2014 წელს, ყირიმის, დონეცკის და ლუჰანსკის რეგიონების ოკუპაციამდე. ყირიმის ომის წინა პერიოდის (2014 წ.) მონაცემებით, მოსახლეობის 45,4 % არ ენდობოდა უკრაინულ ტელევიზიებს. ეს მაჩვენებელი უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში (დონბასში) 68,3%-ს აღწევდა. აღნიშნულ მონაცემებს თუ დავაკავშირებთ მედიანიგნიერების დაბალ ხარისხთან უკრაინაში, ცხადი გახდება რუსეთის დეზინფორმაცია-პროპაგანდის მიმართ მოწყვლადი მოსახლეობის რაოდენობა.¹

რუსეთისგან განსხვავებით, სადაც მედია-სივრცე უმეტესად ცენტრალიზებულად იმართება, უკრაინაში მედია ჰორიზონტალურად ფრაგმენტირებულია. მედია-საშუალებებს ფლობენ ოლიგარქები საკუთარი პოლიტიკური თუ კლანური ინტერესების პოპულარიზაციისთვის. მათი გარკვეული ნაწილი ცნობილია თავისი კავშირებით რუსეთის მთავრობასთან. მაგალითად, გაცხადებული პრორუსული ოპოზიციური დაჯგუფების – „უკრაინული არჩევანის“ ლიდერის ვიქტორ მედვედჩუკის სახელი დაკავშირებულია 3 უკრაინულ მედია-საშუალებასთან: ეროვნული ტელე-მედია „ZIK“; კერძო ტელეკომპანია „უკრაინა 112“ (112 Ukraine); ონლაინ საინფორმაციო სააგენტო „ნიუზონა“ (NEWSONE). მედვედჩუკი ვლადიმერ პუტინის პირადი მეგობარია (დაკავშირებული ნათელ-მირონო-ბით) და აქტიურად ეწინააღმდეგება უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას. დასახელებული მედია-საშუალებები აქტიურად ეწევიან მედვედჩუკის იდეების პროპაგანდას და რუსეთის

¹ https://detector.media/doc/images/news/archive/2016/164308/AReport_Media_Feb2019_v2.pdf Survey by KIIS for Detector of media , March 2018

ბასრი მესიჯების გავრცელებას. ამ სამი მედია-საშუალების ჯამური რეიტინგი კი 50 %-ს აჭარბებს (20.9%; 14.6%; 14.4%).

უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მედია „1+1“ დაკავშირებულია ოლიგარქ იგორ კოლომოისკისთან. მედ-ვედრუკისგან განსხვავებით, მისი პოლიტიკური პროგრამა არ არის ღიად პრორუსული. თუმცა კოლომოისკი მედიას იყენებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის და პოლიტიკურ ოპონენტებთან საბრძოლველად ხშირად იმეორებს რუსეთის ბასრი ძალის არგუმენტებს.

რუსეთის მედია-სივრცის ცენტრალიზაცია ამარტივებს რუსეთის ბასრი პროპაგანდის კოორდინირებულ გამოყენებას. უკრაინის მედია-სივრცის დეცენტრალიზაცია კი (რაც ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს) უკრაინაში ქმნის ერთგვარ ქაოსს და ზრდის ეროვნული მედია-საშუალებების მიმართ მოსახლეობის უნდობლობას. არსებული მდგომარეობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის მედია-სივრცეში (შესაბამისად, საზოგადოებაში) რუსეთის პროპაგანდის გასავრცელებლად.

უკრაინის მედია-კვლევების ცენტრის თანახმად, რუსეთის ბასრი ძალის მიერ გავრცელებულ მესიჯებში გამოყენებულია დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავრცელების ყველა შესაძლო ტექნიკა: მანიპულაცია კონტენტზე, მანიპულაცია კონტექსტზე, გამოგონილი კონტექსტი, გამოგონილი ფაქტები, სრული ფეიქები...

პროპაგანდისტული ნარატივები შესაძლოა დაჯგუფდეს შემდეგნაირად: უკრაინაში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი (და არა ოკუპაცია რუსეთის მხრიდან); უკრაინა – არშემდგარი სახელმწიფოა, რომელიც თავს ვერ ართმევს შიდა პოლიტიკურ პრობლემებს; რუსეთი ეხმარება ომში გახვეული რეგიონების მოსახლეობას გადარჩენასა და თვითგამორკვევაში; უკრაინა დასავლეთის მარიონეტია (აშშ, ევროკავშირი...); ფაშისტები და რადიკალები ანგრევენ უკრაინას; უკრაინის მოსახლეობაში

გალვივდა რუსოფობია; უკრაინის მოსახლეობას მოუწოდებენ მართლმადიდებლობასთან ბრძოლისკენ და სხვ.

ნარატივის თითოეული ჯგუფი თავის მხრივ მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ მესიჯებს, რომელიც ცვალებადია დროისა და კონტექსტის მიხედვით. მაგალითად, ტერმინი „რუსოფობია“ რუსეთის მედიამ და რუსმა პოლიტიკოსებმა დაამკვიდრეს 2014 წლის სამხედრო კამპანიის შემდეგ კრემლის აგრესიაზე დასავლური კრიტიკის საპასუხოდ. ნარატივი შედგება შემდეგი დომინანტური მესიჯებისგან: უკრაინა აწარმოებს „ბინძურ თამაშს“ რუსეთის წინააღმდეგ (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ); უკრაინა შლის საერთო წარსულს და ისტორიას რუსეთთან; უკრაინელი რადიკალები თავს ესხმიან ყველაფერს, რაც რუსულია (მათ შორის, რუსულ კულტურას); უკრაინა დაადგა მედია-ცენზურის გზას (უკრაინაში რუსეთის არხების და სოციალური მედიის დაბლოკვა განხილულია არა როგორც დეზინფორმაციისგან თავდაცვის გადარწმუნებლობა, არამედ, როგორც ცენზურის დამკვიდრება და საზოგადოებაში ანტირუსული განწყობის შექმნის მცდელობა); უკრაინა ქმნის ანტი-რუსული განათლების სისტემას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ დეზინფორმაციის გავრცელების პროცესში აღინიშნება პროპაგანდის ადაპტაციის უნარი – მესიჯები და იარაღები ცვალებადია სიტუაციის მიხედვით, მორგებულია პოლიტიკურ კონტექსტს და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. მაგალითად, 2019 წლის აპრილში უკრაინაში ძალაში შევიდა ენის კანონი რომელიც იცავს უკრაინული ენის, როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფო ენის სტატუსს. კანონის მიხედვით, სახელმწიფო მოხელეებს და სერვისის სფეროს წარმომადგენლებს (მედიცინის მუშაკები და სხვ.) მოეთხოვებათ უკრაინულ ენაზეც შეძლონ საქმის წარმოება. კანონის სრულად ამოქმედებისთვის გათვალისწინებულია 3 წლიანი პერიოდი კანონის ძალაში შესვლიდან. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო უკრაინული კურსების ფუნქციონირებას.

უკრაინაში ენის ახალ კანონზე დისკუსიის დაწყებისთანავე გამოჩნდა ტერმინები: „ენის ინსპექტორები“, „ენის ინკვიზიცია“... მიუხედავად იმისა, რომ ენის კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სანქციებს (და მით უმეტეს, არ აკონტროლებს საკომუნიკაციო საშუალებებს და არ უწევს დისკრიმინაციას უმცირესობების ენებს) რუსულმა პროპაგანდამ მიაღწია მიზანს – შეაშინა რუსულენოვანი მოსახლეობა.

უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებამ, უკრაინის ტერიტორიაზე დაებლოკა ზოგიერთი რუსული მედია-საშუალება და სოციალური ქსელი ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე, რუსეთის და პრორუსული მედიის განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია. გაჩნდა ახალი მესიჯები: „თავისუფალი სიტყვის“ ჩახშობა, მედია-ცენზურა... ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა მედვედჩუკის პოლიტიკური მოძრაობა და მასთან დაკავშირებული მედია-საშუალებები.

დღეს უკრაინაში დაბლოკილია რუსეთის 70-ზე მეტი მედია-საშუალება, 450 კომპანია და 1200 პერსონა. მათ შორის, რუსეთის ტელე-არხები, ვებ-გვერდები და სოციალური ქსელები (<https://www.kaspersky.com>; <https://mail.ru>; <https://vk.com>; <https://ok.ru> და სხვ.) მედია-საშუალებების უმეტესობა დაიბლოკა 2014 წელს, ყირიმის ომის დაწყების შემდეგ. 2014-დან 2017 წლამდე სია გაფართოვდა. (გადაწყვეტილება მიიღო უკრაინის ეროვნულმა უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ, ძალაში შევიდა პრეზიდენტის სპეციალური დეკრეტით (№ 133/2017) და აღასრულა უკრაინის ტელე-რადიო მაუწყებლობის საბჭომ).

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების (ტომოსის გადაცემა) პერიოდში გაჩნდა სრულიად ახალი ნარატივი, რომელმაც მალე დომინანტური ადგილი დაიკავა რუსეთის საინფორმაციო ომში – „ბრძოლა მართლმადიდებლობასთან“. რუსეთის მედია-სივრცეში დაიწყო ერთგვარი კამპანია „ანტი-ტომოსი“. რუსეთის საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრ-

ცელებული ნარატივები გაიმეორეს მედვედჩუკის ტელეარხებმა და სხვა უკრაინულმა მედიებმა.

საინფორმაციო ომის წარმოების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ფეიქების“ (ყალბი ინფორმაცია) ფენომენს. ფეიქის ერთ-ერთი მთავარი მიზანია შექმნას ისეთი ამბავი, რომელიც მარტივად მოახდენს ქვეყნის თუ საერთაშორისო საზოგადოებისემოციურ მანიპულირებას. ყალბი ნარატივის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია „ჯვარცმული ბიჭუნას“ ამბავი, რომელიც თავდაპირველად რუსეთის პირველმა არხმა გაავრცელა. პროპაგანდისტული ნარატივის მიხედვით, სლავიანსკიდან (დონეცკის ოლქი) დევნილებმა „გამოააშკარავეს“ თავზარდამცემი ამბავი: უკრაინის შეიარაღებული ძალების (AFU) ჯარისკაცებმა ჯვარზე გააკრეს 3 წლის ადგილობრივი მაცხოვრებელი ბიჭუნა. რასაკვირველია, აღნიშნული ფეიქის მიზანი იყო ნებისმიერი სოციალური ჯგუფისთვის ყველაზე მგრძობიარე თემით (ბავშვებზე ძალადობა) მანიპულირება და უკრაინის შეიარაღებული ძალების დისკრედიტაცია და დემონიზება.

დეზინფორმაციის გავრცელებაში უდაოდ განსაკუთრებული ადგილი უკავია ინტერნეტ-მედიას და სოციალურ ქსელებს. მათი ნაწილი ღიად არის დაკავშირებული რუსეთთან ან რუსეთის დაფინანსებითაა შექმნილი, მეორე ნაწილს კი ე. წ. „ჯანქ ექაუნთები“ წარმოადგენს. ინტერნეტთან დაკავშირებული მედიის შემთხვევაში განსაკუთრებით აქტიურდება ბოტების და ტროლების თემაც.

ღიად პრორუსული ან რუსეთის მიერ მხარდაჭერილი წყაროების ამოცნობა მარტივია რიტორიკით და ჯგუფების ადმინისტრატორების ლოკაციის განსაზღვრით. საკითხი უფრო რთული და კომპლექსურია იმ გვერდების მიმართ, რომლებიც შექმნილია უკრაინაში, მაგრამ ფარულად იმართება რუსეთიდან და აწარმოებს პარტიზანულ საქმიანობას ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ტიპის გვერდების გამოაშკარავებაში დიდი წვლილი შეიტანა თავად ფეისბუქის მიერ ჩატარებულ-

მა გამოძიებამ, რომლის მიხედვით დადასტურდა სხვადასხვა უკრაინული გვერდების და ექაუნთების კავშირები მოსკოვსა და პეტერბურგში განთავსებულ ორგანიზაციებთან. მათ შორის, პუტინის პარტნიორისა და ცნობილი რუსი ოლიგარქის ევგენი პრიგოჟინის პეტერბურგში განთავსებულ ინტერნეტის კვლევების სააგენტოსთან, რომლის სახელთან ბევრი საერთაშორისო სკანდალია დაკავშირებული.

პარტიზანულ ვებგვერდებზე ძირითადი აქცენტი გადატანილია ლოკალურ ამბებსა და ყოველდღიურ ყოფით ფაქტებზე უკრაინის რეგიონების მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად. გასართობი ამბებისა და ლოკალური ნიუსების გვერდით, დროდადრო ჩნდება პოლიტიკურად აქტიური კონტენტი ან ვრცელდება დეზინფორმაცია არასანდო წყაროებიდან (მათ შორის, dumpster-ის გამოყენებით). ამასთან, მსგავსი გვერდები მოიპოვებენ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს ონლაინ ტესტების, ქვიზების და სხვა მსგავსი ცნობილი საშუალებებით. (2016 წლის აშშ საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითმა დაადასტურა, რომ პერსონალური მონაცემების ბაზები ეფექტურად გამოიყენება საარჩევნო პერიოდებში სამიზნე ჯგუფების შესაქმნელად და მათზე ზეგავლენის განსახორციელებლად).

ცალკეა აღსანიშნავი „ჯანქ“ ვებ-გვერდების გამოყენება კრემლის დეზინფორმაციის გასავრცელებლად. იქმნება მსგავსი გვერდების მთელი ეკოსისტემა, სადაც ვრცელდება ბულვარული ინფორმაცია და სრული ფეიქები. სამწუხაროა, რომ ამ ტიპის გვერდების ვიზიტორთა რაოდენობა 50 მლნ. აღწევს ყოველთვიურად. ინფორმაციის გააქტიურება ხდება სოციალური ქსელებით გაზიარების მეთოდით.

ინტერნეტ-მედიის მასშტაბები ვერ იქნებოდა ასეთი შთამბეჭდავი ბოტების და ტროლების საქმიანობის გარეშე. მათი ძირითადი ფუნქციაა კონკრეტული მესიჯის გააქტიურების და ცირკულაციის ხელშეწყობა. ანალიტიკური კვლევების ორგანიზაცია „ვოქს უკრაინამ“ (VoxUkraine) 8 წლის მანძილზე 1369

ტროლ-ექაუნთის მიერ მართული 774 957 თვითის იდენტიფიცირება მოახდინა.

კვლევის მიხედვით, „ტროლების ქარხნის“ აქტიურობის პიკი ემთხვევა მაღაზიური ავიახაზების MH17 რეისის ტრაგედიის პერიოდს (2014 წლის ივლისი). ნარატივის ძირითადი მესიჯები პასუხისმგებლობას უკრაინას აკისრებს რუსეთის ნაცვლად. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, 6 200 ჰეშთეგით გავრცელდა სხვადასხვა ტიპის შეთქმულების თეორია და კომპილაციური „ფოტო-მტკიცებულება“. ამ და სხვა მრავალ შემთხვევაში გამოყენებულია დეზინფორმაციის ეფექტური მეთოდი: **მედიის გაჯერება ურთიერთსაწინააღმდეგო მესიჯებით**. მაგალითად, ავია-კატასტროფის ნარატივში ვრცელდებოდა სხვადასხვა ვერსიები (უკრაინის მთავრობამ ჩამოაგდო თვითმფრინავი მიზანმიმართულად; უკრაინის მთავრობამ ჩამოაგდო თვითმფრინავი შეცდომით, რადგან პუტინის პირადი ჯეტი ეგონა...); „მტკიცებულებების“ აღწერისას ხდებოდა სხვადასხვა ტიპის იარაღის „იდენტიფიცირება“, შეთქმულების თეორიები ხშირად ურთიერთგამომრიცხავი იყო...

მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა სკრიპალის საქმესთან დაკავშირებითაც. რუსეთის მედია ავრცელებდა ურთიერთგამომრიცხავ აღწერებს თავდასხმის სახის თუ დამბლის გამომწვევი საწინააღმდეგო სახეობასთან დაკავშირებით... შეთქმულების თეორიათა ერთი ვერსიის მიხედვით, სკრიპალის მკვლელობა განახორციელა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ბრექსიტის პრობლემებიდან ყურადღების სხვა საკითხზე გადასატანად ...

ნარატივის „უკრაინა დასავლეთის მარიონეტი“ დასამკვიდრებლად ხშირად ხდება ხაზგასმა, რომ უკრაინა იღებს მუდმივ დახმარებას დასავლეთისგან, რაც „ნიშნავს“ რომ იღებს სამხედრო დახმარებასაც, რაც „ნიშნავს“ რომ დასავლეთი ხელს უწყობს ქვეყნის „სამოქალაქო ომში“ ჩათრევას და საზოგადოებაში „რუსოფობიის“ დანერგვას, უკრაინის „პარტნიორი“ რუსეთისგან ჩამოშორებას. მესიჯების მეორე ჯგუფის თანახმად, უკრაინის მთავრობის იმედი ომში გამარ-

ჯგუბის შესახებ ილუზიაა, რადგან უკრაინა ვერასოდეს მიიღებს დასავლეთისგან ევრო-სტრუქტურებში განწევრიანების რეალურ შეთავაზებას თუ პირდაპირ სამხედრო დახმარებას...

დეზინფორმაციული მესიჯების ურთიერთსაპირისპირო შინაარსი და გავრცელების პროცესის ქაოტურობა არ არის შემთხვევითი ან დეზინფორმაციის გამავრცელებელთა მიერ დაშვებული შეცდომა. აღნიშნული ტენდენცია დეზინფორმაციის გავრცელების კარგად გააზრებული ტექნიკაა და მისი მიზანია ინფორმაციული ქაოსის შექმნა, საზოგადოების დაბნევა, ნდობის დაკარგვა ყველა ტიპის ინფორმაციის მიმართ (მათ შორის, პროფესიონალური მედიის მიმართ, რომელიც ინტერნეტ-მედიისგან განსხვავებით ეყრდნობა ჟურნალისტიკის სტანდარტებს და ეთიკას)... **საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვა ყველასა და ყველაფრის მიმართ ასუსტებს კრიტიკული აზროვნების უნარს და ზრდის საზოგადოების მიმღებლობას საგარეო ჩარევების მიმართ.**

დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი არა მხოლოდ საზოგადოების დემორალიზაცია, არამედ რეალური პოლიტიკური ქმედებებისთვის საფუძვლის შემზადებაა. რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის გარდა ყოველდღიურად იზრდება უკრაინის საშინაო პოლიტიკაში ჩარევის პრეცედენტები რუსეთის მხრიდან.

მაგალითად, უკრაინაში რუსული ჰიბრიდული ომის მთავარმა არქიტექტორმა ვლადისლავ სურკოვმა 2014-2015 წლებში წარმოადგინა „ნოვოროსიის“ პროექტი, რომლის მიხედვით, ოკუპირებული დონეცკის და ლუჰანსკის გარდა რუსეთმა უნდა გააკონტროლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის სხვა ტერიტორიებიც.

უკრაინის სხვადასხვა რეგიონებში ხდება ფედერალიზმის იდეის გააქტიურება და რუსეთის მხრიდან სხვადასხვა ტიპის საპროტესტო მოძრაობების შექმნა-ნახალისება. მაგალითად, ოდესაში სეპარატისტული ჯგუფი „პორტო-ფრანკო“ ითხოვს ოდესისთვის სპეციალური ეკონომიკური ზონის სტატუსის

მინიჭებას. ზაპოროჟიეს საპროტესტო მოძრაობა „სპეციალური სტატუსის“ იდეას ასაბუთებს რეგიონის მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობით...

მოქმედების სქემები განსხვავებულია რეგიონული პრობლემების სპეციფიურობის და ისტორიული სენტიმენტების თავისებურებების გათვალისწინებით. თუმცა მსგავსია დეზინფორმაციის გავრცელების ტექნიკა: მედია-სივრცეში ტროლები და ბოტები ავრცელებენ დაკვეთილ სტატიებს, იგეგმება შუამავალი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული დემონსტრაციები.

სხვა მრავალ ნეგატიურ შედეგთან ერთად, აღნიშნული პროცესი იწვევს ტრადიციული მედიის როლის შესუსტებას და მის ჩაბმას საინფორმაციო ომში – მედიის პირდაპირი ვალდებულებაა გააშუქოს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ამბავი. შედეგად, მედია-სივრცე გადაივსო რადიკალური ჯგუფების მოთხოვნებისა და დემონსტრაციების შესახებ ინფორმაციით.

რატომ არის უკრაინის საზოგადოება ასეთი მოწყვლადი რუსეთის დეზინფორმაციის მიმართ? რუსული ენის გამოყენების მასშტაბი, რუსულენოვანი საინფორმაციო წყაროების ფართო გამოყენება, საზოგადოების უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტების თუ უკრაინული მედიის მიმართ – ეს მიზეზების მცირე ჩამონათვალია...

მოწინააღმდეგის საინფორმაციო შეტევა დაფუძნებულია საზოგადოების „აქილევსის ქუსლის“ ცოდნასა და ანალიზზე. უკრაინულმა საზოგადოებამ მოწინააღმდეგეზე უკეთ უნდა გაიცნობიეროს საკუთარი სისუსტეები. სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგი რომ მართლაც თვალშისაცემი იყოს, ხოლო საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა მაღალი, ნარატივი არშემდგარი სახელმწიფოს შესახებ ვერ დამკვიდრდებოდა ასე სწრაფად.

სამწუხაროა, რომ რუსეთის საინფორმაციო ომის მსხვერპლია ახალგაზრდა თაობაც. ისინი დეზინფორმაციას ძირითადად სოციალური მედიებიდან იღებენ.

საინტერესო სიმპტომია, რომ უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური მოსახლეობა ნაკლებად ექცევა დეზინფორმაციული ზეგავლენის ქვეშ რადგან რუსულ ეკლესიას არ აქვს ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიაზე ზემოქმედების მექანიზმები. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მოსკოვის პატრიარქატის შემადგენლობაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია თავად არის ჩართული დეზინფორმაციის გავრცელებაში. რელიგიური ინსტიტუტების პოლიტიზირება და საინფორმაციო ომისთვის გამოყენება რუსეთის საინფორმაციო ომის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ასპექტია.

რა შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის საინფორმაციო ომის მთავარ მიზნად უკრაინაში და უკრაინის წინააღმდეგ?

უკრაინაში მიმდინარე რუსეთის საინფორმაციო ომის სამიზნე არ არის მხოლოდ უკრაინის მთავრობა და უკრაინის საზოგადოება. დეზინფორმაცია მიმართულია უკრაინის მეგობარი ქვეყნების, სრულიად საერთაშორისო საზოგადოების და ასევე, რუსული საზოგადოების წინააღმდეგ. ნარატივის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია პოზიტიური და ნეგატიური მესიჯების თანაფარდობა. უკრაინის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული მესიჯების 90% ნეგატიურია და სიძულვილის ენის, ემოციურად დატვირთული მესიჯების ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს. ამ ხერხით მარტივად გადაიფარება ინფორმაციის ალოგიკურობა და შეუსაბამობები ნარატივის დეტალებს შორის.

რუსეთის ბასრი ძალის მთავარი მიზანია სამიზნე ჯგუფის (უკრაინის საზოგადოების) დეჰუმანიზაცია სხვათა თვალში და დასავლეთის დარწმუნება კიევისთვის მხარდაჭერის შეწყვეტაში; „მორალური არგუმენტების“ შექმნარუსეთის აგრესიული პოლიტიკის გასამართლებლად როგორც რუსულ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში; რუსულ საზოგადოებაში პოლიტიკური დივიდენდების მოპოვება და შიდა პოლიტიკური მხარდაჭერის ზრდა.

რა შეიძლება გაკეთდეს რუსეთის საინფორმაციო ომის წინააღმდეგ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიმიჯნოს ჟურნალისტიკა და პროპაგანდა. პროპაგანდისტულ და დეზინფორმაციაზე დაფუძნებულ მედია საშუალებებს უნდა შეეზღუდოთ მედიისთვის განკუთვნილი პრივილეგიები. უკრაინაში რუსეთის ტელე-არხების და სოციალური ქსელების (В контакте; Одноклассники) დაბლოკვა დასავლეთში ბევრმა ექსპერტმა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად აღიქვა. შესაძლოა, მედიის დაბლოკვა არ არის იდეალური გადაწყვეტილება, მაგრამ აუცილებელი ზომაა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მიმდინარე ომის პირობებში. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ იმ რესპოდენტთა უმეტესობა, ვინც 2014 წელს რუსეთთან შეერთებას დაუჭირა მხარი, ინფორმაციის მისაღებად რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს იყენებდა. რუსული სოციალური მედია კი არა მხოლოდ ავრცელებდა დეზინფორმაციულ ნარატივს, არამედ ხელს უწყობდა საზოგადოების გათიშვას და კონფლიქტების პროვოცირებას სხვადასხვა ჯგუფებს შორის. უკრაინაში დაფუძნებული და რუსეთიდან მართული გვერდების მიზანი ასევე დესტაბილიზაციის ხელშეწყობა იყო. ამასთან, მსგავსი გვერდები პერსონალურ ინფორმაციას აგროვებდა უკრაინის მოქალაქეების შესახებ და გადასცემდა რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურს.

რუსული სოციალური ქსელის „В контакте“ დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა პაველ დუროვმა თანამდებობა დატოვა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ანექსიის შემდეგ. მისი განცხადებით, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური ითხოვდა სოციალურ პლატფორმაზე დაყრდნობით მიეწოდებინა ევრომაიდნის მომხრეთა და მათი ოჯახის წევრთა შესახებ პირადი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია გამოიყენეს საინფორმაციო შტურმისთვის. კერძოდ, საპროტესტო აქციების ჩასაშლელად დამამცირებელი და მუქარის შემცველი მე-

სიჯები ეგზავნებოდა უკრაინის არმიის სამხედროებს და მათი ოჯახის წევრებს.

მედია კანონმდებლობაში ცვლილებები კვლავ უნდა გაგრძელდეს. თუმცა საფრთხილოა მტრული პროპაგანდისგან თავდაცვა არ გადაიქცეს ცენზურად და ოპოზიციური აზრის ჩასახშობ შიდა პოლიტიკურ მექანიზმად. ციფრული რევოლუციის გამოწვევებთან გამკლავება უნდა მოხდეს: გამჭვირვალე კანონმდებლობით; ლოკალური, მცირე და დამოუკიდებელი მედიის ნახალისებით; „მედიის დეოლიგარქიზაციით“; პოზიტიური, კონსტრუქციული, ფაქტებზე დაფუძნებული ნარატივების გავრცელებით, რომლითაც უნდა განეიტრალდეს დეზინფორმაციის ნეგატიური, დესტრუქციული, ფაქტების უგულვებლყოფაზე დაფუძნებული ნარატივი.

ციფრული რევოლუციის ინტენსიურობის ზრდასთან ერთად, ყოველდღიურად იზრდება ახალი უნარების ფლობის აუცილებლობა. მედიანიგნიერი თაობის აღზრდასა და მოსახლეობისთვის ფაქტ-ჩეკინგის უნარების განვითარებაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას საჯარო განათლების სისტემამ.

ბიბლიოგრაფია:

1. How Russian “Troll factory” tried to effect on Ukraine’s agenda. Analysis of 755 000 tweets. <https://voxukraine.org/longreads/twitter-database/index-en.html>
2. Image of Ukraine on Russian TV – http://ucmc.org.ua/wp-content/uploads/2018/02/Image-of-Ukraine-on-Russian-TV_ENG.pdf
3. “Russophobia” mentions 2001-2017-https://miro.medium.com/max/1920/1*Pk51VpS69_cshUmqPzuoXw.jpeg
4. PUTIN’S INFORMATION WARFARE IN UKRAINE: SOVIET ORIGINS OF RUSSIA’S HYBRID WARFARE <http://www.understandingwar.org/report/putins-information-warfare-ukraine-soviet-origins-russias-hybrid-warfare>
5. The Gerasimov Doctrine. It’s Russia’s new chaos theory of political warfare. And it’s probably being used on you. By Molly K. Mckew.

- September/October 2017 -<https://www.politico.com/magazine/story/2017/09/05/gerasimov-doctrine-russia-foreign-policy-215538>
6. The Surkov Leaks The Inner Workings of Russia's Hybrid War in Ukraine Alya Shandra and Robert Seely. Occasional Paper Royal United Services Institute for Defence and Security Studies. July 2019. – https://rusi.org/sites/default/files/201907_op_surkov_leaks_web_final.pdf
 7. We've got bad news-<http://texty.org.ua/d/2018/mnews/eng/>
 8. ДЖЕРЕЛА ІНФОРМАЦІЇ, МЕДІАГРАМОТНІСТЬ І РОСІЙСЬКА ПРОПАГАНДА: РЕЗУЛЬТАТИ ВСЕУКРАЇНСЬКОГО ОПИТУВАННЯ ГРОМАДСЬКОЇ ДУМКИ АНАЛІТИЧНИЙ ЗВІТ-https://detector.media/doc/images/news/archive/2016/164308/AReport_Media_Feb2019_v2.pdf
 9. Дуров продал свою долю во «В контакте» из-за конфликта в ФСБ <https://www.vedomosti.ru/technology/articles/2014/04/16/durov-prodal-svoyu-dolyu-vo-v-kontakte-iz-za-konflikta-s-fsb>
 10. Присоединиться к России в основном хотя те украинцы, кто смотрит российское телевидение, – опрос – https://ipress.ua/ru/news/prysoedynytsya_k_rossyy_v_osnovnom_hotyat_te_ukrayntsi_kto_smotryt_rossyyskoe_televidenye_opros_53761.html
 11. Сколько украинцев смотрят российскую пропаганду: инфографика <https://news.liga.net/society/news/skolko-ukrainskoy-smotryat-rossiyskuyu-propagandu-infografika>
 12. СТАВЛЕННЯ УКРАЇНЦІВ ДО ПОЛІТИЧНОЇ ІНФОРМАЦІЇ НА УКРАЇНСЬКИХ ТЕЛЕКАНАЛАХ-[HTTPS://www.kiis.com.ua/?lang=rus&cat=reports&id=794&page=1](https://www.kiis.com.ua/?lang=rus&cat=reports&id=794&page=1)
<https://www.stopfake.org/en/kremlin-watch-briefing-who-is-behind-the-top-5-russian-channels/>
 13. Шойгу рассказал о российских войсках информационных операций -<https://www.rbc.ru/politics/22/02/2017/58ad78cd9a794757f3c80ece>
 14. Disinformation Resilience in Central and Eastern Europe. Edited by Andrei Yeliseyev, Volha Damarad. Kyiv. 2018. http://prismua.org/wp-content/uploads/2018/06/DRI_CEE_2018.pdf

2.3. ჩრდილოეთ მაკედონია – რბილი და ბასრი ქალების ზეგავლენა¹

იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, ყოფილ-მა რესპუბლიკებმა უმძიმესი გზა განვლეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისთვის ბრძოლაში. ომი, ქაოსი, ჰუმანიტარული კრიზისი, სიღარიბე, საზღვრების დემარკაციის და აღიარების სირთულე – ეს რეგიონის წარსული თუ ამჟამინდელი პრობლემების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

ბალკანეთის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო, რეგიონი დღემდე სხვადასხვა ქვეყნების (აშშ, რუსეთი...) და საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, ნატო) ინტერესთა დაპირისპირების არეალია. თუმცა სწორედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა და ევროპული მდებარეობის წყალობით, რეგიონის ევროინტეგრაცია დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. სლოვენია ევროკავშირის და ნატოს წევრი გახდა პირველი დიდი გაფართოების დროს, 2004 წელს, ხოლო ხორვატია ნატოში 2009 და ევროკავშირში 2013 წელს გაწევრიანდა. 2017 წელს ნატოში შევიდა მონტენეგრო, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრიანების პროცესი 2020-ში დასრულდება. ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა აქვს ბოსნია ჰერცეგოვინას. დაწყებულია ჩრდილოეთ მაკედონიის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, ხოლო სერბეთსა და მონტენეგროს კანდიდატი ქვეყნების სტატუსი აქვთ.

ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკას, რეგიონის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობის გზაზე გან-

¹ ჩრდილოეთ მაკედონიის შემთხვევის ანალიზის მოსამზადებლად ვეგრდნობით ინტერნეტის, მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის ცენტრის (IMPETUS) 2019 წ. კვლევა: Liljana Pecova-Ilieska, Kire Babanovski. Monitoring the Media Content from Foreign Influence over the EU/NATO Accession Process in Macedonia. კვლევის მასალებზე წვდომისთვის და განუული კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდით ცენტრის ხელმძღვანელს, ქ-ნ ლილიანა პესოვას.

საკუთრებული პრობლემა შეუქმნა მისმა სახელმა „მაკედონია“. ათწლეულების მანძილზე საბერძნეთი აპროტესტებდა თავისი ისტორიული რეგიონის, მაკედონიის სახელის გამოყენებას ახალშექმნილი სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად, საბერძნეთი გახდა მთავარი შემაკავებელი ფაქტორი ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებში განწევრიანებას გზაზე. „უსახელოდ“ დარჩენილ ქვეყანას, ოფიციალურ თუ სხვა დოკუმენტებში, პირობითად „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიად“ მოიხსენიებდნენ. სახელისთვის მრავალწლიანი ბრძოლისა და შეუთანხმებლობის შემდეგ, საერთაშორისო ძალისხმევისა და მედიაციის წყალობით 2019 წელს პროცესი საერთაშორისო ასპარეზზე ახალი „ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის“ გამოჩენით დასრულდა, რასაც მყისიერად მოჰყვა ხელოვნურად შეჩერებული პროცესის აღდგენა და ნატომ და ევროკავშირმა ჩრდილოეთ მაკედონიას განწევრიანების მოწვევა გაუგზავნეს.

მაკედონიის სახელის ცვლილების (და შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილებების მისაღებად) დაინიშნა რეფერენდუმი 2018 წ. 30 სექტემბერს. ივლის-სექტემბერში, მაკედონია გარეშე გავლენების უჩვეულო გააქტიურების მომსწრე გახდა როგორც ევროკავშირის, ასევე რუსეთის მხრიდან. ქვეყანა რბილი და ბასრი ძალების შეჯახების არეალად იქცა.

მაკედონიის არასამთავრობო ორგანიზაცია „იმპეტუსმა“ ჩაატარა სპეციალური მედია კვლევა აღნიშნულ პერიოდში ინფორმაციის თუ დეზინფორმაციის გავრცელების შესასწავლად და ევროკავშირსა და ნატოში განწევრიანების შესახებ ქვეყანაში მიმდინარე დისკურსზე გარეშე გავლენების იდენტიფიცირებისთვის. ორგანიზაციამ შეისწავლა მედია კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები: ნიუსები, ვიდეოები, სამთავრობო განცხადებები, პრეს-რელიზები, ტელე-დებატები, სვეტები, ბლოგები და ა. შ. მომზადდა სიღრმისეული ინტერვიუები ფოკუს-ჯგუფებთან – ჟურნალისტებთან, უნივერსიტეტების პროფესორებთან (საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის,

სამართლის, უსაფრთხოების დარგებში), სტუდენტებთან და მაკედონიაში ნატოს სპეციალურ წარმომადგენელთან.¹

პოლიტიკური კონტექსტის უკეთ გასააზრებლად, კვლევის შედეგების და კვლევაში მოცემული ინტერვიუების განხილვამდე, აუცილებელია ჩამოვთვალოთ აღნიშნულ პერიოდში განვითარებული რამდენიმე ტენდენცია და მოვლენა.

ევროკავშირში განვერიანების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად ევროკავშირმა შექმნა სპეციალური პროგრამა „ერთობლივი მომავალი“. ამ პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის მოხელეები ხვდებოდნენ მაკედონიის მოსახლეობას; ევროკავშირმა გასცა დაპირება მომდევნო წლებში მაკედონიის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაფინანსების შესახებ; ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ მოამზადა გადაუდებელი რეფორმების პაკეტი (კანონის უზენაესობა, საჯარო სექტორისა და მედიის დეპოლიტიზაცია, გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა, საარჩევნო რეფორმა და სხვ.); სხვადასხვა რანგის დიპლომატიური შეხვედრებისთვის ქვეყანას ესტუმრა 50-ზე მეტი მაღალჩინოსანი...

აღნიშნულ პერიოდში გააქტიურდნენ რუსეთის დიპლომატიური სამსახურებიც (როგორც მაკედონიაში, ასევე საბერძნეთში). ბერძნული მედიის თანახმად, საბერძნეთში რუსი დიპლომატები საჯარო მოხელეებისთვის ქრთამის შეთავაზებით ცდილობდნენ ქუჩის პროტესტების ორგანიზებას პრესპას² შეთანხმების წინააღმდეგ. ოპოზიციურ ძალებზე ზეგავლენის მცდელობისთვის საბერძნეთიდან ოთხი რუსი დიპლომატი გააძევეს. აღნიშნული ფაქტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთის საწინააღმდეგო ქმედებად გამო-

¹ ფოკუს-ჯგუფებიდან მხოლოდ აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა საკუთარი ვინაობის გამხელაზე.

² 2018 წლის 17 ივნისს საბერძნეთში, პრესპას ტბის მიმდებარედ, ხელი მოეწერა ისტორიულ შეთანხმებას (პრესპას შეთანხმება). ხელშეკრულების მიხედვით, საბერძნეთმა და მაკედონიამ გადაწყვიტა ისტორიული დავა და შეთანხმდა მაკედონიისთვის ახალი სახელის მინიჭებაზე.

აცხადა და ვაშინგტონი საბერძნეთის მთავრობაზე ზენოლაში დაადანაშაულა.

მაკედონიაში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების გააქტიურების შედეგად შეიქმნა ხალხთა მეგობრობის სხვადასხვა ასოციაციები და რუსული კულტურის ცენტრები. **ახალშექმნილი ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ რეფერენდუმის ბოიკოტის კამპანიას.** დაიწყო რეფერენდუმის სანინალმდეგო გამოსვლები, რომელშიც რადიკალური ორგანიზაციები, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და სპორტული კლუბების წევრები მონაწილეობდნენ. საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთი აპროტესტებდა მაკედონიის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას. რუსი დიპლომატები მოუწოდებდნენ როგორც მაკედონიას, ასევე ევროკავშირს „მცდარი გადაწყვეტილების“ გაუქმებისკენ.

ევროკავშირისა და რუსეთის გაზრდილი ზეგავლენის შედარებისთვის, უნდა აღინიშნოს მთავარი სხვაობა ამ ორი მხარის კომუნიკაციის სტილთან მიმართებაში. ევროკავშირის „რბილი მომხიბვლელობა“ სტრატეგიული კომუნიკაციის სახედ ძირითადად იყენებდა საჯარო გამოსვლებს, ტელედებატებს, სახალხო შეხვედრებს და სხვ. რუსეთმა საკუთარი „ბასრი ზეგავლენა“ არაოფიციალური კავშირებით და მედიაში დეზინფორმაციის გავრცელებით სცადა. ევროკავშირის მოთხოვნით დაწყებულმა მედიის რეფორმამ რეფორმების სანციის ეტაპისთვის დამახასიათებელი ქაოსი გამოიწვია, რაც ხელშემწყობ ფაქტორად იქცა დეზინფორმაციის და პროპაგანდის გასავრცელებლად. გამავრცელებლად ძირითადად გამოიყენეს ადგილობრივი მედია-საშუალებები, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობდნენ რეგიონში რუსეთის ინტერესების გატარების მომხრე სერბი ექსპერტები. მომრავლდა ოპოზიციური პარტიების განცხადებები ევროკავშირისა და ნატოს წინააღმდეგ. „ერთიანი მაკედონიის“ ლიდერი იანკო ბასევი მოსახლეობას არწმუნებდა რუსეთის კეთილი ზრახვების და მაკედონიის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების

აუცილებლობის შესახებ. სხვადასხვა ტიპის პრესკონფერენციებზე მაკედონიის მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ დაჰყოლოდა დასავლეთის მოთხოვნებს და არ დაეთმო ისტორიული სახელი. აღნიშნულ პერიოდში მაკედონიაში შეინიშნებოდა კორესპონდენტების რაოდენობის მკვეთრი ზრდა სხვადასხვა ქვეყნებიდან. გამოჩნდნენ ტროლინგით ცნობილი რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების (მათ შორის „Russia Today“) წარმომადგენლები.

დეზინფორმაციის და ფეიქების მიმართულებით ჩრდილოეთ მაკედონიაშიც, ყველა სხვა შემთხვევის მსგავსად, დაწინაურდა სოციალური მედია. სოციალური მედიის სხვადასხვა „ნიუსები“ და მრავალრიცხოვანი კომენტარები საზოგადოებაში ამკვიდრებდა გარკვეულ შეხედულებებს: რუსეთის ინტერესების ლეგიტიმურობის დაცვა; ისტორიული სენტიმენტების გაღვივება საბერძნეთის წინააღმდეგ; საზოგადოების დაშინება ცრუ დილემაებითა და შეთქმულების თეორიებით (ერი გაქრობის საშიშროების წინაშე დგას... პრესპას ხელშეკრულების შემდეგ საბერძნეთი გადაწერს მაკედონიის ისტორიას და სხვა); საბერძნეთის მთავრობის დადანაშაულება ნაციონალისტური გამოსვლების ორგანიზებაში... დეზინფორმაციული მესიჯების გასავრცელებლად განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბოტები და ტროლები. შეიქმნა და გავრცელდა ჰეშთეგები რეფერენდუმის ბოიკოტის შესახებ. აღნიშნული პერიოდის სოციალური ქსელების მთავარ ტენდენციებად იქცა: სიძულვილის ენა, ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე შეურაცხყოფა, საერთაშორისო ორგანიზაციებზე თავდასხმა, საზოგადოების პოლარიზაცია. მედია პოლარიზაცია რეფერენდუმის შემდგომაც გაგრძელდა. მაკედონიის დამოუკიდებლობის მთელი ისტორიის მანძილზე, ამ პერიოდის მედია გარემო ყველაზე არაჯანსაღად შეფასდა მედია ექსპერტების მიერ.

ჟურნალისტიკებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მედია-ანალიზის საინტერესო ასპექტები. ჩამოვთვლით ზოგ მათგანს. პასუხების მიხედვით, დეზინფორმაციის

გავრცელებას ხელი შეუწყო ინტერნეტ პლატფორმების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ. დეზინფორმაციის მთავარ მიმართულებად ამ შემთხვევაშიც დასახელდა ნაციონალურ გრძნობებზე თამაში. ჟურნალისტების აზრით, პრობლემების წინაშე აღმოჩნდა ტრადიციული მედია საშუალებებიც, მათი მფლობელებისგან მომდინარე ზენოლის, ფინანსების სიმწირისა და ჟურნალისტთა თვით-ცენზურის გამო. ისევე, როგორც სხვა ყოფილ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, მაკედონიაშიც მედია შეჩვეული იყო ძალაუფლების ვერტიკალის არსებობას და ინფორმაციის გავრცელებაზე სახელმწიფო მონოპოლიას, ამიტომაც ჟურნალისტებს განსაკუთრებით გაუჭირდათ პოლიტიკურად მნიშვნელოვან პერიოდში პროფესიონალიზმის გამოვლენა. ჟურნალისტების აზრით, მედია საშუალებების მწირი პროფესიონალიზმის მაჩვენებელია საზოგადოების ემოციებზე თამაშის გარეშე ინფორმაციის გადმოცემის უუნარობა; მედიამ ვერც მოსახლეობის კვალიფიციური ინფორმირება შეძლო პრესპას ისტორიული შეთანხმების პლიუსების და რისკების შესახებ. სახეზე იყო ბალანსის დაკარგვა, პასუხისმგებლობის და პროფესიონალიზმის ნაკლებობა და ეთიკის პრინციპების უგულვებლყოფა. ეს კი მედიის ქაოსის იარაღად ქცევის საუკეთესო გზაა.

ევროკავშირის მხრიდან განხორციელებულ ზეგავლენას ჟურნალისტები პოზიტიურ ზეგავლენად განიხილავენ. მედია სექტორში განხორციელდა ევროკავშირისთვის დამახასიათებელი წამახალისებელი მხარდაჭერა: სხვადასხვა ტიპის ტრენინგები, ვიზიტები მსოფლიოს წამყვან მედია-საშუალებებში, ტექნიკისა და აპარატურის საჩუქრად გადაცემა... თუმცა, მსგავსი ჩართულობა ყველასთვის არ იყო გამიზნული. მედია ბაზარზე კვლავაც დიდია დაბალანაზღაურებადი ჟურნალისტების რაოდენობა, რაც მათ ადვილად მოწყვლად ჯგუფად მოსყიდვისთვის აქცევს სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, მედიის წარმომადგენლებს არ სჯეროდათ, რომ გარედან განხორციელებული

საინფორმაციო ოპერაციები რეალურ შედეგს გამოიღებდა სექტემბრის რეფერენდუმში.

ჟურნალისტების მსგავსად, არც აკადემიური წრეების წარმომადგენლებს სჯეროდათ, რომ რუსეთის ბასრი ძალა რეალურად იმოქმედებდა რეფერენდუმის შედეგებზე. ისინი ხაზს უსვამდნენ ქვეყნის შიდა სისუსტეებს, როგორც მთავარ ფაქტორს არასასურველი ზეგავლენების განხორციელებისთვის. სხვადასხვა რესპოდენტის აზრით, **მაკედონიის ხელისუფლება და ოპოზიცია ერთიანია ევროინტეგრაციის თემასთან დაკავშირებით, მაგრამ საზოგადოებას ცუდად ესმის რას ნიშნავს ევროპული მომავალი.** ტოტალიტარულმა წარსულმა ადამიანები მიაჩვია უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ქვეყნის მომავლის მიმართ, დაუკარგა რეალური საჭიროებების განსაზღვრის უნარი და დაამკვიდრა რწმენა, რომ ჩვენი გასაკეთებელი საქმე ვილაც სხვამ უნდა გააკეთოს. საზოგადოება მოვლენებს უყურებს ინფანტილურად და პირადი სარგებლის მოლოდინის რეჟიმში.

სტუდენტების ინტერვიუებშიც გამოიკვეთა საყურადღებო ასპექტები. მათი აზრით, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მაკედონია ყოველთვის იყო სხვადასხვა მხარეების ინტერესთა შეჯახების არეალი. სტუდენტების დაკვირვებით, რუსეთის ინტერესების ზრდა ქვეყანაში გამოიხატა დიპლომატიური მისიების გააქტიურებით. სტუდენტები სოციალურ მედიაში გავრცელებულ დეზინფორმაციაზე დიდად არ ამახვილებდნენ ყურადღებას, რადგან მათი უმრავლესობა აცხადებდა, რომ ინფორმაციის მისაღებად იყენებდა სანდო წყაროებს. სტუდენტებს ღრმად სწამდათ, რომ არ არის ადვილი რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება მაკედონიელ ხალხზე. მათ სჯეროდათ საკუთარი ქვეყნის და მისი ევროპული მომავლის.

დასავლეთისა და რუსეთის ზეგავლენის ხასიათისა და მასშტაბების შედარებისას, სხვადასხვა ინტერვიუში აღნიშნულია გავლენების ასიმეტრიულობა. ევროკავშირის და ნატოს

ნარმომადგენლობები ქვეყანაში ფუნქციონირებს ოფიციალურად და ლეგალური დიპლომატიური საქმიანობის ფარგლებში, ხოლო რუსეთის ზეგავლენის მექანიზმები არაოფიციალური, არალეგალური და ძნელად გასაკონტროლებელია.

მაკედონიის პრემიერმა ზორან ზაევმა 2018 წლის ივლისში ბრიუსელში განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით ქუჩის პროტესტების უკან რუსეთის კვალი იკვეთება, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. საინტერესოა ზორან ზაევის 2017 წლის განცხადებაც, რომლის მიხედვით ევროკავშირსა და ნატოში განწევრიანება სკოპიესთვის ერთადერთი შესაძლო არჩევანია, თუმცა შიშობს, რომ რუსეთს ექნება მკვეთრი რეაქცია.

რუსეთის ოფიციალური წრეები უარყოფდნენ მაკედონიის საშინაო საქმეებში ჩარევის რაიმე მცდელობას, თუმცა ასევე ხშირად აცხადებდნენ, რომ ნატოში განწევრიანება არ შედის ბალკანეთის ქვეყნების ინტერესში.

30 სექტემბერს ჩატარებული რეფერენდუმი მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. რეფერენდუმზე მივიდა ამომრჩეველთა მხოლოდ 36.9 %. მიუხედავად იმისა, რომ მათგან 90% შემოხაზა „დიახ“, რეფერენდუმი ჩავარდა. მაკედონიის კონსტიტუციის მიხედვით, რეფერენდუმის შედეგების ცნობის აუცილებელი პირობაა 50%-იანი მონაწილეობა. პრესპას შეთანხმების რატიფიცირებისგან თავი შეიკავა ზორან ზაევმაც.

მაკედონიის რეფერენდუმზე რუსეთის ბასრი ძალის ზემოქმედების რეალური შედეგის მიუხედავად, ბასრმა ძალამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს: ისტორიული პროცესის ჩაშლა, ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მინიმუმ ერთი თაობით გადავადება... რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად, 2019 წლის იანვარში მაკედონიის პარლამენტმა მოახდინა პრესპას ხელშეკრულების რატიფიცირება და მაკედონიას შეეცვალა ოფიციალური სახელი.

ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკამ 2019 წლის თებერვალში დაიწყო ნატოში განევრიანების პროცესი და სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობის პარლამენტებში სარატიფიკაციო პროცესი დასრულებულია. ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა ასევე ელოდება ევროკავშირში განევრიანებას ევროკავშირის გაფართოების შემდეგ რაუნდზე.

ბიბლიოგრაფია:

1. Liljana Pecova-Ilieska, Kire Babanovski. Monitoring the Media Content from Foreign Influence over the EU/NATO Accession Process in Macedonia. IMPETUS. 2019.
2. North Atlantic Treaty Organization. <https://www.nato.int>
3. European Union. <https://europa.eu>
4. Prespa Agreement. Balkan History. Encyclopedia BRITANNICA. <https://www.britannica.com/event/Prespa-Agreement>
5. North Macedonia Ratifies NATO Protocol, Raises Alliance Flag. Radio-FreeEurope. RadioLiberty. February 11, 2020. <https://www.rferl.org/a/north-macedonia-ratifies-nato-protocol-raises-alliance-flag/30429203.html>
6. Greece Orders Expulsion of Two Russian Diplomats. BBC NEWS. July 11, 2018. <https://www.bbc.com/news/world-europe-44792714>

ბოლოთქმა – დილემაები და პარადოქსები

ციფრული რევოლუცია და მისი თანმდევი ძალის დიფუზია თვისობრივად ცვლის საერთაშორისო პოლიტიკის აქტორთა ქმედებებს და თამაშის წესს. ახალი გამოწვევები ცვლის ჩვენს ჩვეულ წარმოდგენებს სამყაროზე. რა შეიცვლება უახლოესი 5-10 წლის მანძილზე? იქნებ სჯობს ვიკითხოთ, რა არ შეიცვლება?

მიმდინარე მოვლენებს სულ უფრო ხშირად უხამებენ მეტაფორებს დილემა, პარადოქსი: **დემოკრატიული დილემა, იდეოლოგიური დილემა, ძალაუფლების პარადოქსი, ამერიკული ძალაუფლების პარადოქსი, პროგრესის პარადოქსი, გლობალიზაციის პარადოქსი...**

დემოკრატიის არსი თანამონაწილეობაშია, რაც თავის-თავად გულისხმობს აზრის თავისუფლად გამოხატვას და კომუნიკაციას სხვადასხვა ჯგუფებს შორის. თავისუფლებას საფუძვლად უდევს რამდენიმე მარტივი წესი, მათ შორის, საზოგადოებრივი თანხმობა ტყუილის ამორალურობის შესახებ. ამგვარი შეთანხმება დრომ და გამოცდილებამ, ასევე სოციალური მშვიდობის პრიორიტეტმა და ღირებულებებზე დაფუძნებულმა განათლების სისტემამ მოიტანა. ინფორმაციული რევოლუცია არღვევს ღირებულებებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ წესრიგს, მონყვლადს ხდის პოლიტიკურ სისტემას, მოქალაქეს კი ატყუებს და აჩვენებს ტყუილის მორალურობას. ამგვარი ზეგავლენა არალეგიტიმურია, თუმცა არ არის არალეგალური. სისტემური პასუხი მანიპულაციის მიმართ რთული მოსაფიქრებელია.

საბჭოთა მოქალაქეს ტყუილის ამორალურობა ვერც პოლიტიკურმა სისტემამ ასწავლა და ვერც რელიგიამ. სისტემაში, სადაც ტყუილი ხშირად ადამიანების გადარჩენის ერთადერთი პირობა იყო, ტყუილის ფენომენმა ერთგვარი მორალუ-

რი გამართლებაც კი ჰპოვა. ციფრული რევოლუციის პირობებში პოსტსაბჭოთა საზოგადოებებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია თვითგაჯანსაღების მექანიზმების მოფიქრება და ამუშავება, საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა მორალსა და ამორალურობაზე, ახალი უნარების დაუფლება საკუთარი უფლებების დასაცავად.

შუა საუკუნეებში ყველა ადამიანს მოეთხოვებოდა იარაღის ხმარების ცოდნა, რადგანაც თავდამსხმა ყოველდღიური რეალობა იყო. XX საუკუნეში, მსოფლიო ომებისა და ცივი ომის გამო, მოქალაქეებს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ სამოქალაქო თავდაცვის ელემენტარულ საშუალებებს, რადგანაც ხმლის და რევოლვერის მოხმარება ველარ დაგვიცავდა საჰაერო დაბომბვებისგან.

დღეს თავდასხმა ხშირად ინფორმაციულ შტურმს ნიშნავს. ოდესღაც საქართველო იმპერიათა არმიების მანევრების გეოპოლიტიკური დერეფანი იყო, დღეს კი ინტერნეტ ქსელების გადაკვეთის გეოპოლიტიკური დერეფანია და ჩვენი უნარებიც შესაბამისი უნდა გახდეს.

დამკაბადონებელი
ირინე სჯრობანოვა

გარეკანის დიზაინერი
ირინე ხელია

გარეკანის ილუსტრატორი
რადი კუპაჯაძე

ნიგნი დაკაბადონდა გამომცემლობა „ინტელექტი“



თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

📘 სტამბა დამანი / Print House Damani